"კადრები წყვეტენ ყველაფერს" A3

გლობალიზაცია - საფრთხე თუ შანსი საქართველოსთვის A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 22 იანვარი, 2005 წელი. №14 (874)

ფასი 50 თეთრი

ანონსი

სატუმროები, დასასვენებელი სახლები, მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები - ორშაბათს, 24 იანვარს, "24 საათი" შემოგთავაზებთ სოხუმში საკუთარი კორესპონდენტის ვრცელ მასალას, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ბატონდება აფხაზეთში რუსული კაპიტალი.

საზოგადოება

როცა "ქუჩა" ჭერქვეშ ხვდება

"კარიტასმა" თბილისის სხვადასხვა უბნებში გახსნა ბავშვთა ცენტრები, სადაც ქუჩიდან მიყვანილ პატარებს ელემენტარული ყოფითი პირობებით უზრუნველყოფდნენ.

A6

სამართალი

ვანკისურ საიდუმლოებებს სასამართლო პროცესზეც არ აეხადა ფარდა

A7

ინფორმაცია

საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნო გაცნობებთ, რომ სტაჟიორთა წერილობითი კონკურსი (ტესტირება) გაიმართება 2005 წლის 29 იანვარს, შაბათს, დილის 10 საათიდან.

მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი № 3 (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი, აუდიტორია № 87 (ფიზიკის) და № 178 (ქიმიის).

ტელეფონი: 98.25.68 ან 98.25.76

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

ამინდი

	22/1	23/1
თბილისი	9	9
ქუთაისი	11	12
ბათუმი	13	14
სოხუმი	10	8
ფოთი	12	13
თელავი	7	8
ზუგდიდი	12	12
გორი	6	7
ახმეტა	8	8
ჭიათურა	7	9
გაგრა	9	4
სამტრედია	12	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8250
ევრო	2.3696
გირვანქა სტერლ.	3.4009
რუბლი	0.0648

გაიყიდება თუ არა სტრატეგიული ობიექტი?

"გაზპრომს" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებისადმი ინტერესი კვლავ გაუმძაფრდა

მაია ურუშაძე

ხელისუფლება პრივატიზაციის ეშხში შევიდა. მოლაპარაკებებმა კულუარებში გადაინაცვლა. ჯერი მაგისტრალურ გაზსადენებზე მიდგა. ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტთა ნუსხაში შესული გაზსადენები, რომელთა გასხვისებაზე ფიქრმაც წინა ხელისუფლება, ფაქტობრივად, დაასამარა, კვლავ "გაზპრომის" ინტერესების სფეროშია მოქცეული. ხელისუფლება მაგისტრალურ გაზსადენებზე კონტროლს 300 მილიონ დოლარად აფასებს, თუმცა მათი გაყიდვის შესაძლებლობას, ჯერჯერობით, კატეგორიულად უარყოფს. გავრცელებული ინფორმაციით, რუსული ენერგოგიგანტი საქართველოს გაზის სატრანზიტო ინფრასტრუქტურაზე უპირობო გავლენის მოპოვებისთვის 150 მილიონ დოლარზე მეტის გადახდას არ აპირებს და ამ ეტაპზე მხოლოდ "თბილგაზითა" და "თბილსრესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკებით ინტერესდება.

გუშინ თბილისს "გაზპრომის" დელეგაცია ესტუმრა, რომელსაც ალექსანდრე გარახალინსკი ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკებები სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძის კაბინეტებში გაიმართა. შეხვედრებს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" პრეზიდენტი დავით ინგოროყვა და "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე ესწრებოდნენ.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, გარახალინსკიმ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა "გაზპრომს" "თბილსრესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკების შეძენას სთავაზობს. **"ჩვენ ამ საკითხის შესწავლას ვიწყებთ,"** - პრესასთან კონკრეტულ საუბარს გუშინ თავს არიდებდა გარახალინსკი. საკითხის შესწავლა, სავარაუდოდ, "გაზპრომის" სათავო ოფისში გაგრძელდება და ერთ კვირას გასტანს. გამორიცხული არ არის, ამ პერიოდში, მოსკოვში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის,

გაგრძელება A3 გვერდზე

"თქვენ წინ მომავალი დანმაშავეები სხედან"

მეტალურგიული კომბინატის ინვესტორი კანონის დარღვევას გააგრძელებს

მაია მოსიაშვილი

გუშინ "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" დირექტორთა საბჭომ პრესკონფერენცია გამართა, სადაც საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე სერიოგინმა პრესისთვის სპეციალური განცხადება გააკეთა.

პარალელურად კომბინატის ადმინისტრაციის შენობის წინ მომიტინგე პენსიონერი მეტალურგები და კომბინატის გადარჩენის კომიტეტის წევრები შეიკრიბნენ. მათ შემდეგი შინაარსის ტრანსფარანტები ეჭირათ: "კმარა ანარქია მეტალურგიაში", "მისჯილი გვაქვს შიმშილით სიკვდილი", "გთხოვთ, მიიღოთ გადაწყვეტილება - "ინვესტორებმა" ჯართში დაგვმარხონ"...

ალექსანდრე სერიოგინმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათ ბოლო პერიოდში ინტენსიური მოლაპარაკებები აწარმოეს საქართველოს მთავრობასთან, ხელი მოანერეს მემორანდუმს და კომბინატის ტენდერში მონაწილეობისათვის გარკვეული საგარანტიო თანხაც გადარიცხეს. **"ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო,"** - ამბობს იტალიური მხარის წარმომადგენელი.

"ყველაფერი თითქოს ნორმალურად იყო, მაგრამ ახლა სიტუაცია ახლოს არის სოციალურ კატასტროფასთან. ადამიანთა ერთი ჯგუფი, სასამართლო ორგანოების დახმარებით, ცდილობს ჩვენთვის ხელის შეშლას. აზრი მარტივია, წილი უნდათ, ისევე, როგორც კიწმარიშვილს. ვამბობ კიწმარიშვილს და ვგულისხმობ ქაშაკაშვილს. მისი თანამდებობიდან გათავისუფლება კრედიტორთა საბჭოს ანუ სახელმწიფოს გადასაწყვეტია. დამეთანხმეთ, როცა საჯაროდ ვლაპარაკობ ამ თემაზე, მე უკვე არაკორექტული ვარ, რადგან ვუბიძგებ სახელმწიფოს სხვა გადაწყვეტილება მიიღოს. მე, ალბათ, არ მაქვს ამის კეთების უფლება, მაგრამ მე მინდა ეს," - ამბობს სერიოგინი.

"ჩვენ ახლა ორი არჩევანი გვაქვს - ან წარმოება უნდა გავაჩეროთ და ქალაქი სოციალური კატასტროფისთვის გავწიროთ, ან უნდა წავიდეთ ციხეში, რადგან ჩვენ იმ სამეურნეო საქმიანობას ვეწევით, რომელიც რეაბილიტაციის მმართველმა გააჩერა," - განაცხადა ინვესტორის წარმომადგენელმა. მისი შეფასებით, ფინანსური პოლიცია არა ფინანსთა მინისტრს, არამედ ქაშაკაშვილს ემორჩილება და ამ ორგანოს არანაირი უფლება არ აქვს შეამოწმოს მათი საქმიანობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ავტოკრატი მმართველის არაპოპულარული სოციალური რეფორმები

კიდევ ერთი მტკივნეული სოციალური რეფორმა და მოსახლეობის მზარდი ნიჰილიზმი

საკუთარი მოსახლეობის უკმაყოფილების პირისპირ მარტო დარჩენილი კრემლის ერთპიროვნული მმართველი იძულებული გახდა, პენსიებისა და კომპენსაციების 15 პროცენტამდე გაზრდაზე დათანხმებულიყო.

ხათუნა გაბიევი

სახელისუფლებო ვერტიკალის გამყარების პროცესში გატარებული სოციალური რეფორმა ვლადიმირ პუტინს კინაღამ "პენსიონერების რევოლუციის" ფასად დაუჯდა. ტრანსპორტის, კომუნალურ და სამედიცინო სფეროებში შეღავათებზე სახელმწიფო სუბსიდიების შეკვეცამ მილიონობით მოქალაქის მღელვარება გამოიწვია. მოსახლეობის ხანდაზმული ფენის ამბოხი გუბერნატორებისთვის კი მართლაც გამოცდა აღმოჩნდა, რასაც ზოგიერთის პოსტი უკვე შეეწირა.

პოლიტიკურ კულუარებში მავანნი რუსეთში ოპოზიციის აღორძინების მცდელობებზეც ალაპარაკდნენ. პენსიონერების ქუჩაში გამოსვლის ორგანიზებულობის ხარისხის გათვალისწინებით ექსპერტები არ გამორიცხავდნენ, რომ პუტინის გუნდში მყოფი რომელიმე რეფორმატორი უკვე ოპოზიციაში გადასვლას გეგმავდეს.

გაგრძელება A5 გვერდზე

გრძელდება ხელმოწერების კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმოწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

ოზურგეთში ბუნებრივი გაზი კიაფობს

გასულ წელს, გაზის მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, ოზურგეთში სტუმრად მყოფ მიხეილ სააკაშვილს ერგო პატივი, პირველს გაეკრა ასანთი და ცისფერი ალი აეგიზგიზებინა. მას შემდეგ ქალაქის გაზიფიკაციით უზრუნველყოფისათვის ყველა საჭირო სამუშაო დასრულდა. გასული წლის მიწურულს პირველად რესტორანმა "ტონუსმა" მიიღო ბუნებრივი აირი. ამჟამად მიმდინარეობს პურისსაცხობ შპს "ვასაძის" გაზიფიცირების სამუშაოები და უკვე ამ ქუჩაზე მდებარე ყველა ორგანიზაციასა და კერძო მოსახლეს აქვს საშუალება ჩაერთოს ქსელში, დაწესებული თანხის გადახდის შემთხვევაში. თუმცა მოსახლეობას მიაჩნია, რომ ეს თანხა - 300 ლარი ერთბაშად მიუწვდომელია და კარგი იქნება, თუ შესაძლებლობას მისცემენ, ეს თანხა, სატარიფო გადასახადთანს ერთად, ეტაპობრივად დაფაროს.

ციტრუსები სომხეთ-აზერბაიჯანისკენ დაიძრა

გასულ წლებში ოზურგეთული ციტრუსის რეალიზებისათვის ყველაზე მოსახერხებელი და მომგებიანი რუსეთისა და უკრაინის ბაზარი გახლდათ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ნარინჯოვანი რუსეთისკენ მიედინებოდა, რა თქმა უნდა, ერგნეთის გავლით. წლეულს სიტუაცია ერთგვარად შეიცვალა. მართალია, ციტრუსის დამზადება და რეალიზაცია ისევ ქაოსურ ხასიათს ატარებს და მოსავალიც მნიშვნელოვნად დაბალი იყო, მაგრამ, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, ფასმა მოიმატა. წლეულს გურული ციტრუსი აზერბაიჯანსა და სომხეთში გაიყიდა, თანაც საკმაოდ ხელსაყრელ ფასებში, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ციტრუსის რეალიზაციის ორგანიზებული ქსელის ჩამოყალიბება, რათა ამ სფეროდან საგადასახადო შემოსავლების ამოღების სრულყოფილი მექანიზმის ამოქმედებისა და საბიუჯეტო შემოსავლების საფუძველი შექმნილიყო. ციტრუსის დიდი ნაწილი, ადგილობრივი ფერმერებისგან, ძირითადად ე. წ. მოხეტიალე ბიზნესმენებმა შეიძინეს.

ოზურგეთი ისევ ეგნატე ნინოშვილის დროებას უბრუნდება

საშობაო-საკალანდო დიდი განათების შემდეგ, ოზურგეთის რაიონმა ისევ უკუნში დაყვინთა. ღამ-ღამობით მხოლოდ აქა-იქ ბჟუტავს ნათურა, თავს შედარებით უკეთ გენერატორის მქონენი გრძნობენ, თუმცა თითქმის ლარნახევრად ღირებული ბენზინით კომფორტის მოწყობა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. თუ ადრე, ეგნატე ნინოშვილის ეპოქაში, ბავშვები ფიჩხის ალზე სწავლობდნენ გაკვეთილებს, ახლა იგი შედარებით პროგრესულმა სანთლის შუქმა შეცვალა.

ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილ ოზურგეთს პრობლემები მოეჯარა. ყველაზე მეტად ქალაქის მოსახლეობას უწყლობა აწუხებს. შპს "წყალკანალის" უფროსის განცხადებით, წყალსადენს იმდენად უხარისხო დენი მიეწოდება, რომ ძრავების ამუშავება შეუძლებელია. მოკლედ, ოზურგეთში გრაფიკის დენმა და წყალმა ჭირი მოგჭამა. კიდევ კარგი, წელიწადის ამ დროისათვის უჩვეულოდ კარგი ამინდები დაიჭირა, მზე გვათბობს და გვინათებს, თორემ ცხოვრება კიდევ უფრო გაუსაძლისი იქნებოდა. თუმცა ნამდვილი ზამთარი გურიაში თებერვალ-მარტში იცის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დროისთვის მდგომარეობა გამოსწორდება.

ნინო მატკავა - პირველი ქართველი ქალი "კომანდოსი"

საჩხერის რეზერვისტთა გადამზადების ბაზაზე ეროვნული გვარდიის მე-12 გურიის სარეზერვო ბატალიონის პირველი საბანაკო შეკრების საზეიმო გახსნის ცერემონიალს ოზურგეთიდან საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია ესწრებოდა, გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ჟანი კალანდაძის მეთაურობით. საჩხერის ბაზაზე 350-მა გურულმა რეზერვისტმა საზეიმოდ დადო ფიცი, რომ თავიანთ წვლილს შეიტანენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში და ღირსეულად მოიხდიან მხედრულ ვალს სამშობლოს წინაშე.

როგორც რეზერვისტებთან გასაუბრებით გაირკვა, ისინი კმაყოფილნი არიან საბანაკო ცხოვრებით, კვებით. რეზერვისტები ეროვნული გვარდიის პროფესიონალი ინსტრუქტორების მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით გადიან წვრთნას. გურიის ბატალიონის წევრების მონდომებითა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, კმაყოფილებას გამოთქვამს ეროვნული გვარდიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი. მისი განცხადებით, ორდღიანი საბანაკო ცხოვრების კვალობაზე ბატალიონი აშკარად მობილიზებულად გამოიყურება, რაშიც არცთუ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს ის, რომ ბატალიონში უკვე 3 ქალი ირიცხება - ირინა საჯაია, ეკა მუჯირი და ნინო მატკავა. ისინი რიგითები არიან და ჩვეულებრივი ჯარისკაცული ცხოვრების რეჟიმში იმყოფებიან. ეს კი დიდი სტიმულია მამაკაცებისათვის.

ნიშანდობლივია ისიც, რომ რეზერვისტ გოგონას, ნინო მატკავას გადაწყვეტილი აქვს, პირველი ქართველი "კომანდოსი" ქალი გახდეს.

თამზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 25 იანვარს, გამოტანილ იქნება N2 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 26 იანვარს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 26 იანვრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„ტელე-პროექტი „პატრული" ხშირად არღვევს ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციას"

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

ხალხის ტრიბუნა ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე



კოფი ანანი - სტილი და ტონი უცვლელია

20 იანვარს გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების საბჭოში გააგზავნა მოხსენება "აფხაზეთში (საქართველო) მდგომარეობის შესახებ". დოკუმენტი შეიცავს რეკომენდაციას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიისთვის უფლებამოსილების ვადის ექვსი თვით გაგრძელების შესახებ.

გენერალური მდივნის მოხსენება ყოველ სამ-ოთხ თვეში ერთხელ მზადდება და შეიცავს ინფორმაციას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, გაერო-ს მიერ გატარებული ღონისძიებებისა და დამკვირვებელთა მისიის საქმიანობის შესახებ.

"2004 წელი, კერძოდ კი, მისი მეორე ნახევარი, ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესისთვის იოლი არ ყოფილა. კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის განახლებამ წარმოქმნა მოვლენათა ჯაჭვი, რომელმაც გამოიწვია მხარეებს შორის ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტა," - აღნიშნულია კოფი ანანის მოხსენებაში. მასში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში გაერო-ს მისიის ძალისხმევა, ძირითადად, დიალოგის აღდგენის გზების ძიებისკენ იყო მიმართული.

გაერო-ს გენერალური მდივანი გამოთქვამს იმედს, რომ აფხაზეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სოხუმში მოხდება პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაცია, მხარეებს შორის დიალოგი განახლდება და შესაძლებელი გახდება ნდობის აღდგენა. კოფი ანანის განცხადებით, კონფლიქტის მოწესრიგება გულისხმობს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას. ამასთან, გაერო-ს შეფი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება კვლავ უარს ამბობს "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" გაერო-ს მიერ შეთავაზებული დოკუმენტის განხილვაზე.

20 იანვრის მოხსენებაში კოფი ანანი ხაზგასმით საუბრობს გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის როლზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებების განახლების თავიდან აცილებისა და პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. გენერალური მდივანი მოუწოდებს მხარეებს, უზრუნველყონ გაერო-ს პერსონალის უსაფრთხოება და თავისუფალი გადაადგილება.

დღევანდელი მონაცემებით, აფხაზეთში გაერო-ს მისია შედგება 117 სამხედრო დამკვირვებლისა და სამოქალაქო პოლიციის 11 თანამშრომლისგან. მისიის ხელმძღვანელია შვეიცარიელი ჰაიდი ტალიავინი, ხოლო მთავარი სამხედრო დამკვირვებელი - ეგვიპტელი გენერალ-მაიორი ჰუსეინ აჰმედ აისა გობაში.

24 საათი

"ელმავალმშენებელიც" რუსებმა იყიდეს

ეკონომიკის სამინისტრომ "ელმავალმშენებლის" აქციათა 51 პროცენტის მომავალი მფლობელის ვინაობა დაადგინა. ტენდერში რუსულმა კომპანია "დემა კომპიუტერს ლიმიტედმა" გაიმარჯვა, რომლის წინადადებაც "ელმავალმშენებლის" აქციათა საკონტროლო პაკეტში 4 მილიონ 150 ათასი დოლარის გადახდას გულისხმობდა. გამარჯვებული კომპანია მილიონ დოლარს უკვე თებერვალში, ხოლო დარჩენილ თანხას - სამ თვეში გადაიხდის. კომპანია სახელფასო ფონდის გაზრდისა და საწარმოში არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნების ვალდებულებასაც იღებს.

რაც შეეხება "საქართველოს საზღვაო სანაოსნოს" მფლობელს, მისი ვინაობა, სავარაუდოდ, სამშაბათს საღამოს გაირკვევა. ეკონომიკის მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, ვადების გადაწევა თავად პოტენციურმა ინვესტორებმა მოითხოვეს. ბოლო ინფორმაციით, სანაოსნოსთან ერთად, საპრივატიზაციო პაკეტში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ბათუმის ნავთობბაზაც შედის. პოტენციურ ინვესტორთა წინადადებები მთლიანი პაკეტის შესასყიდად 125-დან 130 მილიონ დოლარამდე მერყეობს. ლოტის შესყიდვის უფლებისთვის ბრიტანული "გრიონოკი", ავსტრალიური "ამსტრონგ ჰოლდინგი", შვეიცარიული "ვიტორი" და რუსული "პრომიშლენნიე ინვესტორი" იბრძვიან.

24 საათი

მონიტორინგის ჯგუფმა დარღვევები აღმოაჩინა

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის საბჭოს წევრებმა ისან-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს ქვეგანყოფილებები შეამოწმეს და სერიოზულ დარღვევებს მიაგნეს. საქმე ისაა, რომ 17 იანვარს დაკავებული შალვა ოქრუაშვილი, ავთანდილ ჯიქია, გიორგი ჩხაბერიძე, ბესიკ კაკულია, მართალია, დაკავების ჟურნალში გატარებული იყვნენ, მაგრამ შემდეგ ისინი სად გადაიყვანეს, მითითებული აღარ იყო.

მონიტორინგის ჯგუფმა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორის შემოწმებისას აღმოაჩინა დაკავებული დავით ქაშაკაშვილი, რომელსაც სხეულზე დაზიანებები აღენიშნებოდა. ქაშაკაშვილი ვაკე-საბურთალოს №1 ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. როგორც დაკავებულმა მონიტორინგის საბჭოს წევრებთან საუბრისას განაცხადა, დაკავებისას ვაკე-საბურთალოს №1 ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ჩამოართვეს ახსნა-განმარტება. 20 იანვარს დაკავებულთან მივიდა გამომძიებელი გოგიაშვილი და მას ჩვენების მიცემა მოსთხოვა და ადვოკატის დასწრებაზე ქაშაკაშვილს უარი განუცხადა. დაზარალებულმა მონიტორინგის ჯგუფის წევრებს განუცხადა, რომ გამომძიებელმა მისი ახსნა-განმარტება, ფაქტობრივად, თავის ხელით დაწერა, რამაც შესაძლოა საგამოძიებო მოქმედებების არასწორი მსვლელობა გამოიწვიოს. ქაშაკაშვილმა დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართა და მომხდართან დაკავშირებით რეაგირება მოითხოვა.

24 საათი

ფინანსურმა პოლიციამ თბილისში არალეგალური სამორინე აღმოაჩინა

ფინანსურმა პოლიციამ თბილისში არალეგალური სამორინე აღმოაჩინა. ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლები სპეცრაზმის დახმარებით ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე კაზინო "777"-ში შევიდნენ.

კაზინოს მესაკუთრე ავთანდილ როსნაძე სამორინეს ლიცენზიის გარეშე ამუშავებდა. გარდა ამისა, მას საგადასახადო ინსპექციაში არც ფიქსირებული გადასახადი ჰქონდა გადახდილი. ერთ მაგიდაზე ფიქსირებული გადასახადი 7 ათას ლარს შეადგენს.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად უკვე დადასტურდა, რომ კაზინო რამდენიმე თვის მანძილზე არალეგალურად ფუნქციონირებდა. ამოღებულია ნივთმტკიცებები - ბანქო, საბუთები და ა.შ. კაზინოში სამი მაგიდა ფინანსური პოლიციის შეცვლის მომენტშიც თამაშობდა, კიდევ სამი კი დაშლილ მდგომარეობაში იყო. კაზინოს ხელმძღვანელის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძვრება.

24 საათი

მოკლედ

პარლამენტარების შეხვედრა პრეზიდენტთან

სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და საპარლამენტო კომიტეტების წარმომადგენლებს შეხვდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ისაუბრეს პარლამენტის მუშაობისა და იმ კანონპროექტების შესახებ, რომლის განხილვაც უახლოეს მომავალში ქართველ კანონმდებლებს მოუწევთ.

ბურჯანაძის თქმით, განისაზღვრა პრიორიტეტები, რომლებსაც პარლამენტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის სამხედრო ინსტრუქტორები, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამმართველოს ოფიცრებისთვის, მართვისა და მენეჯმენტის სასწავლო კურსს მიმდინარე წელს რამდენჯერმე ჩაატარებენ.

სწავლება ამერიკის მთავრობის დაფინანსებით მიმდინარე "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამის" ფარგლებში ჩატარდა. აღნიშნული პროგრამა მეექვსე წელია, ხორციელდება. პროგრამის პრიორიტეტებს სისტემის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და კადრების მომზადება წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ხვალ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე დასასწრებად გაემგზავრება. დელეგაციას პარლამენტარი გიგა ბოკერია უხელმძღვანელებს. ოპოზიციიდან ევროსაბჭოში "მემარჯვენეების" წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე და "რესპუბლიკელების" წარმომადგენელი ლევან ბერძენიშვილი გაემგზავრებიან. სესიაზე ევროსაბჭოში გაწევრიანებისას საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი უნდა განიხილონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "კონსერვატორული პარტიის" შეფასებით, პრეზიდენტი სააკაშვილი ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების დახმარებით "ლუკაშენკოს მსგავსი სახელმწიფოს აშენებას ცდილობს." პარტიის წარმომადგენლის კახა კუკავას განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტით, საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნების კონსტიტუციურობის განხილვის ფუნქცია ჩამოერთვა და იგი მხოლოდ რომელიმე საარჩევნო ოლქში საარჩევნო დარღვევების საკითხს არკვევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაბროდინი საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი ბოევიკების შემოსვლის ალბათობას არ გამორიცხავს. ეს განცხადება მან საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, რეგიონულ სასაზღვრო სამმართველო "ყაზბეგში" ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. გარდა ამისა, ზაბროდინმა საზღვარზე ეუთო-ს დამკვირვებელთა საქმიანობა შეაფასა და განაცხადა, რომ "ეუთო-ს საშუალებით ხშირად არაზუსტი ინფორმაციები ვრცელდებოდა." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გუშინ საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელი როი რივი მიიღო.

როგორც შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს როი რივმა განუცხადა, ეუთო-ს მისიის მონიტორინგი რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე აღარ გაგრძელდება.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონში შექმნილ მდგომარეობას, რივის განცხადებით, ეუთო ამ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს და ეცდება, სიტუაციის განმუხტვა უახლოეს მომავალში მოხერხდეს. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

"თქვენ წინ მომავალი დანმაშავეები სხედან"

სერიოგინი მეტალურგიული კომბინატის და რუსთავის აღორძინებაზე მეტალურგთა საპროტესტო აქციის თანხლებით საუბრობდა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ფინანსური პოლიციის თანამშრომლები აუცილებელ მოთხოვნად აყენებენ, რომ შეჩერდეს ყველა სამუშაოს წარმოება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი კომბინატის ხელმძღვანელ პირთა მიმართ აღძრული იქნება სისხლის სამართლის საქმე. მათი მოთხოვნა ემყარება 2004 წლის 14 აპრილის რუსთავის სასამართლოს განჩინებას, კომბინატის მთლიან ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე. ეს განჩინება ჩვენ არ ჩაგვბარებია, რამაც შესაძლებლობა არ მოგვცა მისი გასაჩივრებისა. ცნობილია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედის კანონიერ ძალაში, როდესაც პროცესის მონაწილეებმა არ გამოიყენეს გასაჩივრების ვადა, ხოლო ვადის ათვლა იწყება ჩაბარების დღიდან," - ასეთია მთავარი სამართლებრივი კონტრარგუმენტი, რომელიც ინვესტორის მხარეს გააჩნია.

"24 საათი" რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს სოსო მუმლაძეს დაუკავშირდა, რომელმაც 14 აპრილს ზემოთ ხსენებული განჩინება მიიღო. მუმლაძის განმარტებით, სასამართლოს მხრიდან არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. რადგან 14 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება უკვე არსებული სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებას ითვალისწინებდა, რომელიც 24 საათში უნდა განხილულიყო, არ საჩივრდება და მის საფუძველზეც იწერება სააღსრულებო ფურცელი. "რამკ"-ის იურისტმა "24 საათს" დაუდასტურა, რომ მათ 27 აპრილს მიიღეს სააღმასრულებლო აქტი, თუმცა მისი შინაარსი ყოფილა გაურკვეველი.

"თქვენს წინაშე სხედან მომავალი დამნაშავეები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, გააგრძელონ მუშაობა, მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა," - ასეთი იყო "რამკ"-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის საბოლოო სიტყვა. სერიოგინი დიდ იმედს ამყარებს საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტზე იტალიაში, რომელიც 4 მარტს შედგება. **"ჩვენ გვინდა, რომ მეტალურგიული კომბინატის ტერიტორიაზე სამრეწველო ინდუსტრიული ცენტრი ამუშავდეს და ამ ვიზიტის დროს სწორედ ეს საკითხი განიხილება ძალიან მაღალ დონეზე,"** - განაცხადა მან.

გაიყიდება თუ არა სტრატეგიული ობიექტი?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საქართველოს გაზის კორპორაციის თავმჯდომარისა და "თბილგაზის" გენერალური დირექტორის სტუმრობაც გახდეს საჭირო.

წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით კი, "თბილსრესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ენერგობლოკებს ხელისუფლება 25 მილიონ დოლარად აფასებს. სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძის განმარტებით, **"თბილსრესის" ბლოკებთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება, ჯერჯერობით, მიღწეული არ არის."**

"გაზპრომის" წარმომადგენლებთან საუბარი "თბილგაზის" პრივატიზებასაც შეეხო. რუსული ენერგოგიგანტის დაინტერესება თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელით ახალი არ არის. "გაზპრომის" წარმომადგენლებს "თბილგაზის" მაქსიმალურ სავარაუდო ღირებულებად 50 მილიონი დოლარი (ძველი ვალების ჩამოწერით) უკვე კარგა ხანია, რაც დასახელებული აქვთ. სამთავრობო გუნდი "თბილგაზის" ღირებულების 100 მილიონ დოლარამდე გაზრდას ცდილობს, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, თუ შეთანხმება შედგა, "გაზპრომის" მიერ "თბილგაზში" დახარჯულ-გაქვითული თანხა ჯამში 80 მილიონ დოლარს მიაღწევს. გარიგების აუცილებელ წინაპირობად კვლავ თბილისის უწყვეტი გაზმომარაგება რჩება.

მაგრამ მთავარი მაინც საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებია - მათზე კონტროლის მოპოვება "გაზპრომის" სტრატეგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად რჩება. საქართველოს მთავრობა მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზების შესაძლებლობას უარყოფს და აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მთავრობას მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის გადაწყვეტილება არ მიუღია. **"ჯერჯერობით, ამ საკითხზე ჩამოყალიბებული არ ვართ. ეს არის სტრატეგიული ობიექტი, რომელთან მიმართებაშიც ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი,"** - ასეთია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას პოზიცია. თუმცა, თუ "გაზპრომმა" გულუხვი წინადადებით ხელისუფლების გული მოიგო, არ არის გამორიცხული, სტრატეგიულ ობიექტთა ნუსხის გადახედვაც გახდეს საჭირო. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ნათია თურნავას განმარტებით, **"თუ რუსულ კომპანიასთან გარკვეული შეთანხმება მოხდება, ყველა გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი."**

"გაზპრომის" დელეგაციის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს სამთავრობო კულუარებში მზადდებოდა წინადადება "გაზპრომისთვის", რომლის თანახმად რუსულ ენერგოგიგანტს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების მართვა უნდა ეკისრა და მათ სარეაბილიტაციოდ 300 მილიონი დოლარი დაეხარჯა. ამ ეტაპზე კი, მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზებაზე საუბარი არ შედგა: "გაზპრომი" საქართველოს გაზსადენებისთვის 300 მილიონი დოლარის გაღებას არ აპირებს და მხოლოდ 150 მილიონის დახარჯვა სურს. არადა, თავად "გაზპრომის" სპეციალისტთა მიერ ამ ორი წლის წინ ჩატარებული ე.წ. "უხეში გათვლებით", სწორედ 300 მილიონი დოლარი ჯდება საქართველოს გაზის მაგისტრალების წესრიგში მოყვანა.

საქართველოზე ეკონომიკური გავლენის უმავრესი ბერკეტის ხელში ჩაგდებაზე რომ აღარაფერი ითქვას, ამ მილსადენებით "გაზპრომი" თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გაზის ინფრასტრუქტურას დაუკავშირდება, ხოლო ირანთან მაკავშირებელი გაზსადენის აღდგენის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთის გაზის რესურსების სატრანსპორტო მაგისტრალის ფორმირებას, ფაქტობრივად, დაასრულებს. ამ ვითარებაში კი, ექსპერტთა ვარაუდით, შაჰდენიზის მილსადენი არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოში აღმოჩნდება. **"ამ ვითარებაში რუსეთს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები არა თუ 300 მილიონი, არამედ უფრო მეტადაც უღირს,** - განუცხადა "24 საათს" საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმსარულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ, - **"გაზპრომი" არ არის, თუნდაც, "ევრაზჰოლდინგი". ის 100-პროცენტიანი სახელმწიფო კომპანიაა და მასთან გარიგებაზე წასვლამდე დაფიქრებაა საჭირო."** ისაკაძის თქმით, პრივატიზაცია კარგია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს იქნება ნაბიჯი უკან, რადგან პრივატიზაცია სტრატეგიულ ობიექტებს არ უნდა შეეხოს: **"უნდა გაიყიდოს პორტი, მაგრამ არა აკვატორია; აეროპორტი, მაგრამ არა საფრენი ზოლი; გაზის ინფრასტრუქტურაც, მაგრამ არა - მაგისტრალური."**

დაბოლოს: ერთ-ერთი რჩევა დონორების მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის მომზადებული სარეკომენდაციო პაკეტიდან: **"საქართველოს სჭირდება ენერგეტიკული უსაფრთხოების გეგმა, რომელიც მიზნად ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას დაისახავს."** ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს გეგმა სტრატეგიული მილსადენების "გაზპრომის" გავლენის სფეროში მოქცევას გულისხმობდეს...

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

"კადრები წყვეტენ ყველაფერს"

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

იოსებ სტალინის მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში წარმოთქმული ეს თეზისი ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. ის სხვებზე ადრე მიხვდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა სხვა არაფერი იყო, თუ არა პარტიული დიქტატურა, ხოლო პარტიული დიქტატურა პრაქტიკაში - პარტიული აპარატის დიქტატურას წარმოადგენდა. პარტიულ-სახელმწიფოებრივ აპარატზე კონტროლის მიღწევის მისეული მეთოდი კი, პირველ რიგში, შესაბამის საკადრო პოლიტიკაზე იყო დაფუძნებული და, რადგან იმის გაფიქრებაც, რომ სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას და მის ბელადებს შეეძლოთ დაეშვათ "ცუდი კანონების" მიღება, მკრეხელობად ითვლებოდა, ი. სტალინმა შესაბამისი ცვლილებები შეიტანა ოტო ბისმარკის ცნობილ გამოთქმაში: "ცუდი კანონებითა და კარგი ჩინოვნიკებით შეიძლება მართვა".

თუ სამი-ოთხი წლის წინანდელ პრესას თვალს გადავავლებთ, პრაქტიკულად ძნელად თუ ვიპოვით ქვეყნის საკადრო პოლიტიკის ღრმა ანალიზს ან ამ პრობლემასთან დაკავშირებულ პოზიცია-ოპოზიციის მძაფრ კამათს. ძირითადი აქცენტი მმართველობითი სისტემის ინსტიტუციონალურ და სისტემურ ცვლილებებზე იყო გადატანილი. ეს შემთხვევითი მოვლენა არ გახლდათ, ვინაიდან ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა. საერთოდ წინა ხელისუფლებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყნის საკადრო პოლიტიკას, რადგან: 1. კომუნისტური ეპოქიდან მოყოლებული, ბატონი ედუარდ შევარდნაძის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ის წარმოადგენდა, რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არავინ უნდა გამოჩენილიყო ისეთი, ვისი ქვეყნის პირველ პირად მოაზრება მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იქნებოდა. ხოლო თუ ვინმეს ავტორიტეტი ზრდას იწყებდა, მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორების სხვადასხვა მეთოდი არსებობდა; 2. დაბალანსებისა და "მართვადი კადრების" (როცა აუცილებლობის შემთხვევაში მაგიდაზე იდებოდა წინასწარვე მომზადებული კომპრომატი) სისტემის ჩამოყალიბებით, სათავე დაედო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არაპროფესიონალებისა და არაკომპეტენტური კადრების დანინაურებას; 3. ხელისუფლება არათუ შეეცადა მწყობრი, სახელმწიფოებრივი საკადრო პოლიტიკა ჩამოეყალიბებინა და მისი რეალიზება მოეხდინა, არამედ იმდენი მოახერხა, რომ საჯარო სამსახურში ყოფნაც კი სამარცხვინოდ აქცია. გაიხსენეთ, როგორ მოიხსენიებდა პრესა სახელმწიფო მოხელეებს: ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში; 4. სახელმწიფო სამსახურში ავსაც და კარგსაც, ცოდნასა თუ უცოდინარობას ერთი ფასი ჰქონდა, ხოლო რიგ შემთხვევაში აქტიურობა და კომპეტენტურობა საშიშიც იყო, რის შედეგადაც საჯარო სამსახურის მთავარი პრინციპი, მეფის რუსეთისდროინდელი დევიზი - "Я начальник - ты дурак, ты начальник - я дурак" - იყო; 5. 10-12 წლის განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ ახალგაზრდა კადრებს სისტემური განათლება მიეღოთ და კვალიფიკაცია აემაღლებინათ დასავლეთში (როდესაც სისტემურ განათლებაზე ვსაუბრობ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მაქვს 2-3-თვიანი კურსები); საჯარო სამსახურში ფესვგადგმულ კორუფციაზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ მკითხველის გადაღლას აღარ ვაპირებ.

რევოლუციას თავისი კანონები აქვს. ამიტომ, ვისაც ორი წიგნი მაინც წაუკითხავს, მისთვის არც "საკადრო კარუსელები", ასობით კანონიერად თუ უკანონოდ გათავისუფლებული სახელმწიფო მოხელე, საკადრო შეცდომები თუ წინასწარვე წარუმატებლობისთვის განწირული საკადრო გადაწყვეტილება იყო მოულოდნელი. რასაკვირველია ცუდია, როდესაც წყალს ბავშვსაც გადააყოლებენ, როცა საკადრო წმენდაში წესიერი, კომპეტენტური და გამოცდილი ხალხიც მოჰყვება, მაგრამ ვიმეორებ, რევოლუციას თავისი დაუწერელი კანონები აქვს. გასაოცარი თუ სასაცილო უფრო ისაა, რომ რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული "პირველი ტალღის" წარმომადგენლები სამუშაოდან გათავისუფლების ან "საკადრო მჭიდიდან" ამოვარდნის შემდეგ გაჰყვირიან - უსამართლოდ მომექცენო. რასაკვირველია, უსამართლობა და არამართლზომიერი ქმედება ყოველთვის გაუმართლებელია, მაგრამ უცაბედად არ შეიძლება ზოგიერთი ყოფილი პარტიული ლიდერის შთამომავლის განცხადება არ გაგახსენდეს: ი. სტალინი და ლ. ბერია ჩვენს მშობლებს 37-ში უსამართლოდ მოექცნენო. ის კი ავიწყდებათ, რომ მანამდე ბევრმა მათგანმა არა მარტო ქართული საზოგადოების ელიტა გაანადგურა, არამედ არც თავიანთი პარტიული ამხანაგებისთვის დაუკლიათ ხელი.

მართალია საქართველოს პრეზიდენტი ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებით ცდილობს, ქვეყანაში არა მარტო ოპტიმალური მმართველობითი სისტემა ჩამოაყალიბოს, არამედ საკადრო "შიმშილიც" დაძლიოს, მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტა ურთულეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში საშუალო რანგის მოხელის ჩამოყალიბებას ათი წელი მაინც სჭირდება, ხოლო მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, ეტაპობრივი კარიერული ზრდის პირობებში (რაც ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს) 10-20 წელიწადში ყალიბდება. ამ პროცესის ფორსირება კი უამრავ უარყოფით მომენტს შეიცავს და პრაქტიკულად ძალზე ძნელია.

პრეზიდენტი ობიექტურად დაინტერესებულია ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვით, მაგრამ უკვე გარკვეულწილად ჩამოყალიბებული სახელისუფლებო აპარატი რამდენად მისცემს მას ამის საშუალებას, ძნელი სათქმელია. ღმერთმა დამიფაროს, მხედველობაში მქონდეს "კარგი მეფისა და ცუდი ბოიარების" თეორია. არა, მაგრამ ნებისმიერ ბიუროკრატიულ მანქანას თავისი კორპორატიული ინტერესები აქვს და "ყურმოჭრილობის" დემონსტრირების მიუხედავად, ყოველთვის ცდილობს პირველი პირის შეძლებისდაგვარად იზოლაციაში და ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცევას, ხოლო ამ იზოლაციიდან თავის დაღწევა და რეალური ინფორმაციის მიღება არა მარტო სურვილზე, არამედ პოლიტიკური ნების სიძლიერეზე და ინტელექტუალურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

სხვანაირად ძნელია, ახლნა მოეძებნოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ეკონომიკური საბჭოს შექმნის თაობაზე. ქვეყანას, რომელსაც პრემიერ-მინისტრიც ჰყავს, ფინანსთა მინისტრიც და ფაქტობრივად ეკონომიკის ორი მინისტრი, საბჭო არ უნდა სჭირდებოდეს. მაგრამ პრეზიდენტმა იცის, რომ ეკონომიკა მხოლოდ ფისკალური პოლიტიკა და თუნდაც კარგი ადმინისტრირება არ არის, რომ იმ კავარდაკის ფონზე, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იყო (სწორედ კავარდაკის, რადგან ნორმალურ ბარდაკში გაცილებით მეტი წესრიგია. ბოდიშს ვიხდი ამ რუსული გამოთქმისთვის) შეუძლებელი არ იყო საბიუჯეტო მაჩვენებლების ზრდის მიღწევა, მაგრამ ზღვარი მალე მიღწეული იქნება და თუ რადიკალური ნაბიჯები არ გადაიდგა, სტაგნაციის პერიოდი არ დაიგვიანებს. ბოლოს და ბოლოს ეკონომიკა ქარვასლა არაა, დღეს თუ არა ხვალ მოსახლეობა პასუხს არა ზარ-ზეიმით გაცხადებულ ეკონომიკის ზრდის პროცენტზე მოითხოვს, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და "ჯონჯოლის ინდექსზე".

ამას წინათ ვწერდი იმის შესახებ, რომ ქართველები კვალიფიკაციის, ზოგადი განათლების, ერუდიციისა და გამოცდილების მიუხედავად, "ფართო პროფილის სპეციალისტები" ვართ. დავუმატებდი - და ერთნაირი "წარმატებით" შეგვიძლია ვუხელმძღვანელოთ როგორც საზღვაო, ისე საჰაერო ფლოტს. მთავარია ყურმოკვრით მაინც ვიცოდეთ, რომ ერთ შემთხვევაში ზღვასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორეში ცასთან. არსებული ვითარების რადიკალურად შეცვლა ვერც ორ თვეში მოხერხდება და ვერც ორ წელში, ხოლო ზედმეტმა წუწუნმა და ვაივუშმა შეიძლება უკურეაქციაც გამოიწვიოს. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის ერთობლივი მუშაობა, რათა უმოკლეს დროში შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ჩამოყალიბდეს კადრების შერჩევის, მომზადებისა და გადამზადების ერთიანი მწყობრი სისტემა. როცა კადრების შერჩევაზე და მათი უფლებების დაცვაზე ვსაუბრობ, მხედველობაში ის მოხელეები მყავს, ვინც სამინისტროებსა და სახელმწიფო უწყებებში პირველ პირებს გადაწყვეტილებებს უმზადებს და მათ რეალურად პრაქტიკაში ახორციელებს (მინისტრის მოადგილით დაწყებული და რეფერენტით დამთავრებული), თორემ მინისტრები პოსტრევოლუციურ პერიოდში კი არა, ჩვენზე უფრო განათლებულ, მდიდარ, ძლიერ და ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებშიც, პირველ რიგში, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან და ლოიალობიდან გამომდინარე ინიშნებიან.

დაბოლოს. არსებობს თანამდებობები, რომლებიც თავისთავად არც ძალაუფლებას იძლევა და შეიძლება არც რეალურ გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, მაგრამ თავისი ჟღერადობით განსაკუთრებულ სტატუსს იძენენ. პირადად ჩემთვის მიუღებელი სრულებითაც არ არის, როცა გადაწყვეტილება რადიკალურად განსხვავებული პოზიციების ჭიდილში მიიღება, მაგრამ 18-20 წლის ბიჭებისათვის ძნელად გასაგებია, როდესაც პრეზიდენტის მრჩეველი აცხადებს, რომ "... ოფიციალურმა თბილისმა თავად უნდა თქვას უარი აფხაზეთიდან დევნილთა იმ რაოდენობის დაბრუნებაზე, რამდენმაც 1992-1993 წლებში დატოვა რეგიონი", რადგან მათთვის ის არა მარტო პრეზიდენტის, არამედ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მრჩეველიცაა, რომლის ერთ დაძახებაზე ათასობით მათგანმა ტყვიას უნდა შეუშვიროს შუბლი. მეტს არაფერს ვიტყვი, გამგები გამიგებს.

უცხოურ სადაზღვევო კომპანიებს ახალი კანონი შეღავათებს უწესებს

ამ დღეებში პრეზიდენტმა იმ კანონს მოაწერა ხელი, რომელიც ექსპერტებისა და სადაზღვევო კომპანიების შეფასებით, საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. სექტორის კონკურენტუნარიანობის შემცირება, მომხმარებლის დაუცველობა, საფინანსო ბაზრისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შეფერხება - ეს იმ საშიშროებების არასრული ჩამონათვალია, რომელიც ექსპერტების რწმუნებით, ქვეყანას ხსენებული ცვლილებების გამო ემუქრება.

ეთერ მამულაშვილი

კანონში ცვლილებების გატარებამდე, რომელიც პარლამენტმა ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღო, სადაზღვევო კომპანიები პრესისა და საკანონმდებლო ორგანოსთან მოლაპარაკებების საშუალებით ცდილობდნენ, მათივე თქმით, "მოსალოდნელი საშიშროების" თავიდან აცილებას.

ამ ერთგვარი ხმაურის შემდეგ ცვლილებების ავტორმა, ფინანსთა სამინისტრომ, მართალია, კანონპროექტის პირვანდელ ვარიანტში გარკვეული სახის ცვლილებებიც შეიტანა, თუმცა, როგორც სადაზღვევო ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი ირწმუნება, მისი და სადაზღვევო კომპანიების ძირითადი შენიშვნები კვლავაც ძალაში რჩება. ხეჩინაშვილი ამბობს, რომ ახალი კანონის თანახმად, უცხოურ სადაზღვევო კომპანიებს გარკვეული სახის პრივილეგიები და შეღავათები ეძლევათ.

უფრო კონკრეტულად: სულ მალე ნებისმიერ უცხოურ სადაზღვევო კომპანიას საქართველოში ფილიალის საშუალებით მუშაობა შეეძლება. ფილიალი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედ სადაზღვევო რეგულირების ნორმებს, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემულ წესებსა და ნორმატიულ აქტებს ხშირ შემთხვევაში არ დაექვემდებარებიან.

მაგალითად: ხსენებულ სამსახურს, უცხოური სადაზღვევო კომპანიის ფილიალზე საფინანსო ზედამხედველობა ამ კანონით ეზღუდებათ, რაც **"ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სადაზღვევო სფეროში. ეს სამსახური ვერ შეამოწმებს შესაბამისობას ფილიალის მიერ აღებულ რისკებსა და საკუთარ რეზერვებს, საშუალებებს შორის,"** - ამბობს დევი ხეჩინაშვილი. მისივე ინფორმაციით, ახალი კანონის თანახმად, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური უცხოური სადაზღვევო კომპანიის ფილიალზე გასცემს ლიცენზიას, თუმცა ეს მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება ქართული კანონმდებლობით დაფუძნებულ კომპანიებზე გაცემული ლიცენზიისგან.

მოკლედ რომ ვთქვათ, ხსენებული სამსახურის მიერ გამოცემული სხვადასხვა სახის ნორმატიული აქტები, თუ რეგულირების წესები, საქართველოში უცხოური სადაზღვევო კომპანიის ფილიალზე გავრცელდება მხოლოდ საკონტრაქტო და არავითარ შემთხვევაში საფინანსო ნაწილში.

მორიგი პრეტენზია, რომელიც ოპონენტებს ახლადმიღებული კანონის მიმართ გააჩნია, ირიბად მომხმარებლის უფლებებსა და ინტერესებს უკავშირდება. ახალი სადაზღვევო კანონის თანახმად, კომპანიის ფილიალის მიმართ წარმოქმნილ ნებისმიერ სადავო საკითხს იმ ქვეყნის სასამართლო და კანონმდებლობა გაარჩევს, სადაც ხსენებული ფილიალი იქნება რეგისტრირებული. ალბათ, რთულად თუ მოიძებნება საქართველოს ის მოქალაქე, რომელიც ასეთ შემთხვევაში საკუთარი უფლებების დასაცავად, ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, ან სხვა რომელიმე შორეული სახელმწიფოს სასამართლოს მიმართავს. ფაქტი ერთია, რომ ამის რეალური შესაძლებლობა დღეს საქართველოში მხოლოდ ერთეულებს თუ ექნებათ. **"ეს ცალსახად არის მომხმარებლის უფლებების შეზღუდვა. ადგილობრივ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ მან მიმართოს ადგილობრივ სასამართლოს, ადგილობრივი პროცედურების დაცვით, და ეძიოს სამართალი საქართველოს სასამართლო სტრუქტურებში,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს BCI-ის გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერმა ივა დავითაიამ.

მისივე თქმით, კიდევ ერთი შეღავათი, რომელიც უცხოური სადაზღვევო კომპანიის ფილიალებს საქართველოში ეძლევათ, ეს დაბალი საგადასახადო განაკვეთებია. **"კანონში არ იყო მკაფიოდ გაწერილი ის მუხლები, რომელიც ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულებას ეხება. ამიტომაც სადაზღვევო კომპანიის ფილიალებს ამ მუხლების ისე ფორმულირება შეეძლოთ, რომ მათ რეალურად ესარგებლათ საგადასახადო შეღავათებით,"** - დასძენს დავითაია. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ საქართველოში დღემდე რეგისტრირებულ სადაზღვევო კომპანიებს არათანაბარ პირობებში მოუწევთ მუშაობა.

სხვათა შორის, მოქმედ კანონში ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების მიღებას, სადაზღვევო კომპანიების გარდა, საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა და გადამხდელთა კავშირიც აპროტესტებდა. მათი შეფასებით, ხსენებული ცვლილებები საქართველოში მოქმედ და რეგისტრირებულ სადაზღვევო კომპანიებს ჩრდილში გადანაცვლებას აიძულებს, რაც, თავისთავად, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებზე უარყოფითად აისახება.

ექსპერტების უმრავლესობას უკვირს, თუ რაში დასჭირდება ხელისუფლებას ამ კანონის მიღება მაშინ, როცა მანამდე არსებული სადაზღვევო კანონმდებლობა გამოირჩეოდა საკუთარი ლიბერალიზმით და გამჭვირვალობით, რაც ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის ფადი ასლის თქმით, მისაღები იყო როგორც უცხოელი ინვესტორებისთვის, ისე ადგილობრივი კომპანიებისთვის **"და შესაბამისად, ის არანაირ ცვლილებას არ საჭიროებს."**

კანონპროექტის ავტორები ყველა ბარლდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები მხოლოდ ერთი მიზნით - უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ინვესტორებისათვის დღეს არსებული რეგისტრაციის პროცედურების გასამარტივებლად გაკეთდა. **"შეღავათიანი პირობები გათვალისწინებულია მხოლოდ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ქვეყნებისათვის, სადაც სადაზღვევო კომპანიათა რეგულირების მექანიზმი ბევრად დახვეწილია, ვიდრე დღეს ეს საქართველოშია,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრის დროს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურა ანთელიძემ. მისივე განცხადებით, უცხოური სადაზღვევო კომპანიები საგადასახადო კოდექსის მიმართ ქართული სადაზღვევო კომპანიების მსგავსად იქნებიან ანგარიშვალდებულნი, შესაბამისად, გადასახადებსაც ქართული კომპანიების მსგავსად გადაიხდიან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს
არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით
სკოლების რეაბილიტაციის პროგრამაზე
გრანტის მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილე ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ჰქონდეს ამ სფეროში არანაკლებ ორი წლის სამუშაო გამოცდილება;
- მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ორი გრანტისა.

კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ:

- ორგანიზაციის წესდება:
- სასამართლო დადგენილება:
- ინფორმაცია გრანტების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი უნდა წარადგინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გრანტების სამმართველოში, ოთახი N324
2005 წლის 28 იანვრამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
გრანტების სამმართველო
თბილისი, უზნაძის 52
ტელ: 95 48 69
საკონტაქტო პირი: ეკა დგებუაძე

"ტელეკომი"-ს 51-პროცენტიანი წილი "მეტრომედიას" გადაეცემა

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო კახა ბენდუქიძის მინისტრობის დროინდელი მოლაპარაკებების "დასრულებას" და ოფიციალურად გაფორმებას განაგრძობს. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ საბოლოოდ გადაწყვეტილია კიდევ ერთი, რეალურად უმნიშვნელოვანესი ობიექტის პირდაპირი მიყიდვის წესით გაყიდვა: უახლოეს პერიოდში "საქართველოს ტელეკომის" საკონტროლო პაკეტის მფლობელი ამერიკული კომპანია "მეტრომედია" (დამფუძნებელი -"ინტერნეიშენელ ტელსელი") გახდება.

როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა, ვინაიდან "მეტრომედია" ტელეკომის 30-პროცენტიანი წილის მფლობელია, წესდების მიხედვით, მას კომპანიის დარჩენილი წილის პირველადი შესყიდვის უფლება აქვს. "მეტრომედიას" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 51-პროცენტიანი წილი 5 მილიონ დოლარად პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა.

"ხელშეკრულება უახლოეს მომავალში გაფორმდება და 51-პროცენტიანი წილის შესყიდვის შემდეგ ამერიკული კომპანია "ტელეკომის" 81 პროცენტის მფლობელი გახდება," - აღნიშნა ალექსიშვილმა.

"ტელეკომის" საწესდებო კაპიტალი 8 მლნ. 512 ათასი დოლარია. "ტელეკომის" დებიტორული დავალიანება 19 მლნ. ლარია, ხოლო კრედიტორული - 7 641 000 ლარი.

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის კომპანია - შპს "საქართველოს ტელეკომი" 1994 წელს შეიქმნა. მისი დამფუძნებლები იყვნენ საქართველოს კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტრო (40%), შპს საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი (11 %) და Metromedia International Telecomunications, INC (30 %), Bulcom-C Ltd. (19 %).

კომპანია უზრუნველყოფს სატელეფონო კავშირს საქართველოს ტერიტორიაზე, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს შორის და საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

შეგახსენებთ, რომ პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებას, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტი ახორციელებს. ასე რომ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და კომპანია "მეტრომედიას" (დამფუძნებელი "ინტერნეშენალ ტელსელ ინკ") შორის მიღწეული შეთანხმება ძალაში დოკუმენტზე პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ შევა.

24 საათი

საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევების ცენტრი
01 79, თბილისი, საჭალოველი, ფალიაშვილის ქ1/6
ტელ/ფაქსი (995 32) 92 25 51 www.eprc.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

2004 წლის ბიუჯეტის შესრულება

საბიუჯეტო ბიუჯეტის შემოსავლები და ბიგმა 2004 წელი							
	სამეო დასარეგისტ.	საგადასახადო დასარეგისტ.	არასაგადასახადო მიღებული	კაპიტალური მიღებული	გრანტები	ფულადი ტრანსფერტების ნაშთების	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებული
წლიური გეგმა ძველი (მლნ ლარი)	491.60	706.38	256.61	81.40	119.04	271.14	1926.17
წლიური გეგმა ახალი (მლნ ლარი)	542.15	750.88	246.59	81.40	121.27	184.07	1926.36
წლიური შესრულება (მლნ ლარი)	586.80	779.37	256.33	67.01	121.94	183.70	1995.15
წლიური შესრულება (პროცენტული)	108%	104%	104%	82%	101%	100%	104%
სხვაობა გეგმასთან (მლნ ლარი)	44.65	28.49	9.74	-14.39	0.67	-0.37	68.79





ნზე" მოდის. საინტერესო დეტალი - "თბილავიამშენმა" 30 დეკემბერს ჩარიცხა 10 მილიონი ლარი საპრივატიზაციო თანხა, ხოლო 31 დეკემბერს, თურქმენეთის ვალის მომსახურების ანგარიშში, იმავე "თბილავიამშენს" 10 მილიონი ლარი გადაერიცხა...

ამასთან ერთად, გრანტების გეგმა იყო 121 მილიონი და დეკემბერში ამ თანხიდან მობილიზებული იყო 54,4 მილიონი ლარი. მათ შორის, 18 მილიონი ბოლო დღეს - 31 დეკემბერს.

არასაგადასახადო შემოსავლებში კი დეკემბერში შემოვიდა 40,5 მილიონი (სულ გეგმა იყო 246 მილიონი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასულ წელს, ისევ პოსტ-ფაქტუმ, დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოხდა 2004 წლის ბიუჯეტის კანონის კორექტირება, რაც, ბიუჯეტის გადაჭარბების მიუხედავად, ნამდვილად ვერ იქნება მისასალმებელი პრაქტიკა: შესწორებების თანახმად, გაიზარდა საბაჟოს გეგმა 50,5 მილიონი ლარით, (თუმცა საბაჟო დეპარტამენტმა ამ მაჩვენებელსაც გადააჭარბა 45 მილიონი ლარით), საგადასახადო დეპარტამენტს კი შემოსავლების გეგმა 44,5 მილიონი ლარით გაუზარდეს (გადაჭარბება იყო 28,5 მილიონი ლარი). არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა 10 მილიონი ლარით შემცირდა, თუმცა, შემცირებული გეგმა 9,7 მილიონი ლარის გადაჭარბებით შესრულდა. კაპიტალური შემოსავლები დარჩა 81, 4 მილიონი და გეგმის შესრულებას დააკლდა 14,4 მილიონი. გრანტების გეგმა გაიზარდა 2,3 მილიონით და გადააჭარბეს 0,7 მილიონით. ამის ხარჯზე, ბიუჯეტის დეფიციტი 87 მილიონი ლარით შემცირდა, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია, და 184 მილიონი ლარი შეადგინა. ანუ ეს ნიშნავს, რომ კანონი "მოერგო" წლის ბოლოსთვის შექმნილ სიტუაციას, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საბოლოო ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ამ ცვლილებების შედეგად გეგმა დარჩა უცვლელი - 1 926 მილიონი ლარი.

დახურულ ბაზარში სიტუაცია უმართავია

"საქართველოს სავაჭრო ცენტრი" მოსახლეობას უკონტროლო ბაზარში პროდუქტის შეძენისაგან თავის შეკავებას ურჩევს

თამარ კაკაბაძე

"საქართველოს სავაჭრო ცენტრის" ხელმძღვანელობამ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. კოლმეურნეთა ბაზარში სიტუაცია სრულიად უკონტროლო გახდა, მოვაჭრეები შენობაში აღარ უშვებენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და თანამშრომლებს, დაუცველია ელემენტარული უსაფრთხოების ნორმები.

თბილისელებს, ალბათ , ვერც წარმოუდგენიათ, რომ პროდუქტი, რომელსაც ისინი დახურულ ბაზარში ყიდულობენ, არ მოწმდება და არავინ აგებს პასუხს იმაზე, თუ ვინ რა ხარისხის პროდუქციას ყიდის. აღარ არსებობს ამაზე პასუხისმგებელი სამსახური. დედაქალაქის ცენტრში, თბილისის მერიიდან 100 მეტრის მანძილზე, პრაქტიკულად სრული ანარქია სუფევს.

მოვაჭრეებს დაკავებული აქვთ სავაჭრო ცენტრის კუთვნილი შენობის პირველი სართული, უარს აცხადებენ აღნიშნული ფართიდან გასვლაზე და მეპატრონეს ხელს უშლიან სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. "საქართველოს სავაჭრო ცენტრი", რომელიც არის შენობის ორივე სართულის, მათ შორის ბაზრის ტერიტორიის მფლობელი, ვეღარ ახორციელებს თავის სამეურნეო საქმიანობას.

პრესკონფერენციაზე ცენტრის დირექტორმა პაატა ნამორაძემ ოფიციალური განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სააქციო საზოგადოება **იხსნის პასუხისმგებლობას მოსახლეობის შესაძლო მოწამვლის შემთხვევაში. გამორიცხული არ არის, სრულიად უკონტროლო ბაზარში შეძენილი პროდუქტით მოსახლეობა მოიწმლოს. მით უმეტეს, რომ თბილისის მერიის სანიტარიული სამსახური დიდი ხანია სანიტარიული ნორმების დარღვევის გამო ბაზრის დაკეტვას ცდილობს.**

ეს შენობა კარგა ხანია, კერძო საკუთრებაა და აქციების მფლობელ, საქართველოს 47 მოქალაქეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება აქვს, ასევე კანონით მინიჭებული უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი ქონება. ბაზრის მოვაჭრეთა აქციის გამო სერიოზული მატერიალური ზარალი მიადგა როგორც საქართველოს სავაჭრო ცენტრს , ისე მის შენობაში განთავსებულ 42 კერძო კომპანიას, სადაც 250-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

საქართველოს სავაჭრო ცენტრი ქვეყნის ხელისუფლებას მისი კერძო საკუთრების დაბრუნებაში დახმარებას სთხოვს.

სააქციო საზოგადოება საბოტაჟად აფასებს ბოლო 3 დღის განმავლობაში კოლმეურნეთა ბაზარში განვითარებულ მოვლენებს. გუშინ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის პროკურატურაში სს "საქართველოს სავაჭრო ცენტრის" დირექტორის პაატა ნამორაძის განცხადება შევიდა საბოტაჟის მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით, "საქართველოს სავაჭრო ცენტრის" კუთვნილ ფართში მოვაჭრეთა მხრიდან შეჭრის, საწარმოს ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და თანამშრომელთა სხეულის დაზიანების, ნივთების დაზიანებისა და განადგურების, საწარმოს ფუნქციონირებისათვის ხელშეშლის ფაქტზე.

ავტოკრატი მმართველის არაპოპულარული სოციალური რეფორმები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"იმედების პრეზიდენტიდან" პუტინი ჩვეულებრივ პრეზიდენტად იქცევა, თუმცა ბოლო ვადით მმართველობის დროს ამას უკვე აღარ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

სახელისუფლებო ვერტიკალის სათავეში მდგომი ვლადიმირ პუტინი კი სოციალური რეფორმის არაეფექტურობაში ბრალს მხოლოდ თავის წინამორბედს სდებს. **"შეღავათების მონეტიზაციის გამო ხელისუფლების კრიტიკას მოჰყვებიან როგორც მემარცხენეები, ასევე მემარჯვენეებიც, რომლებიც მაშინ, როცა კაპიტალიზმის ოლიგარქიულ სისტემას ქმნიდნენ რუსეთში და არად დაგიდევდნენ სახელმწიფო ქონების განიავებას, ისეთ არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რომელთა შესრულება აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო,"** - განაცხადა პუტინმა.

საკუთარი მოსახლეობის უკმაყოფილების პირისპირ მარტო დარჩენილი კრემლის ერთპიროვნული მმართველი იძულებული გახდა, პენსიებისა და იმ კომპენსაციების 15 პროცენტამდე გაზრდაზე დათანხმებულიყო, რაც სოციალურად დაუცველ ფენას შეღავათების ნაცვლად ბიუჯეტიდან გამოეყოფათ. სახელმწიფო სათათბიროში შეღავათების შესახებ კანონის განხილვისას ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების მინისტრის მიხაილ ზურაბოვის მიერ გაკეთებული განცხადებით, მიმდინარე წლის აპრილში პენსიების ინდექსაციის შემდეგ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის შეღავათების ნაცვლად გაღებული ფულადი კომპენსაციის დამატებით პენსიის რაოდენობა საშუალოდ 7 200-7 300 რუბლი იქნება. რაც შეეხება, მეორე მსოფლიო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს, მათი პენსია საკომპენსაციო დანამატით 2 750 რუბლი გახდება. მეორე ჯგუფის ინვალიდების პენსიის რაოდენობა კი 2 630-2 650 რუბლით განისაზღვრა. გარდა ამისა, შეღავათებით მოსარგებლე ყოველი პირი უფლებამოსილია, აიღოს "ერთიანი სოციალური სამგზავრო საბუთი", რომლითაც ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტში ისარგებლებს. აღნიშნული საბუთის ღირებულება ზემოაღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებისათვის შესაბამისი საკომპენსაციო თანხის ეკვივალენტური იქნება. სოციალური შეღავათები შეუნარჩუნდა მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს.

პუტინის რეიტინგის ვარდნას სხვადასხვაგვარად აფასებენ ექსპერტები. დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ვლადიმირ ჟარიხინის თქმით, სოციალური რეფორმების გატარება აუცილებლად გამოიწვევს პრეზიდენტის სტატუსის შეცვლას. "იმედების პრეზიდენტიდან" პუტინი ჩვეულებრივ პრეზიდენტად იქცევა, თუმცა ბოლო ვადით მმართველობის დროს ამას უკვე აღარ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პოლიტიკური და ეკონომიკური კომუნიკაციების სააგენტოს გენერალური დირექტორის დმიტრი ორლოვის მოსაზრებით კი, საქმე მხოლოდ იმიჯის ცვლილებაში არაა. მისი თქმით, საბოლოოდ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკური მოდელის გაცილებით სერიოზული სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი მოდელით ჩანაცვლება. ამაში ცხადია, არ იგულისხმება პრივატიზებული საწარმოების სრული ნაციონალიზაცია. თუმცა, **"ლიბერალების მიერ მომზადებული მონეტიზაციის რეფორმის არაეფექტურობა საბოლოოდ გამოდევნის ხელისუფლებიდან ლიბერალებს,"** - აცხადებს ორლოვი. ცენტრობანკის წარმომადგენლის ალექსეი ულიუკაევის თქმით კი, **"დამატებითმა ხარჯებმა შესაძლოა, ინფლაციაზეც იქონიოს გავლენა"**. კოლეგის მოსაზრებებს იზიარებს რეგიონული ბანკების ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ხანდრუევიც: **"ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი ხარჯები აუცილებლად იქონიებს გავლენას ინფლაციაზე, ხოლო იმას, ერთი პროცენტი იქნება ეს თუ ნახევარი პროცენტი, მომავალი გვიჩვენებს."** ექსპერტთა მოსაზრებებს არ ეთანხმება სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხაილ ზადორნოვი. მისი აზრით, ერთი წლის მანძილზე ინფლაციის ეფექტზე საუბარი გადაჭარბებულია.

საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი უნდობლობის ფონზე საკუთარი პრეზიდენტისადმი რუსეთის მოსახლეობის ნდობის ხარისხი რომ პირდაპირპროპორციულად კლებულობს, სოციოლოგიური კვლევების შედეგებიც ადასტურებს. ლევადას ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გასული წლის დეკემბერში ვლადიმირ პუტინს ნდობა რესპონდენტთა მხოლოდ 39 პროცენტმა გამოუცხადა, მაშინ როცა ზუსტად ერთი წლით ადრე ნდობის ხარისხი 58 პროცენტით განისაზღვრებოდა. ლევადას ცენტრის პარალელურად სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა "რომირ მონიტორინგის" ფონდმაც, რომლის მონაცემებიც თითქმის იდენტურია ზემოაღნიშნულისა, კერძოდ, რუსეთის მოქალაქეების 38 პროცენტს მიაჩნდა, რომ ქვეყნის განვითარების კურსი მართებულია, იმ დროს, როდესაც ერთი წლით ადრე პრეზიდენტის არჩეული კურსი მოქალაქეთა 53 პროცენტს აკმაყოფილებდა.

საზოგადოების განწყობის ასახსნელად ეკონომიკის სფეროში ექსპერტთა პროფესიულ შეფასებებზე არანაკლებ საინტერესოა ფსიქოლოგთა მოსაზრებაც. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორის ოლგა კარაბანოვას შეფასებით, **"შეღავათების მონეტიზაციამ შესაძლოა ფასეულობათა დაკარგვა გამოიწვიოს მოსახლეობაში. როგორც საპროტესტო ტალღამ აჩვენა, მოსახლეობის ხანდაზმული ფენისათვის სოციალური რეფორმების შესახებ კანონი სახელმწიფოსადმი ნდობის დაკარგვის უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა"**.

თუმცა, "მონეტიზაციით" ყველა არაა უკმაყოფილო. როგორც მოსახლეობის სოციალური დაცვის კომიტეტის წარმომადგენელი გალინა კოლოსოვა აცხადებს, პეტერბურგის "ცხელ ხაზზე" პენსიონერები და შეღავათებით მოსარგებლე პირები არათუ აკრიტიკებენ ქუჩაში გამოსულ დემონსტრანტ "კოლეგებს", მონეტიზაციის იდეას იწონებენ კიდეც. რაც შეეხება, ჩერნობილის ტრაგედიის მსხვერპლთ, ჯერ-ჯერობით, გაურკეველია, შეეხებათ თუ არა მათ შეღავათების შეკვეცის სანაცვლოდ პენსიებზე დამატებები.

მოქმედი ხელისუფლებით სახალხო უკმაყოფილების გამოყენებას მთავრობის გადაყენების მიზნით უკვე ცდილობენ რიგი პოლიტიკური პარტიები. რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა უკვე დაიწყო ხელმოწერების შეგროვება. **"ჩვენი აქციის მიზანი ჩვენი ამომრჩევლის მხარდაჭერაა. მიგვაჩნია, რომ მასობრივი საპროტესტო აქციები არ უნდა შეწყდეს,"** - აცხადებს ზიუგანოვმა. კომუნისტების პოზიციას იზიარებს სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ფრაქცია "როდინას" წარმომადგენელი სერგეი ბაბურინიც. მისი თქმით, თანაპარტიელებმა უკვე შეაგროვეს ხელმოწერები, რომელიც შემდეგ რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ფრაქციის მიერ შეგროვებულ ხელმოწერებს დაემატება. მომავალ კვირას პარლამენტარების რეგიონებში გამგზავრება კი ხელისუფლებისადმი უნდობლობის გამოცხადების პროცედურის დაწყებას მხოლოდ დროებით შეაფერხებს, მიიჩნევს ბაბურინი.

მოქმედი მინისტრთა კაბინეტის გადადგომისთვის სულ მცირე 90 დეპუტატის ხელმოწერაა აუცილებელი, რის შემდეგაც კარგად დასაბუთებული წინადადება განსახილველად სათათბიროს საბჭოს გადაეცემა. საბჭო კი მიიღებს გადაწყვეტილებას, ჩართოს თუ არა პალატის სხდომის დღის წესრიგში აღნიშნული საკითხი. გუშინ კი ფრაქცია "როდინას" ხუთმა დეპუტატმა (დმიტრი როგოზინმა, ოლეგ დენისოვმა, ივან ხარჩენკომ, ანდრეი საველიოვმა და მიხეილ მარკელოვმა) შიმშილობა გამოაცხადა, ხოლო ფრაქციის სხვა წევრებმა დარბაზი დატოვეს, რადგან დღის წესრიგში განსახილველად "შეღავათების ფულადი კომპენსაციის უარყოფითი სოციალური შედეგების" ალტერნატიული განცხადება არ იქნა ჩართული. "როდინას" ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადების თანახმად, მოშიმშილეები მოითხოვენ: ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური ბლოკის (ჯანდაცვის მინისტრის მიხაილ ზურაბოვის, ფინანსთა მინისტრის ალექსეი კუდრინისა და ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრის გერმან გრეფის) გადადგომას; 122-ე კანონის (შეღავათების მონეტიზაციის შესახებ) ამოქმედებაზე მორატორიუმის დაწესებას; შექმნილი კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით საგანგებო კომისიის შექმნასა და კონსტიტუციური უმრავლესობის რეგლამენტის დაცვას და საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ პატივისცემის გამომჟღავნებას.

როგორც ყოველთვის, საინტერესო პოზიციას აფიქსირებს რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი. **"არავითარი შიმშილობა არაა და არც იქნება, ხოლო ის, რაც ხდება, მორიგი პოლიტიკური პროვოკაციაა. როგოზინი კი როგორი კომუნისტიც იყო - ისეთივე დარჩა,"** - ამბობს ვლადიმირ ჟოლფოვიჩი.

ᲚᲣᲙᲐᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲮᲘᲑᲚᲐᲕᲡ

ბელორუსიის ხელისუფლებამ ქვეყნის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ახალი მითითების განხორციელება დაიწყო. ინფორმაციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, რადიოეთერის 75 პროცენტი ბელორუსულ მუსიკას უნდა დაეთმოს, დანარჩენი 25 პროცენტი - დასავლურს და რუსულს. კანონის დამრღვევებს მაუწყებლობის ლიცენზია ჩამოერთმევათ.

ბელორუსი შემსრულებლებისთვის ეთერის 75 პროცენტის დათმობა ლუკაშენკომ ჯერ კიდევ შარშან ბრძანა. მას შემდეგ გაფრთხილება სამმა რადიოსადგურმა მიიღო, ინფორმაციის მინისტრმა ვლადიმერ რუსაკევიჩმა კი განაცხადა, რომ ახლო მომავალში გაფრთხილება შესაძლოა, სხვა რადიოსადგურებმაც მიიღონ. რას ნიშნავს "გაფრთხილება ბელორუსულად", საერთაშორისო სამართალდამცველმა ორგანიზაციებმა და ხელისუფლების ბრძანებით დახურული გაზეთების რედაქტორებმა კარგად იციან. მარტო გასულ წელს ბელორუსიაში 21 დამოუკიდებელი გამოცემა დაიხურა. ახლა რადიოსადგურების ჯერიც მოვიდა, რომლებიც ისედაც ცენზურის პირობებში მუშაობენ. ახალი ამბების გამოშვებები ოფიციალური ცნობებითა და თავშესაქცევი ინფორმაციით შემოიფარგლება - როგორც წესი, ცხოველთა სამყაროს ცხოვრებიდან. მიმომხილველები თვლიან, რომ რადიოსადგურებს საეთერო დროის 75 პროცენტის ბელორუსული მუსიკით შევსება იმ უბრალო მიზეზით გაუჭირდებათ, რომ ბელორუსული მუსიკალური ბაზარი სუსტადაა განვითარებული. "75 პროცენტის პრობლემას" ისიც ართულებს, რომ იდეოლოგიური მოსაზრებით ქვეყანაში ზოგიერთი ბელორუსული მუსიკალური ჯგუფი აკრძალულია.

ინტერ-პრესი

ᲘᲣᲨᲔᲜᲙᲝ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ

უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო უახლოეს მომავალში, არმიაში სავალდებულო გაწვევის გაუქმებას, ერაყიდან უკრაინული სამხედრო კონტინგენტის გაყვანას და უკრაინელების მიერ რუსეთის და ბელორუსიის საზღვრების გადაკვეთის პროცესის გამარტივებას აპირებს. ბრძანებულების შესაბამისი პროექტები უკვე მომზადებულია, ეს დოკუმენტები ვიქტორ იუშენკოს ინტერნეტ-გვერდზეა გამოქვეყნებული. სულ მის მიერ სხვადასხვა ბრძანებულების 11 პროექტია მომზადებული.

იუშენკო აღნიშნავს, რომ უკრაინელმა სამხედროებმა ერაყში სტაბილურობისა და უსაფრთხოების პირობების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი უკვე შეასრულეს, ამ ქვეყანაში სიტუაციის საბოლოო მოგვარებისთვის კი, შემდგომში, დიპლომატიური და პოლიტიკური ძალისხმევაა საჭირო. ბრძანებულებაში იუშენკო საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს ერაყიდან უკრაინული კონტინგენტის გაყვანის გრაფიკის შედგენას ავალებს.

ერაყიდან უკრაინელი სამშვიდობოების გაყვანის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ პრეზიდენტმა კუჩმამ მიიღო, რომელმაც საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს დაავალა, 2005 წლის პირველ ნახევარში ერაყიდან ჯარების გაყვანა უზრუნველყონ.

პროფესიულ არმიაზე გადასვლასთან დაკავშირებით იუშენკოს განზრახული აქვს, 2010 წლის 1 იანვრიდან გააუქმოს უკრაინის მოქალაქეთა არმიაში სავალდებულო გაწვევა. მანამდე კი, ბრძანებულების პროექტით, ახალწვეულებისთვის სამხედრო სამსახურის ვადა ერთ წლამდე შემცირდება.

გარდა ამისა, უკრაინის ახალ პრეზიდენტს განზრახული აქვს, შესაძლებელი გახადოს რუსეთის და ბელორუსის საზღვრების შიდა უკრაინული პასპორტებით გადაკვეთა, შემდგომში კი - უვიზო მიმოსვლაც.

ინტერ-პრესი

ᲔᲠᲐᲧᲔᲚ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲓᲜᲔᲜ

ერაყელ პატიმართა შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებით სკანდალი დანიელ "მშვიდობისმყოფელებსაც" მისწვდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სამხედროების შემდეგ.

დანიის დაზვერვის სამსახურის ოფიცერსა და ოთხ სამხედრო პოლიციელს, რომლებიც ერაყში დანიური კონტინგენტის შემადგენლობაში მსახურობდნენ, მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და დაკავებულთა წამების ბრალდება წაუყენეს, - ამის შესახებ თავად დანიის შეიარაღებული ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

ჩატარებულმა გამოძიებამ უჩვენა, რომ კაპიტანი ჰომელი არაერთხელ იყო შემჩნეული ერაყელი პატიმრების შეურაცხყოფაში. გარდა ამისა, გამოძიების მტკიცებით, იგი პატიმრებს ხშირად წყლისა და საკვების გარეშეც ამყოფებდა. როგორც საგენტო "როიტერსი" იტყობინება, დანიის არმიის კაპიტან ანემეტ ჰომელსა და მასთან ერთად კიდევ ოთხ სამხედრო მოსამსახურეს ემუქრება ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ერთწლიანი პატიმრობა.

გუშინ დანიის საინფორმაციო სააგენტო "რიცაუმ" გაავრცელა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ ერაყში მყოფი დანიური სამხედრო კონტინგენტის ხელმძღვანელობისთვის წამების ფაქტების შესახებ არაფერი იყო ცნობილი. შესაბამისად, სამხედროთა მეთაურს, პოლკოვნიკ ჰენრიკ ფლეშს ბრალს ვერ წაუყენებენ.

შეგახსენებთ, დანიის 500 კაციანი კონტინგენტი ერაყის სამხრეთ ნაწილშია დისლოცირებული

ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜ�გᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲠᲘᲡᲙᲐᲕᲔᲜ

ᲙᲝᲢᲔ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ერაყში საპარლამენტო არჩევნებს, გაეროს გარდა, თითქმის ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ გაუწევს მეთვალყურეობას. გაზეთ "ფაინენშელ თაიმსის" ინფორმაციით, დამკვირვებლებს ეშინიათ ქვეყანაში ჩასვლა, სადაც ყოველდღიურად ახალი ტერაქტი ხდება. ამასთან დაკავშირებით, გაერომ ეჭვი გამოთქვა, რომ არჩევნები დარღვევების გარეშე ჩატარდება და მისი შედეგები ლეგიტიმური იქნება. "არჩევნების მონიტორინგი ერაყში მართლაც დიდი პრობლემაა. ქვეყანაში, სადაც, როგორც ჩანს, კენჭისყრის ჩატარებაზე კონტროლის მექანიზმი არ იმუშავებს. არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ სურს ჩვენი დახმარება. მათ ეშინიათ, რომ თავისი თანამშრომლები სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ დააყენებენ," - განუცხადა გაზეთს გაეროს მაღალჩინოსანმა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის სუნიტური მოსახლეობის ნაწილი არჩევნების ბოიკოტირებას აპირებს, ხოლო "ბოევიკებით" დაშინებული ერაყის მოსახლეობის უმეტესობა არ გამოცხადდება საარჩევნო უბნებში, არჩევნების შედეგები, გაეროს წარმომადგენელთა აზრით, სრულად ვერ ასახავს ერაყელთა პოლიტიკურ შეხედულებებს. გარდა ამისა, გაეროს ზოგიერთი წარმომადგენელი ფიქრობს, რომ საარჩევნო უბნებში ერაყის პოლიტიკური პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან დამკვირვებლების ყოფნა არჩევნებს ლეგიტიმურს გახდის. "საერთაშორისო დამკვირვებლების მონაწილეობა - არჩევნების ჩატარების აუცილებელი პირობა არ არის," - განაცხადა გაეროს ექსპერტმა ერაყის არჩევნების საკითხში, კარლოს ვალენსუელამ. იმავდროულად, ადგილობრივი ხელისუფლების შეფასებით, ერაყელთა რაოდენობა, რომელსაც კენჭისყრის გაკონტროლება სურს, სავარაუდოზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა. ერაყში საპარლამენტო არჩევნები 30 იანვარს გაიმართება. ქვეყნის მოქალაქეებმა პარლამენტის 275 დეპუტატი უნდა აირჩიონ, რომლებიც მთავრობის შემადგენლობას დაამტკიცებენ და ერთობლივად შეუდგებიან კონსტიტუციის შემუშავებას. მეამბოხეთა დაჯგუფებებმა, აგრეთვე ზოგიერთმა საერთაშორისო ისლამისტურმა დაჯგუფებამ, უკვე განაცხადეს, რომ ყველაფერს იღონებენ არჩევნების ჩასაშლელად. უცხოური ტელეკომპანიები და საინფორმაციო სააგენტოები კი რეპორტიორთა შტატს აფართოვებენ არჩევნების გასაშუქებლად. ბაღდადში ჟურნალისტების "დამატებით კონტინგენტს" აგზავნის "ბი-ბი-სი", "აი-თი-ვი", "სქაი ნიუსი", "როიტერი" და "ასოშიეიტედ პრესი".

ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘ ᲨᲘᲘᲢᲣᲠ ᲛᲔᲩᲔᲗᲗᲐᲜ

ბაღდადის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შიიტური მეჩეთის წინ, ასაფეთქებელი მოწყობილობით აღჭურვილი ავტომანქანა აფეთქდა. რუსული საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასი" ერაყის პოლიციის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ შიიტური მეჩეთის წინ განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 13 კაცს მიაღწია. დაჭრილთა რაოდენობა კი, ეგვიპტის საინფორმაციო სააგენტოს "მენას" ცნობით, 60 ადამიანია. თვითმხილველთა გადმოცემით ტერაქტი სწორედ მაშინ განხორციელდა, როდესაც შიიტი მორწმუნენი სალოცავს ტოვებდნენ. ამ დღეს ისინი თავიანთი წმინდანის, იდ ალ-ადხას (ყურბან-ბაირამის) მსხვერპლადშეწირვის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. აფეთქებამ დააზიანა არა მხოლოდ მეჩეთი, აგრეთვე ახლომდებარე ჰოსპიტალი, ავტომანქანები. ამ კვირის განმავლობაში ეს უკვე მეორე ტერორისტული აქტია, რომელიც შიიტურ სალოცავთან განხორციელდა. პირველი აფეთქება ოთხშაბათს მოხდა. მას მსხვერპლი არ მოჰყოლია. საერთოდ ბოლო პერიოდში შიიტებზე თავდასხმათა რაოდენობა გაიზარდა, რაც, ეჭვგარეშეა, მოახლოვებულ არჩევნებს უკავშირდება. შეგახსენებთ, შიიტები ერაყის მოსახლოების უმეტესობას შეადგენენ და ბუნებრივია, დიდ იმედებს ამყარებენ მის შედეგებზე.

24 საათი

ფოსტა

MY HOUSE IS MY CASTLE

ღია წერილი ქალაქის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს

ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა: მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების ინგლისელი იურისტის ეს სლოგანი ცივილიზებულმა სამყარომ დაუწერელ კანონად აქცია. თუმცა, ჩვენი - ბუზუკაშვილების ოჯახის შემთხვევაში, დაუწერელი კი არა, დაწერილი კანონებიც გაწყალდნენ და უკანონობის მორევად იქცნენ. ვისაც ჩვენი სატანჯველი თავად არ გადაუტანია, ის ვერ გაიგებს, რა დღეში ვართ (სამწუხაროდ, ასეთია უბედურების შემზარავი სპეციფიკა).

"პოლიტიკური ბუჰენვალდი" - ასე შეაფასა ჩვენი ამბავი "კურიერმა" "რუსთავი 2"-ის ეთერში. დიახ, პუშკინის 17-ის გამო, სახელმწიფომ პანდორას ყუთში გამოგვამწყვდია. ყველა უბედური ადამიანი თავისებურად უბედურიაო, - ამბობენ. ჩვენი ოჯახის თავისებურება უბედურებათა სრულ კოლექციაშია.

პუშკინის 17-ისა და ბუზუკაშვილების შესახებ ვინ აღარ იცის, მაგრამ რეალურად არავინ არაფერი იცის. ამ რეალობის გარკვევა პროკურატურის კომპეტენციაა, მაგრამ თავს ვერ მოვიტყუებ: ქალაქის ცენტრში ამ პრესტიჟულ მისამართზე მოიერიშე პოლიტიკურ-ბიზნეს-ელიტამ სრული შაბაში გააჩაღა და ისე დაითრია ფართები. ამ დათრევაში ბიუჯეტის ქურდობის, თაღლითობის, მოკლედ: "ბეზპრედელის" მთელი სპექტრია. ელიტურლი "ბეზპრედელი" კი პროკურატურასაც მოერევა, მიუხედავად თუნდაც იმისა, რომ ერთ პატივცემულ პარლამენტარს ამ სახლის პირველ სართულზე 50 კვ.მ. კომერციულ ფართში სახელმწიფო ბაჟი - 5 ლარი და 58 თეთრი, მეორე პარლამენტარს კი 7 ლარი და 15 თეთრი აქვთ გადახდილი.

91 წლის დავით ბუზუკაშვილი პუშკინის 17-ში, თითქმის საუკუნეა, ვცხოვრობ; ძირძველი თბილისელი საგვარეულო სახლში პოლიტიკური ექსტრემის მძევლად და მსხვერპლად მაქციეს. როგორც კი პერსპექტიულ, პრესტიჟულ ადგილას ფართები ოფიციალურად გაიფორმეს, "ბეზპრედელისტები" სახლის მიზანმიმართულ ნგრევას შეუდგნენ (რასაც კომპეტენტური საექსპერტო დასკვნები ადასტურებს). არადა, ჩვენი ბინა არ ინგრეოდა, დღესაც თავის ადგილზე დგას. ნგრევის შესაჩერებლად ჩვენს გამწარებულ მცდელობებს ქალაქის ხელისუფლება აბუჩად იგდებდა. მერია პუშკინისჩვიდმეტელი ფავორიტების უნისონში მოქმედებდა. უფრო სწორად, თავისი უმოქმედობით ჩვენს დამაქცევრებს სრულ კარტ-ბლანშს აძლევდა. პარალელურად კი, მრავალწლიანი და მრავალსართულიანი სარჩელებით სასამართლოებში დაგვათრევდა იძულებითი გამოსახლებისა და საკუთრების ჩამორთმევის მოთხოვნით (ამ ნერვიულობაზე მეუღლე გარდამეცვალა, მე კი ლოგინად ჩავვარდი).

გამწარებულებმა ჩვენც შევიტანეთ სარჩელი რეპრესიების დროს ყაჩაღურად ჩამორთმეულ მთელს სახლზე საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნით. მაგრამ, ჩვენი სარჩელი სასამართლოს სეიფებში იმდენ ხანს დაიკონსერვეს, სანამ სახლი არ დაგვენგრა. როცა სახლი ჩამოიქცა, ჩვენი ბინის გადარჩენით გაბრაზებულმა მერიამ ისარგებლა დედაქალაქში შექმნილი რევოლუციური არეულობით, სახლს ბულდოზერი მოაყენა და მესამე სართულზე ჩვენს ბინაში ამავალი კიბე მოანგრია(!) ბინასაც ზედ მიაყოლებდა, რომ არა დონალდ რამსფელდის ვიზიტი - მისი ესკორტის გასავლელად ბულდოზერი გააყვანინეს (ჩვენ კი დავრჩით სხვის კარზე თავშეფარებულ ლტოლვილებად ისე, რომ მერია არც დაინტერესებულა, ქირას რით ან როგორ ვიხდით). მერე კიბის გარეშე მესამე სართულზე, ჩვენს ბინაში ვიღაც აფრინდა(!) და ღამის 12 საათზე ცეცხლი ააბრიალა.

ამასობაში ახალი თაობის მუნიციპალური ხელისუფლებაც მოვიდა და სახლის მნგრეველთა ვანდალური ქმედებებით დაინტერესების მაგიერ, არც მეტი, არც ნაკლები - კომუნისტურ რეპრესიებს სასწაულებრივად გადარჩენილი ბინა სასამართლოს ძალით წაგვართვა (ანუ ჩამოგვართვა!). მოკლედ, პოლიტიკურ ჩამორთმევათა გლისანდოში ასლან აბაშიძეს, ლევან მამალაძეს, ლევან კენჭაძეს და მათ ძმებს (ვინც ქონება მაღალი სკამით მოიხვეჭა), ერთი ხელის მოსმით, მეც ზედ მიმაყოლეს. არ ვიცი, რამდენად არის ეს წერილი "საუკუნის შვილის აღსარება" (ალფრედ დე მიუსეს ნაწარმოების სათაურია), მაგრამ ფაქტია - წითლების რევოლუციამ მთელი სახლი ჩამომართვა, ვარდების რევოლუციამ კი ერთადერთი ბინა.

ერთადერთ ნუგეშად სასამართლოში შეტანილი ჩვენი სარჩელიღა დაგვრჩა. მაგრამ, მოქანდა ზოდელავას (და არა მარტო ზოდელავას) ნებიერი მძლეთამძლე "ცენტრ-პოინტი", ჩვენი სარჩელი სიცილადაც არ ეყო და სასამართლო დავის გამო დაყადაღებულ სახლის ფართებს მედიდურად დაეპატრონა. აი, ასე ტოტალურად მიაფურთხეს ჩემს პრივატს. ვაი, რომ ეს ფურთხი ჩემთვის ცუნამის ძალის აღმოჩნდა - შეხედეთ ჩვენს სახლს, თუ არ ჰგავს ცუნამგადავლილს!

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ჩვენს სასარჩელო მოთხოვნას საკუთრების უფლების აღდგენაზე მეტი სიმწვავე შეჰმატა. ძალიან კარგად ვიცით, რომ ნებისმიერ ევროპული ორიენტაციის ქვეყანაში ჩვენს პირობებში მყოფ მოქალაქეს საკუთრების უფლებას აღუდგენდნენ, მატერიალურ ზარალს აუნაზღაურებდნენ, მორალურ კომპენსაციას გადაუხდიდნენ, საცხოვრებელი ბინით დაეკმაყოფილებდნენ, დანგრეული საკუთრების აღსადგენად შეღავათიან კრედიტს მისცემდნენ, ბოდიშს მოუხდიდნენ და დანარჩენ მეწილეებსაც გაისტუმრებდნენ. ასეთია სამართლებრივი სტანდარტი. მაგრამ, ჩვენ რეალობის გრძნობა არ დაგვიკარგავს და სახელმწიფოსთვის მსგავსი პირობები არ ნაგვიყენებია. რაკი "გავბედეთ" და სასამართლოს მივმართეთ, ამით ჩვენი ქმედება კონსტიტუციურ ფარგლებს არ გასცილებია. ამის გამო კი, ხელისუფლებამ შავზე შავი პიარი აგვიგორა და საზოგადოების თვალში ლამის ხალხის მტრად დაგვსახა.

ბატონო ზურაბ, ნუ იფიქრებთ, თითქოს ბულემია გვეტაკა და გაუმაძღრობამ დაგვრია ხელი, რადგან მთელ სახლზე საკუთრების აღდგენა განვიზრახეთ; სახლზე, რომელსაც ამოწურული აქვს საექსპლოატაციო რესურსი და რომელიც კორუფციულმა განუკითხაობამ დაანგრია და დააქცია.

ქალაქის მერიაში, სამწუხაროდ, არ ეყოთ სახელმწიფოებრივი აზროვნება იმის გასაცნობიერებლად, რომ მათგან ავადსახსენებელი ბუზუკაშვილების სახლი არ იყო მხოლოდ ბუზუკაშვილების სახლი. ეს იმ ოჯახის კერა იყო, ჯერაც აუწყობელი ქართული ბიზნესის სათავეებთან რომ იდგა და ჯერ კიდევ იმ დროს საქმიანობის მასშტაბით, გადმხდელის კულტურით, ქველმოქმედებით და მოამაგეობით, საერთაშორისო ასპარეზით თანამედროვე ბიზნეს-სტანდარტებს პასუხობდა.

სწორედ ამიტომ, ამ კერას შენარჩუნება და გაფრთხილება სჭირდება. სჭირდება, რადგან ახალ თაობებს - ჩვენს მომავალ თაობებს ჰქონდეთ თვალსაჩინო, საორიენტირო მაგალითი, რომ მათ ქვეყანაში საკუთარ ეკონომიკურ ფესვებს, ანუ ზნეობრივ ბიზნესს პატივს სცემენ; რომ საზოგადოებას და მასთან ერთად ხელისუფლებას უღირთ მხოლოდ არქივებსღა შემორჩენილი თითო-ოროლა სახელი და გვარი, ვინც თავისი ბიზნესცენზით თანამედროვე ეკონომიკურ იდეოლოგიაში ენერება. მომავალ თაობაში ეკონომიკური კულტურის ფორმირებას სჭირდება რწმენა და შეგნება იმისა, რომ იმ სახელებსა და გვარებს დღევანდელი მმართველი ელიტა არ წააშლევინებს პუშკინის 17-ზე დაგეშილთა მსგავს, უფრო სწორად, უმსგავს ძალებს (ჩახედეთ მათ მამხილებელ საბუთებს და დასკვნებს თავად გამოიტანთ).

მოკლედ, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ბუზუკაშვილების ისტორია ამ ქვეყნის, თითოეული ჩვენგანის ისტორიაც არის. ეს ფაქტია და თანაც - ჯიუტი. ამ ფაქტს საარქივო მასალები ადასტურებს. არქივი ერის დოკუმენტური მეხსიერებაა. ჯანმრთელ მეხსიერებას კი ამნეზია არ სჭირს. სწორედ ამიტომ არ შეიძლება მავანთა "ხათრით" ბუზუკაშვილების ფესვების ამოძირკვა პუშკინის 17-დან. რომ არა რეპრესიული და კორუფციული პოლიტიკური რეჟიმები, ჩვენი ოჯახი ბიზნესში, ანუ საქმეში, როგორც ასეთში, გამორჩეულად წარმატებული იქნებოდა. ამ დასკვნის საფუძველსაც შემორჩენილი დოკუმენტები იძლევიან.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ შენობის დანარჩენ მეწილეებს, ანუ ჩვენი სარჩელის მოპასუხეებს მათ მიერ ოფიციალურად რეგისტრირებული ხარჯები ჩვენვე ავუნაზღაუროთ (ანუ არ მოვითხოვთ რესტიტუციას!!!), ჩვენს ნასახლარზე კი ჩვენმა ოჯახმა ააშენოს სახლი.

ამ მიზნით მივმართავთ თვალსაჩინო უცხოელ მოღვაწეებს - მათ, ვისაც, ჩვენგან განსხვავებით, ღმერთმა შესაბამისი დრო და გეოგრაფიული გარემო არგუნა საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსავლენად, ამა თუ იმ საქმეში საყოველთაო აღიარების მოსაპოვებლად, წარმატების პიკის მისაღწევად. მივმართავთ თანამედროვე ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის და სხვა საქმის წარმომადგენლებს, რომ მათი კეთილი ნებითა და ფინანსური მხარდაჭერით პლანეტის ერთ წერტილში, კერძოდ, თბილისში, ქალაქის ცენტრში, პუშკინის 17-ში აშენდეს სოლიდარობის სახლი, წარმატების სახლი, სახლი ეგზემპლარი.

ეს იქნება ერთგვარი სახლი-პორტრეტი (როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად იმ კორუფციისა და განუკითხაობისადმი, ესოდენ რომ გააპარტახა ეს ქვეყანა, ჩვენს შემთხვევაში კი პუშკინის 17-ში არსებული სახლი და ოჯახი). ეს იქნება სახლი-აქცია (გადამხდელის, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი სეგმენტის მხარდაჭერის). ეს იქნება სახლი-მანიფესტი (ღირსეული მოქალაქის, როგორც ასეთის, ანუ ღმერთის, ქვეყნის, ერისა და ადამიანის წინაშე პირნათელი კაცის დაფასების). ეს იქნება სახლი-სიმბოლო (ანუ გამოხატულება საქმის, თავისი საქმის მეოხი ადამიანის და ამ ადამიანის უფლების აღიარების). ეს იქნება სახლი-გლამური (ანუ შედეგი ჩვენი დროის ელიტარულ პერსონათა ინკორპორირების), სახლი-პარადი (იმ რეზონანსული სახელების, ვისი ციფერბლატიც დღეს ვარსკვლავურ საათს აჩვენებს). ეს იქნება სახლი-პარადიგმა (დროთა კავშირის აღდგენის). ეს იქნება სახლი-მესიჯი (მომავალი თაობებისადმი წარსულის, ფესვების, მემკვიდრეობის პატივისცემის აქცენტით). ეს იქნება სახლი-ინტერჰაუზი.

ჩვენი აქტივების, თანამედროვე პირობებისა და რიგი გარემოებების გათვალისწინებით, ამ პროექტის განხორციელება სავსებით მიღწევადია; მით უმეტეს, თუ ხელისუფლების მხრიდანაც იქნა მხარდაჭერა. ყველა ნორმალურ ქვეყანაშია საკუთრებათა იმგვარი ფორმები, იმ ქვეყნებს მათი წყალობითაც რომ აქვთ სახელი განთქმული. ალბათ, დროა, გაიგოს ცივილიზებულმა სამყარომ, რომ საქართველოშიც შეიძლება ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქის, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლის, თუნდაც ებრაელი კაცის კერძო ინიციატივის, კარგი ჩანაფიქრის რეალიზება. თუკი ამ რეზონანსულ წამოწყებას ესოდენ რეზონანსული ჩვენი ხელისუფლება ვიზას მისცემს და მწვანე შუქს აუნთებს, ამ ორიგინალური ინტერაქციით განსხეულდება და განზოგადდება ჩვენში სამოქალაქო ღირებულებათა რეაბილიტირების მაღალი იდეა.

ბატონო ზურაბ, თქვენი კომპეტენცია საქალაქო პოლიტიკის განსაზღვრას ითვალისწინებს. ამიტომ, არ გჭირდებათ იმის მტკიცება, რომ პუშკინის 17-ში "ცენტრ-პოინტის" ნახელავი შენობა ქალაქში მორიგი შემინული რკინა-ბეტონის კონსტრუქცია იქნება. ჩვენი პროექტის შემთხვევაში კი, პერსონიფიცირებულ ვიპ-ჰაუზის სახით, თბილისს მართლაც ღირსშესანიშნაობა შეემატება.

ჩვენი დროის უსაზღვროდ წარმატებულ (ანუ წარმატების ექო გეოგრაფიულ საზღვრებს რომ სცილდება), ვიმეორებ - უსაზღვროდ წარმატებულ პერსონათა ძალისხმევა ქვეყნისადმი სოლიდარობის, თანადგომის, მხარდაჭერის, ნდობის გამოხატვაც რომ იქნება, არც ეს საჭიროებს მტკიცებას.

ეს არის და ეს. პუშკინისჩვიდმეტელთა და ძმათა მათთა აღვირახსნილობას ამ სამაგალითო გზით აღვკვეთთ. ეს საზოგადოებრივი დაკვეთაა. თორემ დღეს თუ მე და ჩემი ოჯახი ვართ ამ დღეში, ხვალ სხვა აღმოჩნდება, ზეგ კიდევ სხვას მიადგებიან და... შვილო, ზურაბ, სადამდე?!

დავით ბუზუკაშვილი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ომის ვეტერანი, I ჯგუფის ინვალიდი

ახალი ბიუჯეტი - ვისთვის ხეირი და ვისთვის ზარალი

თბილისს 2005 წლის 420-მილიონიანი ბიუჯეტი აქვს. გუშინ საკრებულომ, 32 ხმით 8-ის წინააღმდეგ, ბიუჯეტი ტაშის კვრით დაამტკიცა. თუმცა, შარშანდელთან შედარებით, 107-მილიონიანი მატების მიუხედავად, ქალაქის მთავრობას ტაშის დასაკრავად საქმე მაინც არ აქვს. ახალმა ბიუჯეტმა არაერთი გაჭირვებული მოქალაქე დატოვა მოტყუებული. ჯერ კიდევ ორი დღის წინათ ამ ადამიანებს ქალაქის ხელისუფლების ოდნავ მაინც სჯეროდათ, მაგრამ გუშინ, ყველასთვის მოულოდნელად, ბევრი რამ შეიცვალა.

ნანა ქადაგიშვილი
თამარ დვალი

ლიკანის სუფთა ჰაერზე სამდღიანი მუშაობა-თანადასვენების შემდეგ 2005 წლის ბიუჯეტის პროექტს მოწინააღმდეგეები აღარ შერჩა. საკრებულოს უმრავლესობა და ოპოზიცია (ოპოზიციაში მხოლოდ ფრაქცია "მემარჯვენეები" იგულისხმება, რადგან "ლეიბორიტებმა" "მიპატიჟება" არ მიიღეს) შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთის შენიშვნებს გაითვალისწინებდნენ. თუმცა, ბიუჯეტის დამტკიცების წინა დღე ბევრისთვის მაინც სიუპრიზებით სავსე აღმოჩნდა. გუშინწინ საკრებულოს საფინანსო-ბიუჯეტო კომისიის სხდომაზე საკრებულოს უმრავლესობამ ბიუჯეტის პროექტში მოქალაქეთა ნაწილისთვის ძალზე მტკივნეული ცვლილებები შეიტანა. **"გამაგებინეთ, ამ ორ დღეში რა მოხდა? ლიკანში ხომ შევთანხმდით, რომ ფული ყველაფრისთვის გვყოფნიდა. თუკი რაიმე ამოსაღები იყო, ადრევე გვეფიქრა. ამ ხალხს იმედი რატომ მივეციათ... რა დირექტივები იყო ცენტრალური ხელისუფლებიდან ასეთი, რომ ეს ცვლილებები ამხელა აჟიოტაჟად გვიღირდა... რატომ უნდა გვირეკავდნენ პარლამენტარები და ფინანსთა მინისტრი და რაც უნდათ, იმას გვაკეთებინებდნენ",** - "მემარჯვენეების" ლიდერის ამ გულრწფელ აღშფოთებას უმრავლესობამ დუმილით უპასუხა და ერთ დღეში შეცვლილი ბიუჯეტი ერთხმად დაამტკიცა.

ასე რომ, წელს 420-მილიონიანი ბიუჯეტი გვაქვს. გასულ წელთან შედარებით, 107-მილიონიანი მატება მართლაც თვალში საცემია. გარკვეული სფეროები ამ სიკეთეს იგრძნობენ კიდეც. ძირითადი პრიორიტეტები: გზების შეკეთება, საქალაქო ტრანსპორტის მოწესრიგება, ქუჩების გარე განათება, დასუფთავება, საპატრულო პოლიციის დაფინანსება ისევ პრიორიტეტულად დარჩა. ზოგიერთ მათგანს თანხები გუშინწინაც დაემატა - გარე განათებისთვის გათვალისწინებული ხარჯები 200 ათასით გაიზარდა, გზების კაპიტალური შეკეთების 80-მილიონიანი ხარჯები - 1 600 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დაფინანსება (9 669 ათასი ლარი) - მილიონი ლარით; ამის გარდა, მერიის შენობის შეკეთების საპროექტო სამუშაოებს 200 ათასი დაემატა, ფასადების შეკეთების სამუშაოებს - 2 500 ათასი, ზუბალაშვილების პედიატრიული კლინიკის კაპიტალური ხარჯებს - 300 ათასი ლარი; თუმცა, გუშინდელი დღე ბევრისთვის საბედისწეროც აღმოჩნდა. ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ბავშთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი ბიუჯეტიდან ამოაგდეს. როგორც ცენტრის ხელმძღვანელი ბელა სარია აცხადებს, მერიას მათი შენობის ხელში ჩაგდება უნდა. ცენტრი განთავსებულია მაჩაბლის ქ.№16-ში მდებარე შენობაში, რომელიც ორგანიზაციას 2001 წელს თბილისის მაშინდელმა მთავრობამ უზურფრუქტის წესით გადასცა. შემცირებაში მოჰყვა, აგრეთვე, სტუდენტთა და განათლების მუშაკთა სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება. თანხები ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებსაც ჩამოეჭრა. გულის ქირურგიული პროგრამა 500 ათასით შემცირდა; ბიუჯეტიდან ამოვარდა უმწეოთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების, უსინათლოთა სამედიცინო მომსახურების, პირველკლასელთა სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვის, ორსულებში თანდაყოლილი სიმახინჯეების გამოვლენის, ონკოლოგიური დაავადებების ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამები; ბიუჯეტიდან მერიის თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევისთვის გათვალისწინებული 400 ათასი ლარიც ამოიღეს. შემცირებების მიუხედავად, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 94 მილიონ ლარამდე ფინანსდება. სხვათა შორის, ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ბიუჯეტის მიმართ სერიოზული პრეტენზიები აქვს. სოციალური განახლების ფონდმა გასულ წელს მუნიციპალური და საოჯახო პროგრამების მონიტორინგი ჩაატარა და სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა. ცენტრის ხელმძღვანელი მამუკა მეტრეველი აცხადებს, რომ ეს დარღვევები არასწორი მენეჯმენტის ბრალია. **"შარშანდელი დარღვევები წელსაც გაგრძელდება, რადგან სოციალური პროგრამების მენეჯმენტში არაფერი შეცვლილა,"** - აცხადებს მეტრეველი.

ბიუჯეტის გუშინდელი ცვლილებები ყველაზე მტკივნეული მაინც "თბილტრანსის" მძღოლების ოჯახებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრებისთვის აღმოჩნდა. "24 საათი" გუშინვე წერდა, რომ "თბილტრანსის" მძღოლთა ოჯახების კომპენსირებისთვის გათვალისწინებულ 1 250 ათას ლარს 500 ათასი ჩამოაჭრეს, კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთა კომპენსაცია კი ბიუჯეტიდან საერთოდ ამოიღეს. როგორც ოპოზიციური პარტიები ვარაუდობდნენ, ქალაქის მთავრობამ ცენტრალური მთავრობის მითითებით, აღნიშნული პროგრამებისთვის ჩამოჭრილი თანხები თავდაცვის ობიექტების შენობების რემონტისთვის გათვალიწინებულ 4 მილიონს დაამატა და სულ 7 მილიონი გახდა. საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან არანაკლები პროტესტი გამოიწვია ავარიული მრავალსართულიანი სახლების აღსადგენად გათვალისწინებული 10 მილიონის შემცირებამაც. ამ 10 მილიონიდან ჩამოჭრილი 2 200 ათასი ლარი პრეზიდენტის რეზიდენციის მიდამოებში მცხოვრებთა (რომელთაც ამ ადგილებიდან ასახლებენ) კომპენსირებას მოხმარდება.

მას შემდეგ, რაც თბილისის საკრებულომ ქალაქის ბიუჯეტი დაამტკიცა, დედაქალაქის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარემ და პრემიერმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. ზურაბ ჭიაბერაშვილმა ქალაქის მთავრობას მადლობა გადაუხადა მოკლე ხანში მომზადებული ბიუჯეტისთვის, საკრებულოს წევრებს კი - მისი "ოპერატიულად" მიღებისათვის. მერის თქმით, პრიორიტეტები განსაზღვრულია. მომავალი კვირიდან მერია იმ პრობლემების მოგვარებას იწყებს, რაც წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით ერგო.

"დღეს ქალაქის ბიუჯეტში შემოსული თითოეული თეთრი ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ქალაქის ეკონომიკურ აღორძინებას მოხმარდება. თუკი ჩვენ საბიუჯეტო შემოსავლებს ძველი პრობლემების დასაფარად მივმართავთ, გამოვა, რომ ეს თანხები არც ძველი პრობლემის მოსაგვარებლად გვეყოფა და არც მომავალი განვითარებისთვის დაგვრჩება. პრიორიტეტები გამოკვეთილია. ჩვენი მიზანია, შევუქმნათ ხელსაყრელი გარემო კერძო ბიზნესს, რათა ქალაქი განვითარდეს", - ასეთი შეფასება მისცა ქალაქის მერმა გუშინ საკრებულოს მიერ ერთხმად დამტკიცებულ ბიუჯეტს. მან ჟურნალისტებს და მერიის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებს ერთი რჩევაც მისცა: **"მინდა გააცნობიეროთ ერთი რამ, როდესაც მიწისძვრით დაზარალებულებზე ვსაუბრობთ, არასწორია მიდგომა, თითქოს სახელმწიფომ ყოველი დანგრეული სახლის მშენებლობა უნდა დაიწყოს. ამას ჩვენზე ბევრად ძლიერი ქვეყნის ბიუჯეტიც კი ვერ შეძლებს. მთავარია, შეიქმნას ხელსაყრელი გარემო კერძო ბიზნესისთვის. იურიდიულად, სახლები არის კერძო საკუთრებაში და, აქედან გამომდინარე, გაუმართლებელი იქნება, მთელი საზოგადოებრივი ფინანსები კონკრეტული ადამიანების კერძო სახლების გამაგრებაზე მივმართოთ".**

ბიუჯეტიდან ამოღებულ, ცალკეული პროგრამებისთვის გათვალისწინებულ თანხებს, რაც ჯანდაცვის, კულტურისა და განათლების სფეროებს ჩამოჭრათ, ქალაქის მერი არასწორად გაწერილ პროგრამებს უკავშირებს. **"ეს პროგრამები ამოვარდა იმიტომ, რომ რამდენი არასამთავრობო ორგანიზაციაც იქნება და რამდენ წინადადებასაც წამოაყენებს, იმდენი ბიუჯეტიდან ვერ დაფინანსდება. ჩვენ ვეცადეთ, გადავსულიყავით პროგრამულ დაფინანსებაზე, რაც, ნაწილობრივ, გამოგვივიდა. დღეიდან მუშაობა იწყება 2006 წლის ბიუჯეტზე და გარწმუნებთ, რომ ის მთლიანად პროგრამულ ნაწილზე იქნება გადაყვანილი,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ჭიაბერაშვილმა.

როცა "ქუჩა" ჭერქვეშ ხვდება

თამარ მაისურაძე

სამწუხაროდ, ქუჩაში ხელგამოწვდილი ბავშვები ჩვენი ცხოვრების რეალობად იქცა.მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა ყველაზე მეტად ჩვენი მოსაგვარებელი იყო, ქუჩის ბავშვებზე ზრუნვა ჩვენზე ადრე უცხოელებმა დაიწყეს. ათი წლის წინათ საერთაშორისო ორგანიზაცია "კარიტასმა" თბილისის სხვადასხვა უბნებში გახსნა ბავშვთა ცენტრები, სადაც ქუჩიდან მიყვანილ პატარებს ელემენტარული ყოფითი პირობებით უზრუნველყოფდნენ; მოგვიანებით ორგანიზაციამ მეტროსადგურ "დიდუბის" მახლობლად ტერიტორია იყიდა და თავის პროექტებს იქ მოუყარა თავი.

იური ლოგოდინის ფოტო

"კარიტასმა" თბილისის სხვადასხვა უბნებში გახსნა ბავშვთა ცენტრები, სადაც ქუჩიდან მიყვანილ პატარებს ელემენტარული ყოფითი პირობებით უზრუნველყოფდნენ.

იტალიელების მიერ დაარსებული ორგანიზაციის საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის მთავრობა წლების განმავლობაში არც კარგად და არც ცუდად არ ერეოდა. გასულ წელს თბილისის მერიამ, თანადაფინანსების პრინციპით, პატარა წვლილი შეიტანა "კარიტასის" აღსაზრდელების კეთილდღეობაში, წელს კი ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ გაირკვა, რომ დედაქალაქი "კარიტასს" იგივე (თანაგადახდის) პრინციპით, გაორმაგებული თანხით დაუფინანსებს. შარშანდელი 24 ათასი ლარი წელს 50 ათასამდე გაიზარდა.

"კარიტასის" შენობის მეორე სართულზე დღეს ცხოვრობს 30 უდედმამო ბავშვი, რომელიც იქ ქუჩიდან მიიყვანეს. მშვენიერი გარემოსა და გულისხმიერ ადამიანებთან ურთიერთობის გარდა, ისინი გემრიელი სადილითაც არიან უზრუნველყოფილი. "კარიტასის" ყველაზე პატარა მკვიდრი შვიდი წლისაა, ყველაზე უფროსი, გიორგი - 15-ის. ეს უკანასკნელი ქუჩაში გაიზარდა, თავშესაფარში კი რამდენიმე წლის წინათ მივიდა. როგორც ხელმძღვანელობა ამბობს, მასთან მუშაობა იოლი არ არის. "სხვადასხვა რამეები ეხერხება" და პერიოდულად იკარგება ხოლმე. გიორგობის დღესასწაულზეც დაიკარგა. როგორც გაირკვა, სონთან მდგარა, - "ამ დროს იქ კარგი ფული კეთდებაო". მერე, შობის დღესასწაულე დაიკარგა... **"არადა, ძალიან ნიჭიერია. მინანქრზე მუშაობს და თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ თავისი საქმის პროფესიონალია",** - ამბობს პროგრამების დირექტორი ბესო საბაშვილი. მისი აზრით, გიორგი სხვას ინახავს, რადგან თავად ქუჩა-ქუჩა ხეტიალის აუცილებლობა არ აქვს.

გუშინ მერიის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა "კარიტასის" 64 აღსაზრდელს იქ მიღებული ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცეს. **"არც ველოდი ასეთი კარგი ნამუშევრები თუ იქნებოდა წარმოდგენილი. მერიის თანამონაწილეობა ასეთ პროექტებში, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რადგან ამ ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები ზრუნავენ მათზე, არამედ - ადგილობრივი ხელისუფლებაც,"** - განაცხადა თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ არჩილ მორჩილაძემ.

"იმ შემთხვევაშიც კი, თუ თბილისის მუნიციპალიტეტი არ დაგვაფინანსებდა, "კარიტასი" მაინც გააგრძელებდა სხვადასხვა პროექტით მუშაობას. ჩვენ გვინდა პროფესიულ ორიენტაციაზე აქცენტის გაკეთება, თუმცა ამ წუთში ამ ბავშვების პროფესიონალიზმზე პრეტენზია არ გვაქვს", - ამბობს ბესო საბაშვილი.

მთავარი ისაა, რომ ეს ბავშვები დაკავებული არიან და თავიანთ პოტენციალს თბილისის ქუჩებში არ კარგავენ. ისიც უნდა ითქვას, რომ მათი ნამუშევრები სხვადასხვა გამოფენა-გაყიდვაზე გააქვთ. ამ ბავშვების გარკვეული ნაწილი უკვე თავისი საქმის პროფესიონალია. მაგალითად, მეშვიდე კლასელი ანდრო ხიმჩენკო კომპიუტერულ ტექნიკას იმდენად კარგად დაეუფლა, რომ ის ერთ-ერთმა საკმაოდ სოლიდურმა ფირმამ მიიწვია სამუშაოდ.

ეროვნული სასწავლო გეგმების სამუშაო ვარიანტის წარდგენა დაიწყო

იური ლოგოდინის ფოტო

ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თბილისის 92-ე საშუალო სკოლიდან დაიწყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების სამუშაო ვარიანტის გაცნობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის. სასწავლო გეგმები მასწავლებლებს გააცნო პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელმა სიმონ ჯანაშიამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. დოკუმენტი უკვე განხილული და მოწონებული იქნა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრაზე. დღეიდან კი, განსახილველად და რეკომენდაციების მოსამზადებლად, ეროვნული სასწავლო გეგმების სამუშაო ვარიანტი საქართველოს ყველა საგანმანათლებლო სკოლას დაეგზავნება.

სკოლების პედკოლექტივებს საშუალება ექნებათ, თებერვლის მიწურულამდე შენიშვნები მიაწოდონ სამინისტროს პედსაბჭოს დამოწმებული ოქმების ფორმით. **"ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს თითოეული მასწავლებლის მოსაზრების გაცნობა, რათა ეს დოკუმენტი მათი თანამონაწილეობით, შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით იქნეს მიღებული,"** - აცხადებს სამინისტრო. სასწავლო გეგმები შეადგინა განათლების რეფორმის პროექტის "ილია ჭავჭავაძის" ეროვნული სასწავლო გეგმების განყოფილებამ 55 ექსპერტის შემადგენლობით. ექსპერტები იყოფიან საგნობრივ ჯგუფებად, სადაც სპეციალისტები კონკრეტული საგნების მიხედვით შედიან.

24 საათი

პანკისურ საიდუმლოებებს სასამართლო პროცესზეც არ აეხადა ფარდა

ინგა ალავიძე

წითელ ცირკულარში შეყვანილი ტერორისტი, რომლის დაჭერასაც შვიდი წელიწადი, ხოლო საქართველოში ექსტრადიციას - სამი თვე დასჭირდა, ახლა მეშვიდე საპყრობილეშია და რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ე.წ. "სტროგების ზონაში" ეტაპირებას ელოდება.

მართლაც არის თუ არა ოდიოზური კრიმინალი შოთა ჭიჭიაშვილი თუ მხოლოდ არსებული "მასალისგან" შექმნეს საშიში პერსონა? - ეს კითხვა, მიუხედავად უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი მძიმე განაჩენისა, მაინც აქტუალურია.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

საქმე ისაა, რომ უზენაესმა სასამართლომ შოთა ჭიჭიაშვილს 22 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მის ერთ-ერთ პარტნიორს თენგიზ ფარეულიძეს კი, დანაშაულის დაფარვისთვის - რვა წლით პატიმრობა.

გენერალური პროკურატურისა და შემდეგ უშიშროების სამინისტროს მიერ წლების მანძილზე ფრაგმენტ-ფრაგმენტ ნაძიები და შემდეგ ერთ საქმედ ქცეული ჭიჭიაშვილის საქმე საბოლოოდ დასრულდა. თუმცა, სასამართლომ წლების მანძილზე ამ საქმესთან დაკავშირებით გაჩენილ ძალიან ბევრ და ძალიან სერიოზულ კითხვებს პასუხი ვერ გასცა. მოლოდინი, რომ პანკისურ საიდუმლოებებს მევლუდ ჭიჭიაშვილის სასამართლო პროცესზე აეხდებოდა ფარდა, არ გამართლდა.

შოთა ჭიჭიაშვილთან დაკავშირებით პირველი სკანდალი ინგლისელი ბანკირის პიტერ შოუს გათავისუფლებისას ატყდა. სწორედ მაშინ გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი 28 წლის პანკისელი კრიმინალის ვინაობა და ისიც, რომ თურმე, ბოლო წლებში პანკისის ხეობაში მომხდარი ყველა გატაცებისა და სხვა რეზონანსული დანაშაულის ორგანიზატორი სწორედ შოთა ჭიჭიაშვილი ყოფილა.

შოთა ჭიჭიაშვილისადმი მიძღვნილი შოუები გასული წლის 21 იანვარს თბილისის აეროპორტში მოწყობილი გრანდიოზული "ჩვენებით" დამთავრდა. ცნობილი კრიმინალი ლეფორტოვოს საგამოძიებო იზოლატორიდან ორთაჭალის ციხეში მისთვის სპეციალურად გამზადებულ საკანში გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით შეიყვანეს და ჭიჭიაშვილის კრიმინალური ისტორიაც დაიხურა. თუმცა, პირველი და ერთადერთი წერილობითი ჩვენება პანკისელმა კრიმინალმა ლეფორტოვოს საგამოძიებო იზოლატორში ФСБ-ს გამომძიებლებს ჩააბარა. თუმცა, რუს სამართალდამცველებს მიცემულ ჩვენებებში შოთა ჭიჭიაშვილმა პანკისური ისტორიების თაობაზე მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციები მიაწოდა. მათი დეტალიზირებით არც ФСБ-ს წარმომადგენლები დაინტერესებულან.

შოთა ჭიჭიაშვილმა ზეპირი ჩვენება უშიშროების ყოფილ მინისტრს ვალერი ხაბურძანიას ორჯერ მისცა. თავდაპირველად ლეფორტოვოს იზოლატორში, უფრო დეტალური კი, მოსკოვიდან ექსტრადიციისას - თვითმფრინავში. თუმცა, ცნობილი დამნაშავის ზეპირ ჩვენებას კანონის ძალა ვერ მიეცა. წინასწარი ძიების პროცესშიც და შემდეგ, სასამართლო პროცესზეც ჭიჭიაშვილი დუმილის უფლებას იყენებდა. ჭიჭიაშვილის დუმილის მიზეზად პატიმარსა და "ხავერდოვანი რევოლუციით" მოსული ხელისუფლების წარმომადგენლებს, კონკრეტულად, მაღალი რანგის სამართალდამცველებს შორის წარმოებული გარიგება სახელდება. ამ გარიგების მიხედვით, ჭიჭიაშვილი დუმილს შეინარჩუნებდა, სამაგიეროდ, სამუდამო პატიმრობა ასცდებოდა და, მიუხედავად მისჯილი წლებისა, საპატიმროსაც მალე დაემშვიდობება. ანუ, როგორც ჩანს, ჭიჭიაშვილის ალაპარაკება მავანის ინტერესში დღესაც არ შედის. არადა, წესით, მეშვიდე საპყრობილეში გამოკეტილი შოთა ჭიჭიაშვილი სასამართლო პროცესზე მაინც უნდა ალაპარაკებულიყო და ძალიან ბევრ მნიშვნელოვან კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. ეს კითხვები თუ ეჭვები, თავის დროზე, სწორედ სამართალდამცველებმა შექმნეს. სავარაუდოდ, პანკისელი კრიმინალის "კვალს" უნდა გაჰყოლოდა ყველა ის ყოფილი თუ მოქმედი მაღალჩინოსანი, რომელთა შესახებაც თავად ძალოვანი მინისტრები ოფიციალურ განცხადებებში ხშირად საუბრობდნენ და მათი დაპატიმრების პირობასაც დებდნენ. მით უმეტეს, რომ ჭიჭიაშვილის "მაღალ" მფარველთა გვარები უშიშროების სამინისტრომ თავის დროზე მოიპოვა კიდეც და სამართალდამცველებს ყველა საჭირო მტკიცებულებები მოეპოვებოდათ იმისთვის, რომ პასუხისგებაში ის მაღალჩინოსნები მიეცათ, რომლებიც თავიანთ თანამდებობრივ გავლენას ქვეყნის "უკონტროლო ზონად" ქცევისა და დანაშაულებრივი საქმიანობისთვის იყენებდნენ.

ცოლ-ქმრის - ნათია რუსეიშვილისა და მიხეილ დათიკაშვილის გატაცება; საგარეჯოს ერთ-ერთ ქუჩაზე გამართული "ბოევიკი" და პოლიციელ ქურხულის მკვლელობა; კასპელი ბიზნესმენის, რუსეთში ნავთობბიზნესში აქტიურად მომუშავე ნუგზარ წიკლაურის მამის ფირუზ ხოშაბაევის გატაცება; წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა გატაცება; ორი ესპანელი ბიზნესმენის - ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას გატაცება; პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილისა და ანა სურმავას გაიტაცება; "საფოსტო ბანკის" ახმეტის ფილიალის თანამშრომლებზე თავდასხმა და 13 ათასი ლარის გატაცება; უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებზე - ლორთქიფანიძესა და ახმეტელზე თავდასხმა; ყაჩაღობა, რომლის შედეგადაც, თბილისელ თეა აბულაძეს "ოპელ-ვექტრას" მარკის მანქანა წაართვეს, რომლითაც შემდეგ ესპანელი ბიზნესმენები გაიტაცეს; გორში "ნივის" მარკის მანქანის გატაცება და ახმეტაში დალი ალდამოვის გატაცება, ცოლად შერთვის მიზნით - ეს ის დანაშაულებია, რომელთა ჩადენისთვისაც შოთა ჭიჭიაშვილს უზენაესმა სასამართლომ 22 წლით პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, სასამართლო პროცესზე ჩატარებული დაკითხვებისას შოთა ჭიჭიაშვილის პირისპირ მდგარმა მოწმეებმა და დაზარალებულებმა, რომელთაც წინასწარი ძიებისას ჭიჭიშვილის საწინააღმდეგო ჩვენებები მისცეს, განსასჯელისკენ თითი აღარ გაუშვერიათ. თავად ყოფილმა მძევლებმა, და მათი ოჯახის წევრებმაც კი, რომელთაც საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მევლუდ ჭიჭიაშვილთან უშუალო შეხება ჰქონდათ, გატაცებაში მისი მონაწილეობა კატეგორიულად უარყვეს.

მართლაც არის თუ არა ოდიოზური კრიმინალი შოთა ჭიჭიაშვილი თუ მხოლოდ არსებული "მასალისგან" შექმნეს საშიში პერსონა? - ეს კითხვა, მიუხედავად უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი მძიმე განაჩენისა, მაინც აქტუალურია.

ცნობილი ბიზნესმენის ძმისშვილის გათავისუფლების დეტალები არ ხმაურდება

ოთხთვიანი ტყვეობის შემდეგ გამტაცებლებმა 17 წლის ზაზა თორდია გაათავისუფლეს. გატაცებისგან განსხვავებით, მისი გათავისუფლების დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

"თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, პანტიკო თორდიას ძმისშვილის ზაზა თორდიას გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია გუშინ გავრცელდა. როგორც ამბობენ, მძევალი მდინარე ენგურის მახლობლად, ზუგდიდის რაიონში, სოფელ რუხის ტერიტორიაზე თვალახვეული გადმოსვეს მანქანიდან და იგი თავად მივიდა შინ.

როგორც ცნობილია, ზაზა თორდია შარშან, სექტემბერში გაიტაცეს. დეტალებშია ცნობილი მისი გატაცების გარემოებებიც. კერძოდ, ზაზა თორდია ზუგდიდის "ენგურქაღალდკომბინატის" დასახლების ტერიტორიიდან გაიტაცეს. მისი გატაცების დეტალები სამართალდამცველთათვის მისი მეგობრის, ბაჩო კაკაშვილისგან გახდა ცნობილი. გვიან ღამით, კაკაშვილი ზაზა თორდიასთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც მათ "07" მარკის ავტომანქანა მიუახლოვდა. მანქანაში მსხდომ პირებს ახალგაზრდებისთვის თავი პოლიციის თანამშრომლებად გაუცვნიათ და გაყოლა უთხოვიათ. მოტყუებით მანქანაში ჩამსხდარი თორდია და კაკაშვილი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. უკვე მანქანაში ზაზა თორდიას ბიძის - პანტიკო თორდიას სახელი უხსენებია და მასთან ნათესაური კავშირიც უცნობებია გამტაცებლებისთვის, რომლებსაც უთქვამთ, რომ სწორედ პანტიკო თორდიას ძმისშვილს ეძებდნენ. ამის შემდეგ ბოროტმოქმედებმა ბაჩო კაკაშვილი აიძულეს, მანქანიდან გადასულიყო.

ზუგდიდის გარეუბანში მაქანიდან გადმოსმულმა კაკაშვილმა მომხდარის შესახებ სამართალდამცველ ორგანოებს აცნობა. მისი ნაამბობის თანახმად, ბოროტმოქმედები ხუთნი იყვნენ და ყველა მათგანი შეიარაღებული იყო. იმავე წყაროს ცნობით, ისინი გამართულად საუბრობდნენ ქართულად, საკმაოდ უხეშად იქცეოდნენ და თხოვნაზე, გაჰყოლოდა მეგობარს, კაკაშვილს სასტიკი უარი უთხრეს.

სამართალდამცველები იმთავითვე ვარაუდობდნენ, რომ თორდია გამტაცებლებს აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე არ გადაუყვანიათ.

გატაცებიდან მეორე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გატაცებულის ოჯახს ბოროტმოქმედები დაუკავშირდნენ და გამოსასყიდი თანხა - 300 ათასი დოლარი მოითხოვეს. ეს ინფორმაცია ოფიციალურად არავის დაუდასტურებია - არც სამართალდამცველებს, არც თორდიას ოჯახის წევრებს. მხოლოდ გატაცებულის ბიძამ - პანტიკო თორდიამ გააკეთა კომენტარი იმის თაობაზე, რომ მსგავსი თანხა ძმისშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ რომც მოეთხოვათ, იგი არ გადაიხდიდა: **"ჯერ ერთი არ მაქვს, რომც მქონდეს, კრიმინალებთან გარიგებაზე მაინც არ წავალ,"** - განაცხადა, თავის დროზე, გატაცებულის ბიძამ. პანტიკო თორდიას თქმითვე, მან მკაცრად გააფრთხილა ოჯახის წევრები, კრიმინალებთან გარიგებაზე არ წასულიყვნენ. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, გატაცებულის ოჯახის წევრები არც სამართალდამცველებთან თანამშრომლობის განსაკუთრებულ სურვილს გამოთქვამდნენ.

"ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვუკავშირდებოდით მათ, - განაცხადა გუშინ ჩვენთან საუბრისას ზუგდიდის პროკურორმა მურთაზ ნარმანიამ, - **თუმცა, მათგან თანამშრომლობის დიდი სურვილი არ გვიგრძვნია. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, უკავშირდებოდათ თუ არა ვინმე გამოსასყიდის მოთხოვნით."**

მიუხედავად ყველაფრისა, ზაზა თორდია დღეს უკვე თავისუფალია და საკუთარ სახლში იმყოფება. მეზობლებისა და ნათესავების თქმით, იგი შოკურ მდგომარეობაშია და საუბარს ვერ ახერხებს.

ზაზა თორდიამ ოჯახის წევრებისთვის მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი ბნელ ოთახში ჰყავდათ, სადაც მხოლოდ საჭმელს აწვდიდნენ. მისთვის უცნობია, კონკრეტულად რომელი მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა იგი.

ზუგდიდის პროკურორი ვარაუდობს, რომ მძევლადყოფილის დაკითხვას დღეს მაინც შეძლებენ და, შესაბამისად, გამოძიებას მომხდარის შესახებ მეტის თქმა შეეძლება.

24 საათი

საქართველოს ხელისუფლება ვოლიციელს კრიმინალზე არ ცვლის

ერედვის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის ლადო ჩალაურის გათავისუფლებასთან დაკავშირებით ქართული და ოსური მხარეების მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების სამართალდამცველებმა ჩალაურის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის ბრალდებით აღძრეს და იგი ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს. გარდა ამისა, კვლავ ძალაში რჩება ოსური მხარის მოთხოვნა ჩალაურის ოს ბოროტმოქმედზე, ორი ქართველის მკვლელობაში ეჭვმიტანილ ალექსი ფუხაევზე გაცვლის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, ქართველი პოლიციელების გატაცება ფუხაევის ძმის მიერ იყო ორგანიზებული და მას ცხინვალელი ძალოვანები უმაგრებდნენ ზურგს.

გამართულ მოლაპარაკებებში, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციისა და პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობაც მონაწილეობდა და ოსური მხარე მხოლოდ ჩალაურის კუთვნილი ავტომანქანის "ნივისა" და ტაბელური იარაღის გადმოცემაზე დათანხმდა.

"ლადო ჩალაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება," - აცხადებენ ის პირები, ვინც ერედვის პოლიციის უფროსის მონახულება შეძლო. ალეკო სუხიტაშვილის ინფორმაციით, ციხეში ქართველი მძევალი უზრუნველყოფილია მედიკამენტებით და თბილი ტანსაცმლით.

"საქართველოს მთავრობა კრიმინალებს პოლიციელში არასოდეს გაცვლის," - ასეთი კატეგორიული განცხადება გააკეთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. შს მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად, შს სამინისტროს თანამშრომლებს ხელმძღვანელ პირებთან შეთანხმების გარეშე კონფლიქტის ზონაში ნებისმიერი გადაადგილება ეკრძალებათ. **"ქართველი პოლიციელები ე.წ. ნეიტრალურ ტერიტორიაზე ცხინვალიდან გადმოსულ კოლეგას შეხვდნენ, რის შემდეგაც ისინი მუხანათურად მოატყუეს და დაატყვევეს,"** - განაცხადა მერაბიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ერედვის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი ლადო ჩალაური და ოპერმუშაკი გოჩა გვიმრაძე ოსმა შეიარაღებულმა პირებმა 18 იანვარს გაიტაცეს. გამართული მოლაპარაკებების შედეგად, გოჩა გვიმრაძე 20 იანვარს გაათავისუფლეს.

24 საათი

თავისუფლების ინსტიტუტი კვლავაც დაკავებულებზე ძალადობის გამო ჩივის

გიორგი ბუხაიძის ფოტო

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები უკვე მერამდენედ აფიქსირებენ იმ დარღვევებს, რომლებსაც ადგილი აქვს პოლიციის მხრიდან მოქალაქეთა დაკავებისას, ან წინასწარი დაკავების საკნებში. თუმცა, მიუხედავად ასეთი შემთხვევების არაერთხელ საჯაროდ გამომზეურებისა, პოლიციის მხრიდან დაკავებულებზე ძალადობას კვლავ და კვლავ აქვს ადგილი.

გუშინაც, თავისუფლების ინსტიტუტის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, უკვე მერამდენედ, პოლიცია ადამიანის უფლებათა დარღვევაში, კერძოდ კი, დაკავებულთა ცემასა და წამებაში დაადანაშაულეს. სხვათა შორის, არც ის გახლდათ გამონაკლისი, რომ გუშინდელ პრესკონფერენციას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათთან ერთად, გენერალური პროკურატურის და სახალხო დამცველისაც. მიუხედავად ამგვარი წარმომადგენლობითობისა, განსაკუთრებული რეაგირება თავისუფლების ინსტიტუტის მიერ საჯაროდ წარმოდგენილ დარღვევებზე სამართალდამცველთა მხრიდან იშვიათად თუ ხდება.

არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ აქამდე გამომზეურებულ ფაქტებს გუშინ კიდევ ბევრი დაემატა. მაგალითად, მათ მიერ მოპოვებული მონაცემების თანახმად, იანვარში N1 საპყრობილეში 33 ადამიანი შეიყვანეს სხეულის დაზიანებით. აქედან 14 აცხადებს, თუ რა ვითარებაში და რომელი პოლიციელის მხრიდან მოხდა მასზე ზეწოლა. ამას გარდა, ქუთაისის N2 საპყრობილეში სხეულის დაზიანებით რვა ადამიანია მოთავსებული.

"თბილისში, იანვრის თვეში 200-მდე დაკავებულს აღენიშნა სხეულის დაზიანება. პროკურატურას გადაგზავნილი აქვს ოქმები, თუ რა ვითარებაში მიიღეს მათ დაზიანება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერ პროკურატურას არავინ დაუკავებია," - განაცხადა სახალხო დამცველის მოადგილემ ბაჩო ახალაიამ.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის თეა თუთბერიძის თქმით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2004 წლის დეკემბერში, საქართველოს მასშტაბით, საპყრობილეებში სხეულის დაზიანებით 21 ადამიანია შეყვანილი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან მარტო თბილისის N1 საპყრობილეში იმ პერიოდში, დაზიანების მქონე 92 ადამიანია მოთავსებული.

შესაბამისად, ადამიანის უფლებების დამცველები არა მხოლოდ იმ სამართალდამცველთა დასჯას ითხოვენ, ვინც ფიზიკურად უსწორდება დაკავებულებს, არამედ მათიც, ვინც არასწორი ინფორმაციის გაცემით მდგომარეობის შემსუბუქებას ცდილობს.

24 საათი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge



გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩაგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოების სპეციალურ ყუთებში (მიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ნაწერებიანები არ განიხილება).

ინფორმაციის მიღებამდე ანკეტა თან ერთოდეს ქვითრის ნაკეთებულ საფრთხესა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "საბურთალო II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოგებაშვილი II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაჟას მოედანი I";
9. მეტროს სადგური "ვაჟიანი";
10. ვაჟიანის ქუჩის 45 "სოფლურის" შენობის ხელ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნის აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

დამნაშავე ვოლიციელებთან ერთად მათი ხელმძღვანელებიც დაისჯებიან

გუშინ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა პოლიციის თანამშრომლების დანაშაულის ფაქტზე დაკავებას და დამნაშავე თანამშრომლების გამოვლენის შემთხვევაში, ახალ დამსჯელ ზომებზეც ისაუბრა.

გენერალური ინსპექციის მიერ გამოვლენილი, პოლიციის შვიდი თანამშრომელი, რომლებიც სხვადასხვა სახის დანაშაულებში არიან ეჭვმიტანილნი, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან. ასეთი გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრის ვერდიქტი, რომელიც მან მარნეულის და რუსთავის რამდენიმე, ასევე საპატრულო პოლიციის ერთ თანამშრომელს გამოუტანა.

ვანო მერაბიშვილის თქმით, გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა სამი დამოუკიდებელი ოპერატიული ღონისძიება ჩაატარეს და კანონდარღვევის ფაქტებზე მარნეულის პოლიციის სამი, საქართველოს საპატრულო პოლიციის ერთი და რუსთავის პოლიციის სამი თანამშრომელი დააკავეს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მარნეულის პოლიციის თანამშრომლებმა - თემურ საყვარელიძემ, ნუკრი ცინდელიანმა, ოთარ გომართელმა მოქალაქეს, მობილური ტელეფონის სანაცვლოდ, ნარკოტიკული ნივთიერება გადასცეს. ყველა მათგანი დაკავებულია, ისევე, როგორც საპატრულო პოლიციის თანამშრომელი თემურ მინაშვილი, რომელმაც მოქალაქეს, მისთვის სასურველი ავტომანქანის ნომრის სანაცვლოდ, 150 ლარი გამოართვა.

"მე განსაკუთრებით მაღელვებს საპატრულო პოლიციელის მხრიდან ამგვარი საქციელის ჩადენა, რადგანაც საპატრულო პოლიცია შინაგან საქმეთა ორგანოების სწორედ ის განაყოფია, რომელიც საზოგადოებაში აბსოლუტური ნდობით სარგებლობს და თითოეული უღირსი მის პრესტიჟს დიდ ზიანს აყენებს," - განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება რუსთავის პოლიციის თანამშრომლებს, მერაბიშვილის თქმით, მათთან დაკავშირებით ინფორმაცია ზუსტდება.

მეტი დამაჯერებლობისთვის, გუშინდელ ბრიფინგზე მინისტრმა ჟურნალისტებს პოლიციელების დანაშაულის ამსახველი ვიდეოკადრებიც ნარუდგინა. კერძოდ, ვიდეოფირზე დაფიქსირებულია, თუ როგორ გადასცემენ მარნეულის პოლიციის თანამშრომლები მოქალაქეს ნარკოტიკებს მობილური ტელეფონის სანაცვლოდ, ასევე საპატრულო პოლიციის თანამშრომელი თემურ მიმინოშვილი, რომელიც შუამავლობის სანაცვლოდ ქრთამად 150 ლარს იღებს.

ვანო მერაბიშვილის თქმით, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. ამასთანავე: **"ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ პირებზეც უნდა გადანაწილდეს,"** - მიიჩნევს მინისტრი, რომელმაც მსგავსი შემთხვევებისთვის უკვე გამოსცა განკარგულება: დამნაშავე პოლიციელების უშუალო ხელმძღვანელები საყვედურს მიიღებენ და ჩამოქვეითდებიან, ხოლო თუ საყვედურების რაოდენობა ორს მიაღწევს, ისინი სამსახურიდან იქნებიან დათხოვნილი.

24 საათი

გლობალიზაცია - საფრთხე თუ შანსი საქართველოსთვის

გოგა ოქროპირიძე
პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციის ცენტრი

გლობალიზაცია XXI საუკუნის დადგომასთან ერთად საზოგადოებაზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს. მოსალოდნელია, რომ ეს თემა უახლოესი ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესთა შკალაზე მყარად დაიმკვიდრებს წამყვან ადგილს. რა როლი ეკისრება ამ პროცესებში თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქვეყნებს, რომელთა შორის, საქართველოც იმყოფება? რა უნდა გააკეთოს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ, რომ გლობალური პროცესები საზოგადოებისთვის მაქსიმალურად უმტკივნეულო აღმოჩნდეს? როგორი უნდა იყოს თავად საზოგადოების როლი? - ეს ის კითხვებია, რომლებიც თვითოეულ ადამიანს აღელვებს და რომლებზეც დღეს ცალსახა პასუხი არ არსებობს.

ქირურგიული ჩარევა საკუთარ ტვინზე

როგორც პოლიტოლოგები განმარტავენ, გლობალიზაცია არის მსოფლიოს ერთიანი საინფორმაციო-ფინანსური სივრცის შეუქცევადი ფორმირების პროცესი, რომელიც ძირითადად ეყრდნობა კომპიუტერულ და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. იგი უკავშირდება ცივი ომის შეწყვეტასა და გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს. გლობალიზაცია ჯერ კიდევ ტენდენციის სახეს ატარებს, თუმცა მისი დომინანტური ხასიათი დღითიდღე იკვეთება.

საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია - ეს არის სხვადასხვა სფეროებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ზრდა. მისი არსის ახსნა კომპლექსური მიდგომის გარეშე შეუძლებელია, რადგან იგი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის პოლიტიკას, ეკონომიკას, ეკოლოგიას, იდეოლოგიას, უშიშროებას, ცხოვრების წესს და ა. შ.

ტერმინ "გლობალიზაციას" ექსპერტები ხშირად აიგივებენ "ამერიკანიზაციასთან", რადგან მსოფლიოში მიმდინარე ძირეული გარდაქმნის მთავარი პულტი ოფიციალური ვაშინგტონის ხელშია. იგი უზარმაზარი ფინანსური მხარდაჭერის გზით მსოფლიოში თავისი ცხოვრების წესს ამკვიდრებს, რაც ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობებს ეფუძნება. ამ პროცესებში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დიდი ბრიტანეთი და კონტინენტური ევროპის წამყვანი სახელმწიფოები. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც განვითარების პირამიდის უმარლეს კატეგორიას განეკუთვნებიან. გლობალიზაცია ამ ქვეყნებს სხვებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, რაც პირველ რიგში გავლენის გაფართოებასა და მზარდ ფინანსურ კეთილდღეობაში გამოიხატება. ამიტომაც ამ ქვეყნების მოსახლეობას "ოქროს მილიარდს" უწოდებენ, საპირისპიროდ დანარჩენ ქვეყნებში მცხოვრები ხუთი მილიარდი ადამიანისა. მაგრამ შეუძლებელია გლობალური პროცესებისგან ცალკე კონტექსტში განვიხილოთ მეორე ეშელონის ქვეყნებში მომხდარი რადიკალური ცვლილებები (მათ შორის "ვარდების რევოლუცია" საქართველოში და "ნარინჯისფერი რევოლუცია" უკრაინაში), რაც ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობების პოპულარობის ზრდის დადასტურებაა. სწორედ ეს ფასეულობები წარმოგვიდგენს გლობალური პროცესების მთავარ იდეოლოგიურ ბაზისს, რაზეც თანამედროვე მსოფლიოს მოდერნიზაცია ემყარება.

საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლა და კომპიუტერული ტექნოლოგიების თავბრუდამხვევი განვითარების ფონზე თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებულ ადგილს აყენებს პიარის სპეციალისტებს. "ტვინების გამორეცხვა" ხომ მათ ყველაზე უკეთ ეხერხებათ. თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოების გარკვეულ ნაწილის ცნობიერების ფორმირებისთვის ჩვეულებრივ შაბლონად იქცა მისი ელიტის "დამუშავება". რიგ შემთხვევებში ასეთ პროცესებს თან ახლავს ცნობიერების "შემოქმედთა" მხრიდან გარკვეული უპასუხისმგებლობა, რასაც არასასურველ შედეგებამდე მივყავართ. საქმე ისაა, რომ პიარის დომინირების პირობებში იქმნება ვირტუალური რეალობა, რომელიც ხშირად არსებულისაგან განსხვავდება. ასეთი სურათი კი საზოგადოების შიგნით გაუთვალისწინებელ კატაკლიზმებს იწვევს.

СНГ-Ს სივრცე ნაწევრდება

საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის ზრდამ მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბებაში, თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაუკარგა ისეთ აკადემიურ ტერმინებს, როგორიც არის გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა. დღევანდელი მსოფლიოს ერთ რომელიმე სიბრტყეში განხილვა აზრს კარგავს, რადგანაც გლობალური პროცესები მრავალვექტორულ ხასიათს ატარებს და სრული სურათის მიღება კომპლექსური მიდგომის გარეშე შეუძლებელია.

ახალი მსოფლიო წესრიგის განვითარება ცნობიერების და ქცევის წესების ცვლილებას უკავშირდება. აქ საქმე გვაქვს თვისობრივად ახალი ტიპის ინტეგრაციასთან, რომელიც ანგრევს ძველ სტერეოტიპებს, სახელმწიფოს რიგი ფუნქციების შესახებ. გლობალიზაციის პროცესი, თუ მას გეოსიბრტყეში გადავიტანთ, არის ერთიანი ვირტუალური სივრცის ჩამოყალიბება, რომელიშიც შეერთებული შტატების გარდა, მთავარ როლებს "ბებერი" ევროპა და იაპონია ასრულებენ.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, ცნობილი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი, წიგნში - "არჩევანი – გლობალური ბატონობა თუ გლობალური ლიდერობა" – ხაზს უსვამდა ამერიკა-ევროპა-იაპონიის კოოპერაციის გაძლიერების აუცილებლობას. მისი აზრით, ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი და თუნდაც ისრაელი არ არიან მთავარი მოთამაშეები და შტატებმა მათთან არანაირ ალიანსზე არ უნდა იფიქროს.

ცალკე საუბრის თემაა რუსეთი, რომელიც ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, შტატებისთვის მიუღებელ პარტნიორს წარმოადგენს. "შეუფერებლობის" მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ მას კვლავ აქვს ამბიციები ლიდერობაზე (მსოფლიო დონეზე თუ არა, რეგიონულზე მაინც), თუმცა შესაბამისი რესურსები არ გააჩნია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი გლობალური საინფორმაციო-ეკონომიკური სივრცის მიღმა რჩება და მისი სიკეთეებით ვერ ისარგებლებს. ბჟეზინსკი მიიჩნევს, რომ დასავლეთის დახმარების გარეშე რუსეთი ვერ შეძლებს ციმბირის ბუნებრივი რესურსების ათვისებას და განვითარების თანამედროვე ტემპის მიღწევას. ბჟეზინსკი ამ ქვეყანას უახლოეს პერსპექტივაში საშუალო რანგის ევროპულ ქვეყნად განიხილავს.

რუსი პოლიტოლოგები გლობალიზაციის პროცესისგან თავის დასაცავად ოფიციალურ მოსკოვს სხვადასხვა რეცეპტებს სთავაზობენ. პირველ რიგში განიხილება ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება ჩინეთთან და ინდოეთთან. თუმცა, ისიც ცხადია, რომ რუსეთისთვის ეს არ იქნება პანაცეა, რადგან ალიანსის წარმატებით ჩამოყალიბების შემთხვევაშიც კი (რაც ამ ეტაპზე რეალობისგან შორს დგას), მას ლიდერობის ამბიციების დაოკება მაინც მოუწევს. საქმე ისაა, რომ ახლო პერსპექტივაში ცალკე აღებული ჩინეთი შეიძლება აღმოჩნდეს საერთაშორისო პროცესების ისეთივე დონის მოთამაშედ, როგორსაც დღევანდელი ევროკავშირი წარმოადგენს. მისი ეკონომიკის განვითარების ტემპები ასეთი დასკვნების გამოტანის საფუძველს ნამდვილად იძლევა. ამიტომ იგი თანაბარ პარტნიორად, ბუნებრივია, რუსეთს არ მიიღებს.

ზბიგნევ ბჟეზინსკი თავის წიგნში ცალკე ადგილს უთმობს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. "ყველაფერი უნდა გაკეთდეს ახალი დამოუკიდებელი პოსტსაბჭოური ქვეყნების (პირველ რიგში უკრაინის) ევროატლანტიკური გაფართოების პროცესში ჩასართავად," - წერდა იგი გასული წლის დასაწყისში. ეს მოსაზრება კი ახალ დატვირთვა იძენს "ნარინჯისფერი რევოლუციის" წარმატებით დასრულების შემდეგ. ამ მოვლენამ მნიშვნელოვნად დაჩრდილა მსოფლიოში მიმდინარე სხვა პროცესები. ნათლად გამოიკვეთა გაერთიანებული ევროპის აღმოსავლეთით გაფართოების პერსპექტივა, რაშიც აქტიური მოთამაშის როლის შეასრულება ოფიციალურ თბილისსაც შეუძლია. ბალტიისპირეთი- პოლონეთი-უკრაინა-თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი – ასეთია ევროპის აღმოსავლეთ საზღვრის რკალის კონტურები, რაც ნათელს ხდის რუსული იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილების უპერსპექტივობას.

"ვარდების რევოლუცია" - ნაბიჯი ტრანსფორმაციისკენ

"ვარდების" რევოლუციამ" საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს, რითაც დააჩქარა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს დაწყებული ფასეულობათა გადაფასების პროცესი. "ვარდების რევოლუციამ" ყველაზე მეტად კლანურ-ნომენკლატურული ბიუროკრატია დააზარალა, რომლის ძირითადი ნაწილი, ძველი რეჟიმის პოლიტიკურ ფიგურებთან ერთად, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი ადგილი კი დასავლეთის ინვესტიციებთან და უცხოურ გრანტებთან ნაზიარებმა საზოგადოების ფენამ დაიკავა. რეალურად ერთი თაობა შეცვალა მეორემ. ამ პროცესის უმთავრესი მამოძრავებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ ესა თუ ის პოლიტიკური ძალა, არამედ იდეოლოგიაც. რევოლუციამ დღის წესრიგში დაყენა საზოგადოების ძირეული ტრანსფორმაციის საკითხი, რომლის განხორციელებაც ახალ ბიუროკრატიას დაეკისრა.

ლიბერალური ფასეულობების გამომხატველი ლოზუნგების მქონე რევოლუციური ხელისუფლების დამკვიდრება, ხალხის უმეტესი ნაწილის მხარდაჭერის მიუხედავად, წინააღმდეგობების გარეშე არ მომხდარა. პირველ რიგში თავი იჩინა გარკვეულმა მენტალურმა შეუთავსებლობამ. გასულ წელს ასეთი ტენდენცია ყველაზე მეტად განათლების რეფორმის გატარების მიზანშეწონილობისა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებულ პრობლემებში გამოჩნდა.

განათლების რეფორმა, რომლის უკანაც უცხოური მრავალმილიონიანი ფინანსური მხარდაჭერა დგას, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო. იგი იმთავითვე ქართული განათლების სისტემის დასავლურ სტანდარტებზე გადაყვანას ითვალისწინებდა. სწორედ ამას მიანიშნებს გასული წლის დეკემბერში მიღებული კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, რომელსაც უამრავი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ამ დოკუმენტის მესამე მუხლი უმაღლესი განათლების მიზნებს ეთმობა: "ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის". ყველაზე მეტად კანონის ეს ნაწილი გამოხატავს ამ თემაზე წარმოქმნილ დაპირისპირების მიზეზს, რომლის არსიც, პირველ რიგში, საზოგადოების მენტალურ ჩვევებში უნდა ვეძიოთ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის ზრდამ მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბებაში, თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაუკარგა ისეთ აკადემიურ ტერმინებს, როგორიც არის გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა.

განათლების რეფორმა წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ იმ პროფესორ-მასწავლებლების ინტერესებთან, რომლებიც კორუფციული თუ პატიოსანი გზით სოლიდურ შემოსავალს იღებდნენ, არამედ საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელიც კონსერვატიული ფასეულობების მატარებელია და მტკივნეულად აღიქვამს დასავლური რაციონალიზმის დამკვიდრების ყოველგვარ მცდელობას. ასევე გასაგებია საქართველოს ხელისუფლების და, კერძოდ, ქვეყნის პრეზიდენტის დაინტერესება განათლების რეფორმის მიმართ, რადგან ეს საკითხი საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის და ქვეყნის გლობალურ პროცესებში ჩართვის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მენტალური ჩვევების შეუთავსებლობის ჭრილში ჯდება გასულ წელს საზოგადოების ერთი ნაწილის (რომლის უკანაც ხელისუფლების მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციები იდგნენ) დაპირისპირება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. მიზეზი ერთი შეხედვით შაბლონური იყო – ეკლესიის შიგნით კორუფციულ და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამომზეურება. ამით გაჩნდა პრეცედენტი – კონსტიტუციური უფლებების აპელირებით, ადამიანთა ჯგუფი ჩაერია ისეთი ინსტიტუტის შიდა საქმეებში, რომელიც საერო სამართლის ყველა ნორმაზე მაღლა სჯულის კანონს აყენებს. პოლიტიკოსთა ერთმა ნაწილმა ამ ფაქტის უკან ხელისუფლების როლზე მიანიშნა და მას ლამის სახელმწიფოს ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევის კვალიფიკაცია მისცა, თუმცა თუ საკითხს კომპლექსურ ჭრილში განვიხილავთ, "ვარდების რევოლუციით" მოსული ხელისუფლების ინტერესებში არ უნდა შედიოდეს მოსახლეობაში საკმაოდ მაღალი ნდობის მქონე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის წინააღმდეგობების შექმნა. უფრო მეტიც, ამ ინსტიტუტმა, შესაძლოა, უდიდესი როლი შეასრულოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და, ზოგადად, სახელმწიფოს გაძლიერების საქმეში.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური ეფექტურობა წარმოუდგენლად ზრდის იმათ გავლენას, ვინც ამ ტექნოლოგიებს იყენებს. დღევანდელ მსოფლიოში სწორედ ასეთი ადამიანების ხელში ხდება ძალაუფლების კონცენტრაცია.

სავარაუდოა, რომ მართლმადიდებლური ეკლესიისა და საზოგადოების ერთი ნაწილის დაპირისპირება გლობალური პროცესების ერთი უმნიშვნელო, თუმცა ყურადსაღები გამოძახილია. დასავლური კორპორაციების მხრიდან გარკვეული თანხები იდება იმ ფასეულობების პოპულარიზებისთვის, რომლებთანაც მართმადიდებლური ეკლესიის როლი წინააღმდეგობაში მოდის.

წინააღმდეგობების დაძლევა კი რელობის კომპლექსური გააზრებით არის შესაძლებელი და არა მხოლოდ ინფორმაციული ნაკადების ირიბი მართვის გზით.

მედია და საინფორმაციო ტექნოლოგიები

საინფორმაციო ნაკადების ოპტიმალური მართვა დღეს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, არამედ მთელი თანამეგობრობის ზრუნვის საგანი ხდება. ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესი თვისობრივად ახალი ფასეულობების დამკვიდრებას იწვევს. იქმნება ახალი სამკუთხედი – ადამიანი-ინფორმაცია-საზოგადოება - რომლის ეფექტიანი ფუნქციონირება ხელისუფალთა წარმატების უმთავრესი საზომი ხდება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური ეფექტურობა წარმოუდგენლად ზრდის იმათ გავლენას, ვინც ამ ტექნოლოგიებს იყენებს. დღევანდელ მსოფლიოში სწორედ ასეთი ადამიანების ხელში ხდება ძალაუფლების კონცენტრაცია. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ინფორმაციით სარგებლობის წესებს, რითაც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, არამედ მთავარ როლს თამაშობენ ადამიანის ცნობიერების ტრანსფორმაციის პროცესში.

ინფორმაციის როლის ზრდა ბუნებრივად იწვევს საინფორმაციო ტექნოლოგიების დახვეწას. დღევანდელ ცივილიზებულ საზოგადოებაში ნებისმიერი მცირე მნიშვნელობის ღონისძიებაც კი წარმოუდგენელია PR-ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ამ დარგის სპეციალისტებზე მსოფლიოში მოთხოვნა დღითიდღე იზრდება და ისინი გლობალიზაციის პროცესში მოწინავე პოზიციებს იკავებენ. PR-ტექნოლოგიების როლის ზრდა მსოფლიოში დადებით ტენდენციებთან ერთად ახალ საფრთხეებს წარმოშობს. პიარის სპეციალისტების მთავარი პროფესიული დავალებაა გადაჭრან პრობლემები "ტვინის გამორეცხვის" გზით.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, ბუნებრივია, შემთხვევითი არ არის ბოლო დროს ქართულ პოლიტიკაში მათი როლის ზრდა. შეიძლება ითქვას, რომ "ვარდების რევოლუციის" წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა კარგად დაგეგმილმა PR-აქციებმა, ანუ შექმნა საზოგადოებრივი აზრი და პირობა რადიკალური გარდაქმნებისათვის.

ლიბერალური ფასეულობების გამომხატველი ლოზუნგების მქონე რევოლუციური ხელისუფლების დამკვიდრება, ხალხის უმეტესი ნაწილის მხარდაჭერის მიუხედავად, წინააღმდეგობების გარეშე არ მომხდარა. პირველ რიგში თავი იჩინა გარკვეულმა მენტალურმა შეუთავსებლობამ.

ექსპერტები ხშირად მიანიშნებენ საქართველოს ხელისუფლებაში "პიარშიკების" მოზღვავებაზე, რაც, გარკვეულწილად, გლობალურ ტენდენციაზე მიანიშნებს. ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს წინამორბედზე უკეთ ესმის მედიისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი პოლიტიკურ პროცესებში. ალბათ, ამით იყო გამოწვეული პოსტრევოლუციურ პერიოდში ქართულ ტელეკომპანიებზე გარკვეული კონტროლის დაწესებაც (რამაც სავარაუდოდ მედიის დამოუკიდებლობის ხარისხის მხრივ მისთვის უჩვეულო ადგილზე ჩამოქვეითდა), თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ ეს ტენდენცია უფრო მეტად რევოლუციური ინერციით იყო გამოწვეული და არა ახალი ხელისუფლების ავტორიტარული მიდრეკილებებით. (თუმცა ისიც ცხადია, სუსტი სამოქალაქო საზოგადოების პირობებში ნებისმიერი ხელისუფლება ცდილობს მედიაზე გარკვეული კონტროლის ბერკეტების შენარჩუნებას, რაც მას სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საშუალებას აძლევს).

PR–ტექნოლოგიების გამოყენებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს გასული წლის მთავარი მოვლენის – აჭარის რევოლუციის წარმატებით დასრულებაში. ეს იყო საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სახელმწიფო მანქანის ეფექტური ურთიერთობის კლასიკური მაგალითი. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გასულ წელს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ზაფხულის პერიოდში ანალოგიური სურათის მოწმენი ვერ გავხდით. საქმე ისაა, რომ ხელისუფლებამ PR-ტექნოლოგიებს ამ პრობლემის გადასაჭრელად არაადეკვატურად დიდი როლი მიანიჭა, რაც წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აღმოჩნდა.

"ვარდების რევოლუციამ" საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით განსაკუთრებული რენომე მოუპოვა, თუმცა ამ რენომეს შენარჩუნება დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების გარდა, შესაბამისი საერთაშორისო საინფორმაციო ნაკადების კონტროლსაც მოითხოვს. უცხოურ მედიაში გაკეთებული განცხადებები ხშირად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს. დღევანდელ მსოფლიოში დეზინფორმაციული ნაკადები დემოკრატიული პროცესების განვითარებას დიდ საფრთხეს უქმნის. ინფორმაციულ სისტემათა უსაფრთხოების პრობლემას კი პირველ რიგში ინტერნეტის განვითარება წარმოშობს. ამიტომ ეროვნული ინფორმაციული სუვერენიტეტის დასაცავად საქართველოს ხელისუფლებას კომპლექსური ღონისძიებების გატარება მოუწევს.

საქართველოში დღეს რამდენიმე ათეული ინტერნეტპროვაიდერი მუშაობს, რომლებიც მომხმარებლებს გლობალურ ქსელში დაუბრკოლებლად რთავენ. ასეთ პირობებში იქმნება დეზინფორმაციული ნაკადების შექმნის საშიშროება, რამაც, შესაძლოა, საზოგადოებას დიდი ზიანი მოუტანოს. ამიტომ საჭიროა ისეთი ტექნოლოგიების მხარდაჭერა, რომლებიც ამ სფეროში დამნაშავეებს გამოავლენს და, აგრეთვე - საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რაზეც ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა დაეფუძნება.

გლობალური ეკონომიკა ძლიერთა ჰეგემონია სუსტების ხარჯზე

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები იწვევს გლობალური მონოპოლიების შექმნას, რომლებიც ამ ეტაპზე თითქმის უკვე აღარ ექვემდებარებიან რეგულირებას სახელმწიფოების თუ საერთაშორისო ბიუროკრატიის მხრიდან. გლობალური საინფორმაციო-საფინანსო სივრცის ჩამოყალიბება ასეთი კორპორაციების როლს მსოფლიო პროცესებში კიდევ უფრო ზრდის.

ეკონომიკური დისბალანსის შექმნაში წარმმართველ როლს ასრულებენ თანამედროვე მეგატექნოლოგიები, რომლებსაც მხოლოდ მაღალი განვითარების ქვეყნები ფლობენ და რომელთა საშუალებითაც ამკვიდრებენ ურთიერთობის ნორმებს. ეკონომიკური განვითარების პირამიდის "მეორე სართულის" წარმომადგენლები მათ ვერ ყიდულობენ და მხოლოდ "სექონდ ჰენდ"-ის უფლებით იღებენ, რაშიც ისედაც მცირე შემოსავლების დათმობა უწევთ.

გლობალური კონკურენცია იწვევს რესურსების გადანაწილებას ძლიერების სასარგებლოდ. სტრატეგიული ბუნებრივი სიმდიდრეების გარდა, პირამიდის უმაღლესი საფეხურის ქვეყნები არანაკლებ აქცენტს აკეთებენ ინტელექტუალურ რესურსებზე, რაც მათ მაღალი ტექნოლოგიების კიდევ უფრო დახვეწის საშუალებას აძლევს. ამ ტენდენციას უკვე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზაც ასმაყარებს. მაგალითისთვის გამოდგება გერმანიაში მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც, ოფიციალური ბერლინი მაღალკვალიფიციური პროგრამისტებისთვის სახელმწიფო საზღვრებს ხსნის. ამავე კოტექსტში უნდა განვიხილოთ პრაქტიკა, რომელიც აშშ-ში უკვე რამოდენიმე წელია მოქმედებს და ყოვეწლიურად "გრინ ქარდს" აძლევს რამოდენიმე ათეულ ათას ინდოელ პროგრამისტს.

ასეთი მიდგომითაც კვლავ ზარალდებიან დაბალი ეკომომიკური განვითარების ფაზაში მყოფი ქვეყნები. თუმცა ამ სტადიაში მყოფ სახელმწიფოებს (რომელთა რიცხვში საქართველოც იმყოფება), გლობალურ საინფორმაციო-ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პირველ ეტაპზე, ახალი სისტემების და ქცევის წესების დამკვიდრების ხარჯზე, შეუძლიათ მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიონ.

გლობალური პროცესები, ბუნებრივია, ასახვას ჰპოვებს საქართველოს ეკონომიკაში არსებულ ტენდენციებზე. თუმცა ცალსახად რაიმე დასკვნის გაკეთება რთულია, რადგან ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი მთავრობის მიერ შემუშავებული სრულყოფილი დოკუმენტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ (თუ არ ჩავთვლით საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ პროგრამას 2004-2009 წლებისთვის –"ერთიანი და ძლიერი საქართველო თავის ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით", რომელსაც ძირითადად თეზისების სახე აქვს და ნაკლებად ეხება ქვეყნის ეკონომიკურ საფრთხეებს).

ეკონომიკური პროცესების მიმართ არც საერთაშორისო ინსტიტუტების დამოკიდებულებაა ერთგვაროვანი. საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი გაუარესდა – ასეთ დასკვნას აკეთებს ერთ-ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია. 155 ქვეყნიდან ჩვენი ქვეყანა რეიტინგში მეასე ადგილზე აღმოჩნდა და ზემოხსენებულ მაჩვენებლების მხრივ აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებსაც კი ჩამორჩა.

უცხოელი ექსპერტების შეფასებით, საქართველოს ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხის შემცირებაში. ასევე დადებითი შედეგით შეფასდა ფისკალური ტვირთი და საგადასახადო ორგანოებში კორუფციის ხარისხის შემცირება. ამ მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს მთავრობის მიერ საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და საბიუჯეტო წესრიგის აღდგენა წარმოადგენს, რაც თავისუფალი ეკონომიკის განვითარებისთვის ერთ ერთ მნიშვნელოვან, მაგრამ არასაკმარის პირობას წარმოადგენს.

ექსპერტებმა უარყოფითი შეფასება მისცეს საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების დონეს, საკუთრების უფლების დაცვას და კანონმდელობას. ეს ყველაფერი კი იმაზე მიანიშნებს, რომ დაუხვეწავი კანონების გარდა, პრობლემა მათ დაცვაშიც არსებობს, რაც პირველ რიგში სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხით არის გამოწვეული. ასევე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბიუროკრატიული ბარიერების არსებობა. ასეთი ტენდენციები კი ნოყიერ ნიადაგს ქმნის ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის, რომლის მხრივაც საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს.

საერთაშორისო დონეზე ეკონომიკის თავისუფლების მხრივ უარყოფითი იმიჯის შექმნა აშკარად წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების მხრიდან დეკლარირებულ ევროინტეგრაციულ პროცესებთან. ამიტომ ქვეყნის ხელისუფლებას არასწორი ეკონომიური ტენდენციების აღმოფხვრა უახლოეს პერიოდში მოუწევს.

დიდი პრივატიზაცის ლოზუნგი – იყიდება ყველაფერი, ნამუსის გარდა, გარკვეულ საშიშროებებს შეიცავს. საქმე ისაა, რომ გლობალური პროცესები ასუსტებს ცალკეული ქვეყნების უსაფრთხოებას, რაც უმთავრესად საინფორმაციო სივრცის საზღვრების გახსნით და ხელისუფლებათა მხრიდან ეკონომიკურ პროცესებზე გავლენის დაკარგვით არის გამოწვეული. ამიტომ პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხების გაუთვალისწინებლობამ, შესაძლოა, გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს (მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა, პირველ რიგში, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვას უკავშირდება).

ხელისუფლების განსაკუთრებული მისია

გლობალური პროცესების ფონზე საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესში, ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ეკისრება. მასზე დიდად არის დამოკიდებული მიმდინარე პროცესებისთვის ისეთი ფონის შექმნა, რაც მოსალოდნელ წინააღმდეგობებს შეამცირებს. ამავე დროს, ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობების ტალღაზე მოსული ხელისუფლება თავად არის დაინტერესებული ახალი ნორმების დამკვიდრებაში, რადგან დაჩქარებული ევროინტეგრაციული პროცესების პირობებში, შესაძლოა, მისი და საზოგადოების მენტალიტეტს შორის სხვაობა დასაშვებ ზღვარს გასცდეს. ასეთი პერსპექტივა კი ხელისუფლებას რეიტინგის დაცემითა და ქმედითუნარიანობის შესუსტებით ემუქრება.

დღეს საქართველოში ტრანსფორმაციული პროცესები მთლიანობაში უსისტემო ხასიათს ატარებს და ხელისუფლების კონტროლს ნაკლებად ექვემდებარება. ამ მიმართულებით მთავარ მამოძრავებელ ძალას უცხოური ფონდები წარმოადგენენ. ხელისუფლება კი ცდილობს ტრანსფორმაციის პროცესი ეგრეთ წოდებულ სამთავრობო არასამთავრობო ორგანიზაციებთან (GONGO) წარმართოს, რაც არასაკმარისი პირობაა შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად. სასურველია, თუ ამ პროცესში უფრო აქტიურად ჩაერთვებიან დამოუკიდებელი არასამთავრობო სექტორის და მედიის წარმომადგენლები, სხვადასხვა კვლევითი დაწესებულებები. ასეთი მიდგომა ხელისუფლებას საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესში ახალი ნორმების ოპტიმალური ფორმით დამკვიდრების და ამით მოსალოდნელი წინააღმდეგობების თავიდან აცილების საშუალებას მისცემს.

საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის საკითხებში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვაში თავად ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, რადგან ამ პროცესების არასწორად წარმართვა წარმოშობს მემარჯვენე რადიკალიზმის, და თვით ფუნდამენტალიზმის საფრთხეს (ეს ტენდენცია განათლების რეფორმასთან და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებულმა თემებმაც გამოკვეთა). ოპოზიციის ამ ნიშნით გაძლიერება კი ქვეყნისთვის სასურველ შედეგებს არ მოიტანს.

დაბოლოს: გლობალიზაციასთან დაკავშირებული პროცესების სწორად წარმართვის შემთხვევაში, ხელისუფლება მნიშვნელოვან ბერკეტს იღებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. გლობალურ საინფორმაციო-ეკონომიკურ სივრცეში შესვლა (რუსეთი სავარაუდოდ მის მიღმა რჩება) საშუალებას იძლევა აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას თანამედროვე სტანდარტების პირობებში ცხოვრება შევთავაზოთ. ასეთი პერსპექტივა კი მიმდინარე პროცესების კომპლექსური გააზრებით და სწორი ნაბიჯების გადადგმით არის შესაძლებელი.

■ ■ ■

გლობალური ბატონობა თუ ლიდერობა – საერთაშორისო პროცესები ამ კონტექსტში განიხილება ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. პლანეტარული საინფორმაციო-ეკონომიკური სივრცის შექმნა კი დაბალი განვითარების სტადიაში მყოფ ქვეყნებს ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე აყენებს. საქართველოს ისტორიული შანსი აქვს, სწორი პოლიტიკის გატარების გზით, ჩამოსცილდეს გლობალური პირამიდის უკანასკნელ საფეხურზე მყოფი ქვეყნების ჯგუფს და მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიან და ანგარიშგასაწევ წევრად იქცეს.

დუეტი ფორტეპიანოსა და კლარნეტისათვის

B2

ანანდმა პირველი გამარჯვება მოიპოვა

B5

ალმაშენებელზე ნუ ვიდარდებთ

B6

ნომრის სტუმარი

კინო პროექტიდან იწყება

კინომოღვაწეები პოლიტიკოსები არ უნდა იყვნენ

ნიკო წულაძე: ეკონომისტი, ხელოვნებათმცოდნე, კინორეჟისორი. იყო საქართველოს ეროვნული კინოცენტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საერთაშორისო დისტრიბუციის კოორდინატორი, ექსპერიმენტული სტუდია "მარიხი"-ს ხელმძღვანელი, პროდიუსერი, ხელოვნების ფაკულტეტის ლექტორი. მის მიერ გადაღებული ფილმები "მეტივეები", "ბანაკი", ზღვარი", "სვანეთის საგანძური", "ლიტურგია," "სათნოებათა კიბე," "ელეგია" და სხვა - აღნიშნულია კიევის, ტალინის, სანდიეგოს, ამსტერდამის, გერმანიის, კანადის, იტალიის, ავსტრიის, მოსკოვის, საფრანგეთის, ავსტრალიისა და ინგლისის სხვადასხვა კინოფესტივალების პრიზებით. მისი პროდიუსერობით გადაღებული ფილმები მონაწილეობდა ბერლინის, პარიზის, კანის, ამსტერდამის, ობერჰაუზენისა და მაიამის ფესტივალებზე. აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებთან მუშაობის გამოცდილება.

ნიჭი ისეთი რამ არის, რომ თუ მას პროფესიული მუშაობის პროცესი არ ახლვას - ნავლდება. მაგრამ ადამიანს, რომელმაც ერთხელ და ორჯერ აჩვენა საკუთარი თავი და ღირებული ფილმი გადაიღო, ყოველთვის აქვს პოტენცია.

მოგეხსენებათ, ამერიკულმა კინომ ყველაფერი შეჭამა და ევროპა ამისგან თავს იცავს. მათ მოგვწერეს, თუ დროზე არ მიხედეთ, თქვენი კინო განადგურდებაო...

კინო არის ერთადერთი დარგი, სადაც აბსოლუტურად არის შერწყმული ჩვენი კულტურა, მენტალობა, ხელოვნების სხვადახვა სფერო და ამით შეიძლება ვიყოთ იდენტიფიცირებულნი მსოფლიოში, ეს უნდა იყოს ჩვენი სავიზიტო ბარათი.

მაგრამ, ის არ არის ცნობილი ისე, როგორც რეზო ჩხეიძე და ელდარ შენგელაია. ამის მიუხედავად, ნიკო წულაძე და მისი თანამოაზრეები უკვე დიდი ხანია, იბრძვიან კინოინდუსტრიაში არსებული სტრუქტურების დასამსხვრევად. ამ კვირაში საზოგადოების ყურადღების ცენტრში ერთი კარგი და ერთიც ცუდი კინოამბავი მოექცა. კარგი ამბავი - ახალი დიდი ქართული ფილმის გადაღებაა, ცუდი კი - ძველ, ზოგ უცნობსა და ზოგ ნაცნობ, კინოფირებზე გაჩენილი ხანძარია. უბრალო კინომოყვარული მაყურებელი ისედაც კარგად ხედავდა, რომ ახალი და ღირებული ქართულ კინოში არაფერი იქმნებოდა, მაგრამ ჩვენი კინომამები კინემატოგრაფიის ისტორიას რომ საქათმეში ინახავდნენ, უბრალო კინომოყვარულმა ნამდვილად არ იცოდა. ამ დარგში ჯერ კიდევ საბჭოთა ჩვევებია გამეფებული. წარმოებითა და შემოქმედებითი პროცესით სახელოვან 80-იან წლებში ვართ გაჭედილი და მაშინდელი ქართული კინოს ნოსტალგია გვაქვს. თუმცა, ახლა საქართველოც სხვაა, მსოფლიოც და ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ნიჭიერ კინორეჟისორთა, სცენარისტთა, მემონტაჟეთა და გამნათებელთა მთელი თაობა დაიკარგა. თუმცა, ამ ინტერვიუს მიზანი დამნაშავის ძებნა არ არის. ნიკო წულაძეს, როგორც სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმის" ერთ-ერთ აქციონერს, ამ ორგანიზაციაში არსებული კანონდარღვევების შესახებ ბევრი საბუთი აქვს. ამასთან ერთად, როგორც რეჟისორსა და კინოზე გულშემატკივარ ადამიანს, ქართული კინოსაქმის განვითარების გზებზეც აქვს ნაფიქრი და ამბობს, რომ კინოს ევროსტრუქტურებთან დაახლოება სჭირდება.

მაია ჭალაბანიძე

- კინოში მარტო შემოქმედებითი ნიჭით შორს ვერ წახვალ. თუ არ იცი წარმოება და ბაზარი, კინოში არსებობა რთულია. ევროპაში საფონდო სისტემა მუშაობს. ოთარ იოსელიანის დახმარებითა და რეკომენდაციით "ეურომაჟში", "ნიპკვოში" პროექტებზე ვმუშაობდი. მეხმარებოდნენ უკრაინელები, სხვა კერძო ინვესტორები, რადგან ფილმს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია არასდროს აფინანსებს.

2 წლის წინ ჩამოვედი და კარგად ვიცოდი, რა სიტუაცია იყო. ორი წლის წინ "ინტერნიუსმა" გააკეთა გადაცემა, სადაც კინომამების თანდასწრებით კინოწარმოების სტრუქტურის მართვის შეცვლა მოვითხოვე. მაშინ ეს ნაადრევი აღმოჩნდა, თუმცა რეზო ჩხეიძის მხარეც და ელდარ შენგელაიას მხარეც მპირდებოდნენ, რომ ნელ-ნელა ყველაფერი კარგად აეწყობოდა.

- პრობლემები შეიცვალა?

- დიახ, მაშინ ვყვიროდი, არ გაყიდოთ-მეთქი და ერთ კვირაში გაყიდეს "აპოლო". ახლა თითქმის ყელაფერი უკვე გაყიდულია.

- რა იყო მაშინ თქვენი კონცეფციის არსი?

- ცხადია, გაყიდვისა და ინვესტორის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ალბათ ის შეიძლება დათმო, რაც მოძველებულია - შენობა იქნება ეს თუ სხვა რამ. მთელი პრობლემა ის არის, რომ ამ 12 წლის განმავლობაში ქართულ კინოში მომხდარი ამბების შესახებ არავინ არაფერი იცის. 70-მდე შპს და სააქციო საზოგადოებაა გახსნილი "ქართული ფილმის" შენობა-ნაგებობებში და არავინ იცის, სად მიდიოდა ეს თანხები. თუ გამჭვირვალობა არ იქნა, საქმეს ვერც ხელმძღვანელობის შეცვლა უშველის და ვერც სუპერპროდიუსერის ჩამოყვანა.

კარგად გვესმის, რომ ამ გარდამავალ პერიოდში ყველა ცდილობს ხელის მოთბობას, მაგრამ კინო არის ერთადერთი დარგი, სადაც აბსოლუტურად არის შერწყმული ჩვენი კულტურა, მენტალობა, ხელოვნების სხვადახვა სფერო და ამით შეიძლება ვიყოთ იდენტიფიცირებულნი მსოფლიოში, ეს უნდა იყოს ჩვენი სავიზიტო ბარათი.

- თქვენ ედავებით "ქართულ ფილმს" და კინოკავშირს, რომელსაც ორი დიდი ქართველი რეჟისორი ხელმძღვანელობს. იმის თქმა გსურთ, რომ მათ კინო არ უყვართ?

- ისინი 20 წლის წინ იყვნენ რეჟისორები და ამას კომუნისტური პოლიტიკა იყენებდა. მახსოვს, ფოფხაძისდროინდელ ტელევიზიაში იყო გადაცემა "ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!" ხან ერთს წამოაყოფინებდნენ თავს და მეორეს დაუპირისპირებდნენ, ხან - პირიქით. ფოფხაძე მაგის ოსტატი იყო. 80-იან წლებში საკუთარი სახსრებით გადავიღე "ზღვარი", რომელიც საინგილოს ეხებოდა და ყველა ეს წინააღმდეგობა საკუთარ თავზე გამოვცადე.

- საიდან დაიწყებდით?

- სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი" არის წარმოება, კინოცენტრი კი სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებელია. კინოცენტრს უნდა ჰქონდეს საშუალება და სტიმული, გადადგას პირველი ნაბიჯი პროექტის მომზადების, მენეჯმენტისა და დისტრიბუციისთვის. კინოკავშირი მკვდარია, ის არ ფუნქციონირებს. ამ ახალ წელს დაარიგეს წიწიბურა და ზეთი, სხვა ფუნქცია მას აღარ გააჩნია. კინოს სახლშიც ათასი რამ არის გახსნილი და მოგება არავის უნახავს. ყველაფერი გაქირავებულია, რეჟისორებს დასაჯდომი და კინოზე სალაპარაკო ადგილიც არ აქვთ.

ევროსაბჭოს დახმარებით და თანადგომით პროექტით "ამარტი" შვეიცარიის მთავრობამ ერთი წლის მანძილზე მოამზადა კინოს პროდიუსერები, მენეჯერები, იურისტები და ეკონომისტები, ანუ ხალხი, რომელსაც კინოცენტრში უნდა ემუშავა. მსოფლიოში თუ ვინმე პროფესიონალი და გავლენიანი კინოპროდიუსერი და რეჟისორი იყო, ერთი წლის განმავლობაში ყველა აქ ჩამოვიდა და ასწავლიდა. ამ ჯგუფმა იცის ევროპასთან და ცივილიზებულ სამყაროსთან კონტაქტი. დღეს საქართველოში არ არიან სპეციალისტები, რომელთაც ფილმების ერთობლივი წარმოებისთვის მოლაპარაკებები და კონტაქტების გაბმა შეუძლიათ, ეს სპეციფიკური დარგია. სამწუხაროდ, ამ ღონისძიებას პრესა სათანადოდ არ აშუქებდა, რადგან იქ კინემატოგრაფიაში არსებული არც ერთი დაჯგუფების ადამიანი არ მონაწილეობდა.

- როგორ გგონიათ, თქვენ ვის მიგაკუთვნებენ?

- არავის არ ვეკუთვნი. ოთარ იოსელიანი არასდროს აქაურ საქმეებში არ ჩარეულა. ერთადერთს, რასაც ის აკეთებს, დახმარებაა - აქედან ჩასულთ რეკომენდაციას უწევს და ეს იქ დიდი საქმეა.

- ჩვენს კინოში შექმნილი ვითარების გამო რა აზრი გამოთქვეს ცნობილმა კინოპროდიუსერებმა. ვიცი, რომ მათ შორის იყო ცნობილი პოლონელი რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე ქშიშტოფ ძანუსი...

- ძანუსმა, შვეიცარიელმა კონსულტანტმა ჟან პერეტმა, გერმანელმა კინოდრამატურგმა ვოლამოზმა, პროდიუსერმა ლუკ პაგემ და სხვა სტუმრებმა საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას გაუგზავნეს წერილი, სადაც ისინი ქართული ეროვნული კინოს ერთობლივად გადარჩენას სთავაზობდნენ. ამას ზურგს უმაგრებდა წერილი საფრანგეთის საელჩოდან. "იუნესკოში" ევროპული კინოს განვითარების ხელშესაწყობად დიდი პროგრამა მუშაობს. მოგეხსენებათ, ამერიკულმა კინომ ყველაფერი შეჭამა და ევროპა ამისგან თავს იცავს. მათ მოგვწერეს, თუ დროზე არ მიხედეთ, თქვენი კინო განადგურდებაო...

გარდა ამისა, შევხვდი ახალ მინისტრს, ბატონ გოკა გაბაშვილსაც. მან ყურადღებით მომისმინა და თანამშრომლობისთვისაც მზად იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ვიღაცას ეს ხელს არ აძლევდა. უკვე წელიწადია, კინოცენტრს დირექტორი არ ჰყავს და დღემდე გაჩერებულია ყველაფერი... მინისტრმა თქვა, "ქართულ ფილმში" აუდიტი უნდა ჩატარდესო - მართლაც საჯაროდ უნდა მოხდეს ობიექტური და მიუკერძოებელი აუდიტი. სანამ ძველი ხელმძღვანელობაა, არაფერი გამოვა, ან პროცესში არ უნდა ჩაერიონ.

- როგორც ამბობთ, ამ სააქციო საზოგადოებას 300-მდე აქციონერი ჰყავს. შეიკრიბეთ და თავად უშველეთ დარგს, თუ ფიქრობთ, რომ ეს შეგიძლიათ...

- არაერთხელ შეიკრიბნენ, მაგრამ რეგიონებიდან ჩამოჰყავთ კინოთეატრების ყოფილი დირექტორები, ყოფილი თანამშრომლები და კინოდან წასული ადამიანების ხმებს იყენებენ.

- დავუბრუნდეთ მენეჯმენტს...

- ქართული კინო მარტო ვერასდროს იარსებებს, არ არის ამდენი ფული. მსოფლიოში არსებობს სამი დიდი ფონდი, რომელიც ცდილობს, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს. 5 წელია, ვითხოვთ კანონმდებლობის მოწესრიგებას, რათა ევროპულ სქემაში მოვხვდეთ. ამ ფონდების წევრი რომ გავხდებით, გვექნება პარტნიორობის სრულფასოვანი საშუალება და სხვა.

კინოცენტრის სქემა ასე წარმოგვიდგენია - უნდა მომზადდეს პროექტი. ამისთვის საჭიროა თანამშრომლობა იდეის ავტორებთან, პროდიუსერთან, ეს არის საინფორმაციო ცენტრი. მარტივი მოდელია და სულ 10 კაცია საკმარისი - უნდა შეიქმნას ღია საინფორმაციო ბაზა, მოგროვდეს შემოქმედებითი ინფორმაცია სიუჟეტების, იდეების, ავტორების შესახებ, ბაზრისა და ფესტივალების შესახებ. გამართული უნდა იყოს საერთაშორისო საფინანსო და იურიდიული ბაზა, ამუშავდეს ეკონომიკური, საბიუჯეტო სახსრების მოპოვების, განკარგვისა და კონტროლის სამსახურები. ეკონომიკურმა სამსახურმა უნდა აკონტროლოს კინო-ვიდეო ჩვენებიდან ამოღებული თანხები და სხვა.

და რაც მთავარია, უნდა მომზადდეს კონკურენტუნარიანი პროექტი, კინო პროექტიდან იწყება. უნდა მოხდეს კომერციული და საავტორო კინოს დაბალანსება. ამას კი სტრატეგიის შემუშავება სჭირდება, რათა ფილმს მხოლოდ ერთი წლის სიცოცხლე არ ჰქონდეს.

სააქციო საზოგადოებებიდან, შპს-ებიდან შემოსული თანხები რომ ნორმალურად აკუმულირებულიყო და განაწილებულიყო, ეს სამუშაოები 5-6 წლის წინ იქნებოდა მოთავებული.

- ახალი თაობის რეჟისორების შემოქმედებას იცნობთ?

- სამასამდე სტუდენტური ფილმი ვნახე. ქართულ კინოს დიდი ტრადიციები აქვს და ამ ბავშვების ფილმები რომ ნახოთ, ნიჭი კივის. აშკარად არის დიდი შესაძლებლობები, განხორციელების საშუალებები კი - არ არის.

ეს კონცეფცია არის იმ ადამიანების აზრი, ვინც მეტ-ნაკლებად, გაჭირვებით ახერხებდნენ რაღაცის კეთებას და ვისაც სურს, რომ ქართული კინო გაკეთდეს.

- როგორ უნდა დაიცვათ კინო პოლიტიზებისგან?

- კინოში პოლიტიკა ყოველთვის იყო. უბრალოდ, კინომოღვაწეები არ უნდა იყვნენ პოლიტიკოსები. ძალიან რთულია კინოში ყოფნა... გოგი გვახარიას მინდა შევეხმიანო, რომელიც ამბობს, რომ ქართველი რეჟისორები შემოქმედებით სტაგნაციას განიცდიან და ევროპაში არ ჩანან. სხვათა შორის, არც მე მინახავს გოგი გვახარიას წერილი რომელიმე საზღვარგარეთულ გამოცემაში და მეც უნდა ვთქვა, რომ კინოკრიტიკოსებიც სტაგნაციას განიცდიან?

- კრიზისი საყოველთაო მოვლენაა.

- რეჟისორები დღეს ლუკმა-პურისთვის "მზეში", "იმედზე" მუშაობენ. ნახეთ, დილიდან-საღამომდე მუშაობენ.

- როდესაც ლუკმა-პურისთვის შემოქმედებით იდეებს ღალატობ და მდარე პროდუქციას აწარმოებ, ინტელექტუალური კორუფცია არ არის?

- ძალიან რთულია ორიგინალური ფილმის გადაღება... გახსოვთ, როგორი რთული იყო მოწყობა ВГИК-ში და ჩვენთანაც? ამას რომ გაივლი, ფილმს გადაიღებ და 10 წელი არაფერს გააკეთებ, კანკალი გეწყება.

- როგორ გგონიათ, შეძლებენ ტელევიზიებში გამოფიტული რეჟისორები რაიმე ღირებულის შექმნას კინოწარმოების აღორძინების შემთხვევაში?

- ნიჭი ისეთი რამ არის, რომ თუ მას პროფესიული მუშაობის პროცესი არ ახლავს - ნავლდება. მაგრამ ადამიანს, რომელმაც ერთხელ და ორჯერ აჩვენა საკუთარი თავი და ღირებული ფილმი გადაიღო, ყოველთვის აქვს პოტენცია. შემოქმედებითი გარემოა აუცილებელი, რომ ეს ყველაფერი განახლდეს. არ ვამბობ, რომ შედევრები შეიქმნება, მაგრამ უინტერესო კინო არ იქნება. ევროპელები ამბობენ, რომ მათთან ემოცია გაცივდა, აქ - არა და იმიტომ გვინდა თქვენთან მუშაობაო...

სახელმწიფოს გადასაწყვეტია, უნდა თუ არა კინო. ჩვენ "ვარდების რევოლუციას" ვერ მოვაწყობთ.

- კინოს რევოლუციური გარღვევა ნამდვილად არ აწყენდა.

- მაშინ, მასწავლეთ, როგორ უნდა.

- ეგ მიშამ იცის.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თბილისისი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
პეტრე ჩაიკოვსკი
"მაკნატუნა"
ბალეტი ორ მოქმედებად
დამდგმელი დირიჟორი: ჯანსუღ კახიძე
დამდგმელი ქორეოგრაფი: იური გრიგოროვიჩი
დამდგმელი მხატვარი: სოლომონ ვირსალაძე
პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი: იური გეგეშიძე
დირიჟორი: გიორგი ჟორდანია
ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი: ნინო ანანიაშვილი
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ნანა ჯანელიძე
"FM 90-იანი ადამიანის ხმა"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
დამდგმელი რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ჯონ ოზბორნი
"კომედიანტები"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
დას: 19:00 სთ.

თეატრი "ვერიკო"
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

ცირკი
საშობაო-საახალწლო წარმოდგენა
მოსკოვის საცირკო კოლექტივის ახალი პროგრამა
დას: 12:00; 15:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

რუსთაველი
“ნიუ იორკის ტაქსი”
დას: 20:00; 22:00 სთ.

ამირანი
"ბრიჯიტ ჯონსი 2"
დას: 15:00; 17:30; 20:00; 22:00 სთ.
ფასი: 7-დან 10 ლარამდე.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონანტთა გამოფენა

ჰობი
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

გოეთეს ინტიტუტი
ბეატ პრესნერის ფოტოგამოფენა
"ვერნერ ჰერცოგი: ფილმი ფიზიკური უნდა იყოს"

სურათების ეროვნული გალერეა
სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა (გობელენი, თექა, ბატიკა)

ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ

ბერლინი
(ელბაქიძის 14)
დი-ჯეები: ქეში და ედგარ სებისი
დას: 22:00 სთ.
ფასი: 5 ლარი.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ

მე საქართველოს არ გავქცევივარ

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

28 იანვრიდან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის "აიდას" საპრემიერო სპექტაკლებსა და მასკანის "სოფლის პატიოსნებაში" მაყურებლის წინაშე ის ქართველი შემსრულებლები წარდგებიან, ვინც ამჟამად ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და მათ წამყვან საოპერო თეატრებში მოღვაწეობენ. მათ შორის ტენორი გიორგი ონიანია, რომელიც სულ მალე ოპერის სცენაზე რადამესის ("აიდა") პერტიას შეასრულებს.

გიორგი ონიანმა 2001 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია პროფესორ ნოდარ ანდღულაძის ხელმძღვანელობით, რის შემდეგაც სამი წელი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოღვაწეობდა, სადაც შეასრულა ალფრედის პარტია ჯუზეპე ვერდის ოპერაში "ტრავიატა", ჰერცოგის პარტია "რიგოლეტოში", კავარადოსი "ტოსკაში", აბესალომი ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერიში", მალხაზი ფალიაშვილის ოპერაში "დაისი". ამავე წლებში იგი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. 2001 წელს მომღერალმა ასპირანტურა მიუნხენში, მუსიკისა და თეატრის უმაღლეს აკადემიაში გაიარა. იქიდან მილანში მოსმენაზე გაემგზავრა, სადაც ვერდის პირველი ოპერისთვის "ობერტო, გრაფი ბონიფაჩოსთვის" უნდა შეერჩიათ ტენორის პარტიის შემსრულებელი. შვიდი მომღერლიდან ორი აარჩიეს. მათ შორის ქართველი შემსრულებელიც. როლთან ერთად მას ლა სკალას თეატრის დახელოვნების კურსების გავლაც შესთავაზეს, ასე დაიწყო გიორგი ონიანის მოღვაწეობა იტალიასა და საერთოდ ევროპაში. ორ წელიწადში მან 23 ოპერა დააგროვა რეპერტუარში. **"ერთი წუთიც არ დამიკარგავს, მთელ დროს ჩემს საქმეს ვახმარდი. რადგანაც სხვა დროს იგივე პიანისტებთან მუშაობა საკმაო თანხებთან არის დაკავშირებული. შანსი მაქსიმალურად გამოვიყენე."** - ამბობს გიორგი ონიანი.

2002 წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა მომღერლის ბიოგრაფიაში. გარდა იმისა, რომ პირველად იმღერა ლა სკალას სცენაზე (ვერდის "ობერტო"), მან ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე, რივა დელ გარდაში პირველი პრემია მოიპოვა.

ერთი წლის შემდეგ მომღერალს საქართველოში პრეზიდენტის მიერ კულტურის სფეროში წარმატებული მოღვაწეობისთვის დაწესებული პრემია "წინანდალი" გადაეცა, ასევე მონაწილეობა მიიღო თბილისის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში - "შემოდგომის თბილისი" და ამავე წელს მან კვლავ იმღერა ლა სკალას სცენაზე. მისი წარმატებები ამით როდი დასრულებლა, 2004 წელს მომღერალმა კიდევ ერთი საერთაშორისო წარმატება მოიპოვა - გრან-პრი ტენორების რუმინეთის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე "Traian Grozavescu". ამას გარდა, იმღერა რიო-დე-ჟანეიროს მუნიციპალური თეატრის სცენაზე (ვერდის "ბალმასკარადი"), მონაწილეობა მიიღო უნგრეთში გამართულ მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში (პუჩინის "ვილისები") "Zempleni festival", ამავე წელის მან ჯერ კრემონაში ტურიდუს პარტია შეასრულა მასკანის ოპერაში "სოფლის ღირსება", ოქტომბერში ბერგამოს დონიცეტის თეატრში იმღერა დონიცეტის "პარიზინა", დეკემბერში კი კატანიის ბელინის თეატრში "უგო, პარინის გრაფი" (უგოს პარტია) იმღერა.

მომღერლის რეპერტუარი მეტად მრავალფეროვანია, ვერდის "ტრავიატა" (ალფრედო), "ორი ფოსკარი" (ჯაკომო ფოსკარი), "სიცილიური მწუხრი" (არიგო), "რიგოლეტო" (ჰერცოგი), "ტრუბადური" (მანრიკო), "რეკვიემი" და "ბალ-მასკარადი" (რიკარდო), პუჩინის "ტოსკა"(კარავადოსი), "ვილისები", "მადამ ბატერფლაი" (პინკერტონი), "ბოჰემა"(რუდოლფი), რიხარდ შტრაუსის "ვარდების კავალერი" (იტალიელი ტენორი), ჟორჟ ბიზეს "კარმენი"(ხოზე), მასკანის "სოფლის ღირსება" და სხვა.

იანვარში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ვერდის "აიდას" საპრემიერო სპექტაკლებში ახალგაზრდა ტენორის დებიუტი შედგება. როგორც აღმოჩნდა, ვერდი მისი რჩეული ავტორია, რაც შეეხება რადამესის პარტიას, მას იგი რთულად არ ეჩვენება და დიდი სიამოვნებით აღიქვამს და განიცდის მის ხასიათს: " მე სხვადასხვა ქვეყნებში, ოკეანის მიღმა, ევროპაში და აზიაშიც მიწევს სიმღერა, რეპერტუარი ვრცელი მაქვს, ლირიულიდან დაწყებული, დრამატულით დამთავრებული, მაგრამ ვერდის ოპერებში თავს ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. ასევე პუჩინის რამდენიმე ოპერაში მაქვს ასეთი შეგრძნება. ვერდი ახლოსაა ჩემს ბუნებასთან. რადამესის როლით ბევრის თქმა შემიძლია, თანაც არც ისე რთული პარტიაა. აქ ხარ მებრძოლი, მხედართმთავარი და, ამავე დროს, შეყვარებული. ორი ბუნება უნდა გამოაჩინო, ჰეროიკულობაც და ლირიზმიც. ეს ცვალებადობა ინტრიგას ჰმატებს გმირს, ამიტომაც მსიამოვნებს ამ როლის შესრულება."

საკუთარი "თავგადასავლისა" და წარმატებების გარდა, გიორგი სხვა საინტერესო თემებზეც გვესაუბრა, მათ შორის, იმაზეც, თუ რა არის საჭირო სრულყოფილი საშემსრულებლო დონის მისაღწევად: "საზღვარგარეთ მოღვაწეობით იმას მივხვდი, რომ მარტო ხმა არ კმარა, შეიძლება კარგი ხმა გქონდეს, მაგრამ თუ სპექტაკლში პერსონაჟი არ ხარ, არ გაპატიებენ. მაყურებელი, მით უფრო, იტალიაში ძალიან მომთხოვნია, თუ გმირს მღერი და გმირი არა ხარ, არ გაპატიებენ. თუ გმირის ფსიქიკას არ ჩაწვდი, დირიჟორმა რომც გაპატიოს, პუბლიკა არ გაპატიებს... იტალიელივით უნდა მღეროდე, ყველა სიტყვას თავისი დატვირთვა უნდა ჰქონდეს, დიდი მნიშვნელობა აქვს აქცენტებს, თუ ვოკალისტს საერთაშორისო დონეზე გაქვს პრეტენზია, ამ ყოველივეს უნდა ითვალისწინებდე."

როგორც თავად გამიმხილა, თეატრში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლა ძალიან ახარებს და თუ იქ მდგომარეობა სიკეთისკენ შეიცვლება, რაშიც თითქმის დარწმუნებულია, სამომავლოდ სიამოვნებით დარჩება და გასტროლებზე თბილისიდან ივლის. **"მე საქართველოს არ გავქცევივარ, წავედი იმისთვის, რათა დავხელოვნდე და გავიზარდო, როგორც მუსიკოსი და ჩემი ევროპული გამოცდილება ისევ ჩვენს თეატრსა და ჩვენს ხალხს მოვახმარო. დიდი სიამოვნებით დავრჩები, თუ თეატრში სიტუაცია გამოსწორდება თავისუფალ დროს სიამოვნებით მოვახმარ ჩემს ხალხსა და მსმენელს"**. თუმცა, ამ ეტაპზე მისი სცენაზე ხილვა თბილისელებს მხოლოდ 7 მარტამდე შეგვეძლება, რის შემდეგაც ქართველ ტენორს ჯერ მექსიკაში და რიო-დე-ჟანეიროში, შემდეგ კი ბუდაპეშტსა და ლატვიაში საკმაოდ ხანგძლივი გასტროლები ელის.

ᲓᲣᲔᲢᲘ ᲤᲝᲠᲢᲔᲞᲘᲐᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲠᲜᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲗᲝᲓᲣᲐ

ნინო პლუს ლევანი უდრის შეყვარებულებს (ახლა უკვე ცოლ-ქმარს). ფორტეპიანო პლუს კლარნეტი უდრის დუეტს (ახლა უკვე წარმატებულს). ვინ არის ლევან ცხადაძე, ამაზე "24 საათი" ერხელ უკვე წერდა - ნიჭიერი კლარნეტისტი, რომელსაც შინ თუ გარეთ წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებენ. ვინ არის ნინო გვეტაძე, ამაზეც, მგონი, პირველად "24 საათი" წერს - ასევე ნიჭიერი პიანისტი, რომლის წარმატებული დებიუტი შინ თუ გარეთ უკვე შედგა.

როგორც ნიჭიერი ბავშვების უმრავლესობას, ნინო გვეტაძესაც ადრეულ ასაკში აღმოაჩნდა მუსიკალური ტალანტი და ტრადიციული გზა განვლო ნიჭიერთა ათწლედიდან თბილისის კონსერვატორიამდე. ეს გზა ჩვენთვის იქნებ ჩვეულებრივია, მაგრამ ის პედაგოგები, ვინც აქაურ ბავშვებს მუსიკალური ხელოვნების დაუფლებას ასწავლიან, მართლაც არაჩვეულებრივი მასწავლებლები არიან. ნინოს შემთხვევში, ათწლედის დამთავრების შემდეგ ქალბატონი ვერონიკა თუმანიშვილი ნოდარ გაბუნიამ შეცვალა, ბატონი ნოდარის გარდაცვალების შემდეგ კი მისი პედაგოგი ნანა ხუბუტია გახდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის კონსერვატორია ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, რომლის დიპლომსაც საზღვარგარეთ ჯერ კიდევ არ უყურებენ ეჭვის თვალით, კონსერვატორიის სტუდენტები, თუ შანსი ეძლევათ, აქაურობას ტოვებენ და სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ მიემგზავრებიან.

რატომ? ვისაც სმენა აქვს, აქ შეუძლია აზდაკის არია წაიმღეროს "კავკასიური ცარცის წრიდან", ვისაც არა - მე მომისმინოს. მუსიკოსისთვის კარგი პედაგოგი აუცილებელია, მოწესრიგებული სასწავლებელიც ბევრს ნიშნავს და ხარისხიანი ინსტრუმენტიც, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. პროფესიონალებს მხოლოდ ერთი დარბაზი, ბუნებრივია, აღარ აკმაყოფილებთ, სხვა ქვეყნებში გასტროლები ან კონკურსებში მონაწილეობის მიღება კი ქართველ მუსიკოსებს ძვირი უჯდებათ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ნინომ ვიდეოკასეტა გაგზავნა ჰოლანდიაში და უპრობლემოდ გახდა ჰააგის სამეფო კონსერვატორიის მაგისტრანტი. ცნობისათვის, მისი პედაგოგი ქართველი პიანისტის, ნატო წვერავას მეუღლე პოლ კომენი გახლავთ.

ჰოლანდიაში სწავლა და ცხოვრება ძვირი ღირს, მაგრამ საქართველოსაგან განსხვავებით იქ ნიჭიერ ახალგაზრდებს უშურველად ასპონსორებენ. ნინო გვეტაძეს ვინმე კაროლა ბურგერჰაუტმა გაუმართა ხელი, თანაც ისე, რომ ნინომ არც კი იცის, რა საქმიანობითაა დაკავებული ეს ქალბატონი. იმ წელიწადნახევრის განმავლობაში, რაც ქართველი პიანისტი ჰოლანდიაში იმყოფება, მასზე, როგორც პროფესიონალზე, ტიტების ქვეყანაში უკვე ალაპარაკდნენ - იგი ჰოლანდიის პიანისტთა ნაციონალური კონკურსის გრან პრისა და, შესაბამისად, 15 ათასი ევროს მფლობელი გახდა. ასევე მიანიჭეს პირველი პრემია თავის კატეგორიაში (ასაკობრივი ცენზის მიხედვით) და პრიზი თანამედროვე ნაწარმოების შესრულებისათვის - ნინომ მიხეილ შუღლიაშვილის "ეგზერსისი" შეასრულა. 23 წლის პიანისტისთვის ეს უკვე ბევრს ნიშნავს, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია ის პროგრამა, რომელიც მან ერთი წლის განმავლობაში უნდა გაიაროს: რამდენიმე სოლო კონცერტი ჰოლანდიის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში, კონცერტები როტერდამის სიმფონიურ ორკესტრთან, ჰააგის რეზიდენციის ორკესტრთან და ლიმბურგის სიმფონიურ ორკესტრთან. ნინო, ასევე, მონაწილეობას მიიღებს კლასიკური მუსიკის ფესტივალში, რომელიც ჰოლანდიაში იმართება და კომპაქტდისკსაც ჩაწერს "ფილიპსის" ფირმაში მის მიერვე შერჩეული რეპერტუარით. ნინოს უკვე მოუსმინეს ჰოლანდიის რადიოთი, მასზე დაიწერა პრესაშიც. ერთი თვის წინ კი ნინო გვეტაძე თბილისში ჩამოფრინდა და ლევან ცხადაძესთან ჯვარიც დაიწერა. პირველად ერთად თბილისში დაუკრეს. იქიდან მოყოლებული მათ სასიყვარულო ისტორიას რეფრენად გასდევს კლარნეტსა და ფორტეპიანოზე აჟღერებული მუსიკა.

ნინოსაგან განსხვავებით, ლევან ცხადაძეს მუსიკოსობაზე არ უოცნია. ბავშვობაში ბოტკინი რომ არ შეჰყროდა, ჩოგბურთის ჩოგანს კლარნეტზე არასოდეს გაცვლიდა. ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა, სპორტისთვის თავი დაენებებინა და იმ საშიშ დროს, სანამ სტაბილურობას კეთილდღეობა შეცვლიდა, აღმა-დაღმა უსაქმოდ რომ არ ევლო, მშობლებმა საქსოფონზე დაკვრა შესთავაზეს. საქსოფონი ძვირი ღირდა, კლარნეტი - შედარებით იაფი და ლევანიც ამ ინსტრუმენტზე დაკვრას დაეუფლა. სკოლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა არქიტექტურის ფაკულტეტზე, მაგრამ სამი წლის თავზე სამხატვრო აკადემიიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით გადაინაცვლა და კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. ამჟამად პარიზის კონსერვატორიაში ჩასაბარებლად ემზადება. თუ გაუმართლებს, ამ ქართულ ოჯახს ხშირად მოუწევს მოგზაურობა ჰააგასა და პარიზს შორის, თუ არადა, ჰააგა-მიუნხენის მატარებლის მუდმივი მგზავრები გახდებიან, რადგან ლევანს, კარგა ხანია, გერმანიაში ელიან. რაც შეეხება თბილისს, იმედია, აქ მხოლოდ ნათესავების სანახავად არ ჩამოვლენ, თუ, რასაკვირველია, მუსიკალურ ხელოვნებაზე ზრუნვა სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ საკონცერტო დარბაზების გარემონტებით არ შემოიფარგლება.

ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

გუშინ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქართული ნაციონალურ-ქორეოგრაფიული ბალეტი "მეტეხი" გასტროლებზე იტალიაში გაემგზავრა. როგორც ქორეოგრაფიული ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა ქორეოგრაფმა გელოდი ფოცხიშვილმა განაცხადა, იტალიაში გასტროლებზე ვარდების რევოლუციისადმი მიძღვნილ სპექტაკლთან - "უკვდავნი" (სპექტაკლში მოფარიკავეებს ხმლების მაგივრად ვარდები უჭირავთ) ერთად წარმოადგენენ დადგმას "გასეირნება ძველ თბილისში". "იტალიაში ჩვენ გასტროლებს აფინანსებს ნირო კორდმორი, რომელმაც ლუჩანო პავაროტისა და პლასიდო დომინგოს კონცერტები დააფინანსა. გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ ვგეგმავთ საფრანგეთში, ინგლისსა და გაერთიანებულ ემირატებში გამგზავრებას", - განაცხადა გელოდი ფოცხიშვილმა. ქორეოგრაფიული ბალეტი "მეტეხი" კონცერტებს იტალიის ქალაქებში: რომში, ნეაპოლში, რომში, ფლორენციაში, ვენეციაში და კუნძულ სიცილიაზე გამართავს. ტურნე 24 დღე გაგრძელდება.

2005 წელს ქორეოგრაფიულ ბალეტ "მეტეხს" დაარსებიდან 25 წელი უსრულდება. ***მედიანიუსი***

მათთვის, ვინც წონაზე წუწუნებს

ქლინთ ისთვუდი და ჰილარი სუენქი

ჯენიფერ გარნერი

ჯესიკა ბიელი

თხელი ქალის ეტალონი მოგონილიაო, ზოგი ამტკიცებს და დასტურად იშველიებს ერთი კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, გულის სიღრმეში აბსოლუტურად ყველა მამაკაცს ჩასუქებული ქალი უფრო მოსწონს. თუმცა, იმის პარალელურად, თუ რა მოსწონთ კაცებს, არსებობს მეორე მხარეც - ის თუ როგორი სხეული ურჩევნიათ, რომ ჰქონდეთ თვითონ ქალებს. რადგან პრინციპში, ყოველგვარი კვლევებისგან დამოუკიდებლად, სწორედ ამაზეა დამოკიდებული, მოეწონება თუ არა მამაკაცს ქალი.

და მართლაც: თუ ქალს არ მოსწონს საკუთარი სხეული, თუ ძალიან აწუხებს სკამზე დაჯდომისას მუცელზე ნაკეცებად ჩამოდებული ქონი, გასქელებული კიდურები, მკლავებზე ჩამოკიდებული ხორცი, ცხადია, ის ვერც სასურველ მამაკაცს მოაწონებს თავს. ასე რომ, იდეალური ვარიანტია - საკუთარ სხეულთან ერთად ჰარმონიაში იცხოვრო და თუ ამისთვის დიეტაა საჭირო, იდიეტო კიდეც.

თუ ამ პრინციპს გავყვებით, გამოვა, რომ ჰოლივუდი კაცების გულის სიღრმეში გამეფებული ოცნებებისგან სრულიად განსხვავებულ იდეალებს სახავს - გამხდარ ქალს. ამ ზოგად განმარტებას კი 2005 წელს კიდევ ერთი კონკრეტული შტრიხი ემატება: გამხდარი ქალი აუცილებლად უნდა ითავსებდეს ორ დეტალს - სპორტულობას და ქალურობას. ანუ, საქმე გვაქვს ქალებთან, რომელთაც ყველაფერი თავის ადგილზე აქვთ, ძვალიც საკმარისად აქვთ და ხორციც, ათლეტურებიც არიან, ჯანსაღი შესახედაობაც აქვთ და ქალურ სინაზესაც აფრქვევენ.

ბოლო დროს ამ პრინციპების გათვალისწინებით სხეულს სამი ჰოლივუდელი ქალი უვლის ჯესიკა ბიელი, ჰილარი სუენქი და ჯენიფერ გარნერი.

სპორტულები მათ აქამდეც ეთქმოდათ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ბოლოს მათ ძალიან ძლიერი სპორტსმენი ქალის როლების შესრულება მოუხდათ, ტანები კიდევ უფრო გაიკაჟეს.

ჯესიკა ბიელი ფილმში "ბლეიდი: სამეული" ვამპირი-მკვლელის როლს ასრულებს. ჰილარი სუენქი კლინტ ისტვუდის ფილმში "მილიონ დოლარიანი გოგონა" მონაწილეობს და ძლიერი მოკრივის როლს ასრულებს, ჯენიფერ გარნერი კი ასევე მძაფრსიუჟეტიანი ფილმის "ელექტრას" გმირია.

გადაღებების პარალელურად სამივე ქალს საკუთარი სპორტული ინსტრუქტორი და დიეტოლოგი ჰყავდათ. თუმცა, არც ერთი დიეტოლოგი უმოწყალო და სასტიკი არ აღმოჩნდა. პირიქით, მსახიობები დღეში სამჯერ იკვებებოდნენ - საშუალო ზომის კერძებით, ორ-სამჯერ წასუსნავების უფლებაც ჰქონდათ, თან სვამდნენ ბევრ წყალს - ეს სწორად ცხოვრების ერთ-ერთი პირობა იყო.

მთელი საიდუმლოც ამაში მდგომარეობდა. არადა, "ბლეიდის" გადაღებების დროს ჯესიკა ბიელს ყველა ეკითხებოდა, თუ როგორ დაიხვეწა ფორმები ასე. "საიდუმლო? საიდუმლო ის არის, რომ არავითარი საიდუმლო არ არსებობს", - პასუხობდა ის, - "არავითარი ტაბლეტები, არავითარი დიეტა. არავითარი ჯადოქრობა. სინამდვილეში მეც ძალიან კარგად ვიცი, რა რთულია ეს".

მკითხველის სწორედ ამ სიმართლეში დასარწმუნებლად - რომ გახდომა და ტანის გაკაჟება სინამდვილეში ძალიან ძნელია - სამივე ვარსკვლავის ინსტრუქტორმა გადაწყვიტა, ვარჯიშის პროცესის დეტალებზე ესაუბრათ.

ჯესიკა ბიელის ინსტრუქტორი ბობი სტრომი აცხადებს, რომ მის კლიენტს "ბლეიდის" გადაღებების დაწყებამდეც შესანიშნავი ტანი ჰქონდა. სტრომს სხვა რამ ევალებოდა - მას ჯესიკას უბრალოდ ათლეტური სხეული უნდა "გაექალურებინა", რათა ის მომხიბვლელ მკვლელ-ვამპირად ექცია - დახვეწილი მიხვრა-მოხვრით, სხეულის რბილი და სექსუალური ფორმებით.

შრომა მიზნის მისაღწევად წონასთან ბრძოლით დაიწყო. ბიელი პარალელურად ეუფლებოდა კიკბოქსინგსა და ბრძოლის ხელოვნებას. მისთვის ყველაზე რთული სიმძიმეებიით ხტუნვა აღმოჩნდა, სამაგიეროდ სწორედ ამ ვარჯიშმა მას ფეხები და კუნთები დაუჭიმა.

ჯამში ჯესიკა საკუთარ სხეულს დღეში ორ საათს უთმობდა, კვირაში ხუთ-ექვს დღეს და ამაში შედიოდა ფილმისთვის საჭირო საბრძოლო ილეთების სწავლაც.

ბიელი იხსენებს: "დრო გადიოდა, საშინლად ვიღლებოდი. სახლში მისული ლოგინზე უგონოდ ვეცემოდი, ასე მანამდე არასდროს მივარჯიშია და ამის მიუხედავად დიდ ცვლილებას საკუთარ სხეულს ვერ ვამჩნევდი. მერე კი ეკრანზე ვნახე საკუთარი თავი და გავგიჟდი. ვერ დავიჯერე, რომ ეს მე ვიყავი. როგორც ჩანს, სხეული ერთ ღამეში შემეცვალა. უცებ ბუმ (!) და კუნთები გამიჩნდა".

ვარჯიშის პარალელურად ჯესიკამ ღირსეული ბლეიდი რომ გამოსულიყო, ტკბილეულიც აიკრძალა. არადა, ეს ძალიან გაუჭირდა: "დიდი ძალისხმევა დამჭირდა ამის მისაღწევად. ახლაღა მივხვდი, რას ნიშნავს იყო რაღაცაზე შემჯდარი ისე, როგორც ნარკომანები არიან. ახლა ხანდახან ტკბილეულისკენ ხელს მაინც გავაპარებ ხოლმე, მაგრამ მერე უფრო მცირე ულუფა სადილს მივირთმევ და სინდისის ქენჯნაც აღარ მაწუხებს".

ჰილარი სუენქს კი გადაღებების დაწყებისას სულ სხვაგვარი პრობლემა ჰქონდა. სპორტულ დარბაზში ძალიან გამხდარმა შეაბიჯა და ინსტრუქტორი მიხვდა, რომ ჰილარისგან ძლიერი მოკრივის გამოსაყვანად მისი მოსუქება იყო საჭირო. ოღონდ, მოსუქება არა ქონების, არამედ კუნთების ხარჯზე.

ჰექტორ როკა სუენქს თან კრივს ასწავლიდა და ისტვუდის "მილიონ დოლარიანი გოგონას" გადაღებებისთვის ამზადებდა. 30 წლის სუენქი კი ვეგეტარიანელობდა და მოკრივე ქალებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ფეხზე ძლივს იდგა. ამიტომაც მან ჰილარის კვების ისეთი გრაფიკი დაუდგინა, რომ მსახიობს ცოტა წონაშიც უნდა მოემატა და მოძლიერებულიყო კიდეც, რათა უფრო დამაჯერებლად შეესრულებინა მოკრივის როლი.

თუ ჯენიფერ გარნერი და ჯესიკა ბიელი დღეში 2 ათას კალორიას იღებდნენ, სუენქს 4 ათასი კალორიის განადგურება "ევალებოდა" - რათა ზუსტად იმ რაოდენობის პროტეინები და ცხიმები მიეღო ორგანიზმს, რაც სხეულის დაკუნთვისა და გაკაჟებისთვის იყო საჭირო. მეტიც, ჰილარის ხანდახან შუაღამეს ადგომაც სჭირდებოდა, რათა ზუსტად იმ დროს მიეღო პროტეინები - კალორიების გეგმის შესასრულებლად.

მსახიობი იხსენებს, რომ ყველაზე დიდი ცვლილება სხეულის ნაცვლად ფსიქიკას დაატყო: "ვიწექი ხოლმე ღამე და ვფიქრობდი, ასე აღარ შემიძლია, დილას ადრე ვეღარ ავდგები. მერე კი საკუთარი თავის "დამუშავებას" ვიწყებდი და ვიმეორებდი - თუ გინდა, რომ გაიზარდო, თუ გინდა, რომ შეიცვალო, უნდა ადგე და იმუშაო..." და მართლაც - დგებოდა და მუშაობდა. შედეგიც ფანტასტიკური მიიღო. როცა კამერამ გადასაღებ მოედანს მოავლო თვალი, ჰილარი სუენქი სრულ მზადყოფნაში იდგა - 20 ფუნტით მომატებული წონით და რკინასავით კუნთებით.

შრომისა და ძალისხმევის გარეშე წარმატება არც ჯენიფერ გარნერთან მისულა. "ელექტრას" გადაღებების დროს ვარცხნილობისა და მაკიაჟის გასაკეთებლად მას გამთენიას, 5:30 წუთზე ადგომა უწევდა, გადაღებები ექსტრემალურ პირობებში მიმდინარეობდა და ხშირად შუაღამემდე გრძელდებოდა. შესაბამისად, სპორტისთვის დროს გარნერი დღის განმავლობაში თითქმის ვერ ნახულობდა. არადა, საჭირო იყო. ამის გამო ის კიდევ უფრო დიდ მსხვერპლზე წავიდა და დათქმულ 5:30-ის ნაცვლად ზუსტად 4:00-ზე უკვე ფეხზე იყო ხოლმე, სავარჯიშოდ მზად. დილის გამამხნევებელ სპორტს 60 წუთი მიჰქონდა - გახურებიდან დასვენებამდე. მერე ჯენიფერი ძლივს ასწრებდა მომზადებას და გადასაღებ მოედანზე შევარდნას.

ასე რომ, ჯენიფერ გარნერისთვის გახდომა და სხეულის ფორმაში ჩაყენება, პირველ რიგში, ვარჯიშს ნიშნავს. მაგრამ მსახიობი დიდ ყურადღებას აქცევს სწორად კვებასაც. ის თითქმის ყოველთვის თვითონ ამზადებს სადილებს, ანუ სულ იცის, როდის რამდენ ცხიმსა და კალორიას იღებს.

გარნერის სპორტული ინსტრუქტორი ვალერი უოტესი იხსენებს: "ერთხელ მე და ჯენიფერი კინოში წავედით. მთელი დარბაზი კარაქიან პოპკორნს ახრამუნებდა, შოკოლადს მიირთმევდა და კოკა-კოლას სვამდა. ფილმი თითქმის შუამდე იყო მისული, როცა ჯენიფერმა ჩანთიდან პატარა ხელჩანთა ამოიღო, იქიდან კი - სტაფილოები და მაგარი კრენდელები..." - მოკლედ, შესაშური სხეული არც ჯენიფერ გარნერს დაუყენებია ბევრ რამეზე უარის თქმისა და ბეჯითი შრომის გარეშე. ხომ არ გგონიათ, დილის ოთხ საათზე ადგომა და ვარჯიში ვინმეს სიამოვნებს? ან ის მოსწონს, როცა წვეულებაზე მისული ცხიმიან კერძებს ახლოს ვერ გაეკარება და შავ ღვინოზეც უარის თქმა მოუწევს? მაგრამ დიდი ჰონორარებისა და საკუთარი სხეულის გამო ჰოლივუდელი ქალები ამგვარ მსხვერპლს თითქმის ყოველთვის იღებენ ხოლმე.

გარნერი რიგით ქალებს კიდევ ერთ რჩევას აძლევს: იკვებეთ საათობრივად. თუ რამდენიმე საათის განმავლობაში თავს შიმშილს აიძულებ, მერე კი ვეღარ გაუძლებ და ჭამას მოინდომებ, ცხადია, ორგანიზმი დიეტური სალათითა და ქათმის თეთრი, უცხიმო ხორცით აღარ დაკმაყოფილდება. გამოვა, რომ ასე ხელოვნურად და ძალით ცუდ საკვებს მიეჩვევით.

გარნერი აგრძელებს: იმოძრავეთ ბევრი, ივარჯიშეთ, მიიღეთ ჯანმრთელი საკვები, ღამე კარგად დაისვენეთ, ბევრი იძინეთ, დილას კი აუცილებლად მიაშურეთ სპორტულ დარბაზს - კარგი სხეული გარანტირებული მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გექნებათ. თან გახსოვდეთ - 2005 იმ ქალების წელია, რომლებიც სპორტსა და ქალურობას უთავსებენ ერთმანეთს.

ᲐᲗᲔᲣᲚᲔᲑᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ "ᲞᲐᲠᲜᲐᲡᲘᲡ" ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲬᲘ�გᲜᲘ	ᲐᲕᲢᲝᲠᲘ	ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ	ᲠᲘᲢᲘᲜᲒᲘ
ალექსანდრე ჩიკვაიძე	"პოლიტიკური ქადრაკი"	"ლოგოს პრესი"	6.4
ირმა სურგულაძე	"საქართველოს ისტორია მაუშვეშილთეს"	"ლიტერა"	3.6
აკა მორჩილაძე	"ეგზაბი მადათოვზე"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.8
ლაშა ბუღაძე	"ზოლი ზარი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.4
მარკ ტვენი	"ტომ სოიერის თავგადასავალი"	"არგანა"	2
რეი გიბსონი	"მე შეშიძლია ადამიანების ხატვა"	"გია ქარჩხაძის გამომცემლობა"	1.6
გორა მანველიძე	"საკონტროლო გასროლა"	მპს "ოფლისელები"	1.6
პაულო კოელიო	"ალქიმიკოსი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	1.6
	ბუნების სიოცრეები	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	1.6
ნოდარ დუმბაძე	ლექსები	"ინტელექტი"	1.6

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲚᲑᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ "ᲑᲘᲚᲑᲝᲠᲓᲘᲡ" ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲜᲔᲑᲘ	ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲒᲔᲑᲐ	ᲮᲛᲘᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲐ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ
რობი უილიამსი	საუკეთესო ჰიტები	"ერისალონი"
U2	Hot To Dismantle An Atomic Bomb	"ოლუნდი"
"გრინ დეი"	American Idiot	"ფოფრანი"
ენმენემი	Encore	"ინაფრსტოუნი"
ჯეი-ზი და "ლინკენ პარკი"	Collision Course	"ეიბლერ ბიუზიკი"
"ბარუნ 5"	Songs About Jane	"ჯეი-ზი"
"ბლუ"	"ბლუს საუკეთესო ჰიტები"	"ინონეგნი/ეიბლერი"
"სიზორს სისტერზი"	Scissor Sisters	"ფილადონი"
"ნუ ბიგ�დ"	Your Dark Side	"უნივერსალი"
"ჰალერზი"	Hot Fuss	"ლიზარდ ქინგი"

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ

ფილმი	რეჟისორი	მსახიობები	კინოთეატრები	ნაღდი შემოსავალი $
Coach Carter	ტომას კარტერი	სამუელ ელ. ჯექსონი, რობერტ რიანერი	29,168,181	29,168,181
"ეკიპაჟი ფოუნდერსები"	ჯეი რო�ი	რობერტ დუ ნიერი, ბენ სტილერი, დასტინ ჰოფმანი, პარტრა სტეინფელდი	22,514,650	234,300,680
Racing Stripes	ფრენდერსონ და ბაუ	ფრენკი მორენო, ჰარეს გრინვუდი	18,842,432	18,842,432
"კარგ კომპანიაში"	პოლ ვაისი	დენის ქუაიდი, ოუენ უილსონი, სკარლეტ იოჰანსონი	16,628,635	17,128,097
"ეფექტორი"	ფრან ბოფანი	ჯენიფერ გარნერი, ტერენს სტემპი	14,792,335	14,792,335
"ოფთალმოლოგი"	ჯოფრი საქსი	ბილ ბოლდინი, ფენონა ანგერი	13,810,725	42,852,325
"ინიციატორი"	მარკუს სეიფერსტეინ	ლეონარდო დი კაპრიო, ედმენ ჰელენერი, ჯედ ლოფ, ჯეკ ნიკოლსონ	6,350,078	51,308,137
"ლეგენდა: სანტიაგოს ოფიციალური ისტორიული ფილმი"	პრეგ სალერნიტანი	ბრუნო სტრინა, ფან ჭენი, ჯეკ ლოფ, ანტონიო ბენერეა	5,340,415	112,421,617
მოსეფეხა ოლიმპში"	ფილიპ შეფერი	ჯერარდ ბატლერი, ენი ჰანსენი	4,625,498	27,512,003
"მოუფანი ალბერტი"	ფილიპ ზეფერი	ენანი ტომპსონი, ოლიფერ ფაფენ-სიმონი	3,805,037	45,618,010

ინფორმაცია

გულშემატკივართა აზრით, ლემპარდი საუკეთესოა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაქვეყნა ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც გაირკვა 2004 წლის ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა. ამ გამოკითხვაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველმა ფრენკ ლემპარდმა. მას გამოკითხულთა 40 პროცენტმა მისცა ხმა.

საუკეთესო ხუთეულში აგრეთვე შევიდნენ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი უეინ რუნი (16%), "ლივერპულის" ნახევარმცველი სტივ ჯერარდი (9,8%), ლონდონის "არსენალის" მცველი ეშლი კოული (9,4%) და "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი შონ რაიტ-ფილიპსი (7%).

"ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, - ამბობს ფრენკ ლემპარდი, - სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ფავორიტი უეინ რუნი იქნებოდა. ამიტომ ეს გამარჯვება უფრო სასიამოვნოა".

2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ლემპარდს 9 თებერვალს, ბირმინგემში, ინგლისისა და ჰოლანდიის ამხანაგური მატჩის დაწყების წინ გადაეცემა. ონლაინ-გამოკითხვის შედეგად წლის საუკეთესო ფეხბურთელი მხოლოდ მეორედ აირჩიეს. ამ ტიტულის პირველი მფლობელი შარშან მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი გახდა.

თურქეთი თუ ჰოლანდია

ჰოლანდიური "ჰერენვენის" 22 წლის ფორვარდ უგურ იილდირიმს ჯერ კიდევ ორი თვის წინათ არავინ იცნობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ფეხბურთელი საჯარიმო დარტყმებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა და თვით ზინედინ ზიდანსაც აჯობა, ერთბაშად ორი ნაკრების მწვრთნელმა (ჰოლანდიისა და თურქეთის) ის თავის გუნდში მიიწვია 9 თებერვალს დანიშნულ ამხანაგურ შეხვედრაზე.

თვითონ ფეხბურთელი კი, რომელიც ჰოლანდიაში დაიბადა და ორმაგი მოქალაქეობა აქვს (თურქეთისა და ჰოლანდიის), არჩევანის წინაშე დგას. "ძალიან რთული გადაწყვეტილების მიღება მომიწევს. ნებისმიერი არჩევანი ვიღაცას აწყენინებს. ჩემი გული თურქეთს ეკუთვნის, მაგრამ გონება მკარნახობს, რომ ჰოლანდიის ნაკრებში თამაში უკეთესია", - ამბობს იილდირიმი. საინტერესოა, რომ ერთიანი აზრი არც ფეხბურთელის ნათესაობაში არსებობს. მშობლებს სურთ, რომ ფეხბურთელმა თურქეთის ნაკრების ღირსება დაიცვას, მეგობარი გოგონა კი, რომელთანაც იილდირიმი სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება, ითხოვს, რომ ფეხბურთელმა ჰოლანდიას მიანიჭოს უპირატესობა.

მატერაცი "ინტერში" დარჩება

მილანის "ინტერის" მცველმა მარკო მატერაციმ თავის კლუბთან კონტრაქტის ვადა გააგრძელა. ფეხბურთელის მოქმედი კონტრაქტი 2007 წელს იწურებოდა. საინტერესოა, რომ 31 წლის ფეხბურთელი, რომელიც "ინტერში" "პერუჯადან" გადავიდა, ჯერ კიდევ ათი დღის წინათ კლუბის დატოვებას აპირებდა.

"რამდენიმე დღის წინათ მე მაცონეს ვთხოვე, გავეყიდე "ბოლონიაში", რომელიც ჩემი პერსონით უაღრესად დაინტერესებულია. ვიფიქრე, რომ გუნდს უკვე ვეღარ გამოვადგებოდი. ბოლო დროს დიდი პრობლემები მქონდა საზოგადოებრივ აზრთან და, უბრალოდ, ტექნიკური სახის პრობლემები მაწუხებდა, მაგრამ ახლა ისინი მოგვარდა. "ინტერი" საოცრად მოიქცა. გაირკვა, რომ ძველებურად მენდობიან და ჩემს გაყიდვას არავითარ თანხაზე არ აპირებენ. ახლა ჩემს წასვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია", - განაცხადა მარკო მატერაციმ.

ფეხბურთელმა აგრეთვე განაცხადა, რომ ძალიან უნდა, "ინტერში" კარიერა 36 წლის ასაკში დაასრულოს და გუნდთან ერთად შეეგებოს 2008 წელს - კლუბის დაარსების 100 წლისთავს.

პეტი ფეხბურთს დაემშვიდობა

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ემანუელ პეტიმ საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ამის შესახებ საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ფრანგ ჟურნალისტებს განუცხადა. "ჯერ კიდევ შობის წინ მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა", - განაცხადა ფეხბურთელმა. ფრანგული ფეხბურთის ვეტერანმა დააკონკრეტა, რომ ბოლო სერიოზული ტრავმის შემდეგ აღდგენა ვერ მოასწრო. "ამ ტრავმის შედეგები თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებთან შეუთავსებელი გამოდგა", - თქვა პეტიმ.

ფეხბურთი

ჯაბა კანკავა „დინამოს" ტოვებს?

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამოში", რომელიც ახლა კვიპროსზე, ქალაქ აიანაპაში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება, წლის მთავარი სატრანსფერო სიახლე მზადდება. როგორც ჩანს, "დინამოს" ყველაზე იმედისმომცემი და ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი, 18 წლის ჯაბა კანკავა სულ მალე დატოვებს ამ გუნდის რიგებს. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

"დინამო" კვიპროსზე 20 იანვარს გაემგზავრა თბილისი-ლარნაკას ჩარტერული რეისით. ლარნაკადან გუნდმა გადაინაცვლა აიანაპაში, სადაც გაივლის პირველ წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებას. "დინამო" ოთხვარსკვლავიან სასტუმრო "პაოლონაპაში" დაბინავდა და ჩასვილს დღესვე ერთი ვარჯიში გამართა. იმის გამო, რომ ნამგზავრები იყვნენ, მთავარ მწვრთნელს ფეხბურთელები დიდად არ გადაუტვირთავს. "დინამომ" არასრული ერთი საათი მსუბუქად ივარჯიშა და ისევ სასტუმროს მიაშურა. გუშინ გეგუჩაძემ გაცილებით ინტენსიურად წარმართა საწვრთნელი პროცესი. გუნდმა დილის 11-ზე და საღამოს 5 საათზე ივარჯიშა. როგორც კლუბის პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ გვითხრა, ბიჭები ბრწყინვალე მოსამზადებელ პირობებში ემზადებიან. დღის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა აიანაპაში 20 გრადუსამდე იმატებს.

დღეს დილით გუნდი მსუბუქად ივარჯიშებს, ხოლო საღამოს პირველ ამხანაგურ ტესტ-მატჩს გამართავს ბელგრადის "ცრვენა ზვეზდასთან". ეს თამაში ლიმასოლში გაიმართება და, სავარაუდოდ, თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება. 20 საათზე კი კვიპროსის ეროვნული ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ ტურში ქაცბაიას გაწვრთნილი "ანართოსისი" "ომონიას" უმასპინძლებს. სალუქვაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დინამოელები ამ მატჩზე დასწრებას აპირებენ. ქეცბაიას გუნდში მოთამაშე ქართველებმა უკვე მოინახულეს "დინამო". ჩალაძე, გაბიდაური და ქინქლაძე ჩასვლის დღესვე ესტუმრნენ ჩვენს გუნდს და ფეხბურთელები მოინახულეს.

გეგუჩაძემ 28 ფეხბურთელი წაიყვანა. შეგახსენებთ, რომ "დინამომ" უკვე დაიმატა ორი ფეხბურთელი - ბაბუნაშვილი და ნოზაძე. კიდევ ორის - ლაშა ჭელიძისა და კობა შალამბერიძის საკითხი ამ შეკრების შემდეგ გადაწყდება. ორივე ეს ფეხბურთელი კვიპროსზეა.

ჯერჯერობით ამ 28 ფეხბურთელს შორისაა ჯაბა კანკავაც, თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მალე ის ვლადიკავკაზის "ალანიასთან" გააფორმებს კონტრაქტს. ამჟამად "ალანია" თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში ემზადება მოახლოებული ჩემპიონატისთვის. ამ შეკრებაზეა "დინამოს" კიდევ ერთი ფეხბურთელი ლადო ბურდული, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გააფორმებს კონტრაქტს ამ კლუბთან. კანკავას მიმართ დიდ ინტერესს იჩენს "ალანიას" მთავარი მწვრთნელი ბახვა თედეევი, რომელმაც ოფიციალურად მიმართა "დინამოს" ტრანსფერთან დაკავშირებული მოლაპარაკების დაწყების თხოვნით. სწორედ ამისთვის "დინამოსთან" ერთად კვიპროსზე გამგზავრებულმა კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა უკვე დატოვა აიანაპა და გაემგზავრა ანტალიაში, სადაც შეათანხმებს კიდეც კონტრაქტის დეტალებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, "დინამო" არ არის კანკავას "ალანიაში" გაშვების წინააღმდეგი. ოსები ისეთ პირობებს სთავაზობენ "დინამოსაც" და ფეხბურთელსაც, რომ, წესით, კონტრაქტის გაფორმებას წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს. თუ ბურდულისა და კანკავას ტრანსფერი განხორციელდა, ვლადიკავკაზურ კლუბში ერთბაშად ოთხი ქართველი ფეხბურთელი მოიყრის თავს. ამ კლუბში უკვე ირიცხებიან ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა.

ინფორმაცია

"ბარსელონამ" ფორვარდი იტალიაში მოძებნა

იტალიური "უდინეზეს" ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, თავისი 25 წლის ფორვარდი ვინჩენცო იაკინტე კატალონიურ კლუბს დაუთმოს. ფეხბურთელის ტრანსფერის ღირებულება 8 მილიონი ევროა.

თუმცა, ამის მიუხედავად, "უდინეზე, რომელიც იტალიის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა, არ აპირებს ფეხბურთელს შეელიოს მანამდე, ვიდრე მას შემცვლელს არ მოუძებნის. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება მოხდება, "უდინეზე" კონტრაქტის გაფორმებისთანავე ორ მილიონ ევროს მიიღებს, დანარჩენ თანხას კი - მომავალ სეზონში.

შეგახსენებთ, რომ კატალონიური კლუბი დიდი ხანია ფიზიკურად ძლიერ ფორვარდს ეძებს (იაკინტეს სიმაღლე 186 სანტიმეტრია). იმის გამო, რომ "ბარსელონას" 34 წლის შვედმა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა სერიოზული ტრავმა მიიღო და ჯერ ტრავმის გამო რეაბილიტაცია არ გაუვლია, ლუდოვიკ ჟიულის კლუბი იძულებულია, ერთი ფორვარდით - სამუელ ეტო`ოთი ითამაშოს და ტაქტიკური სქემაც მნიშვნელოვნად შეცვალოს. თუ მომავალ კვირაში "უდინეზე" ვერ მონახავს იაკინტეს შემცვლელს, მაშინ კატალონიური კლუბი იძულებული გახდება, სხვა ვარიანტები ეძებოს და გუნდში მიიწვიოს ნორვეგიელი ჯონ კარეუ, რომელიც ამჟამად თურქეთის "ბეშიქთაშს" ეკუთვნის.

ლონდონის "არსენალი" თეთრ-წითელი აღარ იქნება

ლონდონის "არსენალი" მომავალი წლიდან შეიცვლის იმ ფორმას, რომლითაც კლუბი 1925 წლიდან თამაშობდა. "როიტერის" ცნობით, გუნდი არა თეთრ-წითელი, არამედ მუქი წითელი მაისურებით გამოვა მინდორზე.

სწორედ ასეთი მაისურებით ითამაშა გუნდმა 1913 წელს, როცა "ჰაიბერის" ცნობილი სტადიონი გაიხსნა. მაისურების შეცვლის იდეაც სწორედ იმას ეფუძნება, რომ კლუბს სურს, ამ ჟესტით შეეგებოს ახალ სტადიონს, რომელსაც "არსენალი" ახლა აშენებს. ამ ფორმებით "არსენალი" მხოლოდ ერთ სეზონს ითამაშებს.

ამბობენ, ბოლო გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ "არსენალის" ფორმა ადრე უფრო მუქი იყო, ვიდრე ახლა. მაშინდელი ფერები ახლანდელი პრაღის "სპარტას" ეკიპირებას უფრო ჰგავდა. ჩეხებმა თავისი ფორმა სწორედ "არსენალის" იმ ფორმების საფუძველზე შექმნეს.

კენ ბეიტსმა "ლიდსი" შეიძინა

ლონდონის "ჩელსის" ყოფილმა მმართველმა დირექტორმა კენ ბეიტსმა ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბი "ლიდს იუნაიტედი" შეიძინა. "როიტერის" ცნობით, ამის შესახებ "ლიდსის" ხელმძღვანელობამ გუშინ განაცხადა. ამ გუნდის ვალი ამჟამად 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

"პანათინაიკოსმა" მატჩი გააპროტესტა

საბერძნეთის "პანათინაიკოსმა" გააპროტესტა საკალათბურთო ევროლიგის გასვლითი მატჩის შედეგი გერმანულ "სკაილაინერსთან". ეს მატჩი გერმანელებმა - 68:66 მოიგეს. ბერძნების თქმით, მიროსლავ ტოდიჩის საბოლოო ტყორცნა, რომელმაც გერმანელებს გამარჯვება მოუტანა, მას შემდეგ შესრულდა, რაც თამაშის დრო ამოიწურა.

ტურინელებმა ჩირაღდანი წარმოადგინეს

მილანში გაიმართა 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი სიმბოლოს, ოლიმპიური ჩირაღდნის პრეზენტაცია. შეგახსენებთ, რომ თამაშები იტალიის ქალაქ ტურინში გაიმართება. ჩირაღდანი შეიქმნა სპეციალურად განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. მისი სიმაღლე 770 მილიმეტრია, დიამეტრი - 105, წონა კი - 1,85 კილოგრამი.

ტურინული თამაშების ესტაფეტა რომში 2005 წლის 8 დეკემბერს აიღებს სტარტს. ფინიში კი ტურინში 10 თებერვალს გაიმართება, როცა 2006 წლის ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ გაიხსნება.

ესტაფეტის პირველი მოჩირაღდნე იტალიელი მარათონელი მორბენალი სტეფანო ბალდინი იქნება. თუმცა, საინტერესოა, რომ ესტაფეტაში მონაწილეობის სურვილი შეუძლია განაცხადოს 10 წელზე უფროსი ასაკის ნებისმიერმა ადამიანმა. ამისთვის საჭიროა, განაცხადი სპეციალური ინტერნეტ-საიტის მეშვეობით გაკეთდეს.

Australian Open

ჩოგბურთი

ფედერერს ვერ გაუძლეს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მეოთხე წრეში გავიდა. შვეიცარიელს არც ახლა ჰქონია განსაკუთრებული პრობლემები. მეტიც, მას თავისი უზარმაზარი უპირატესობის დასამტკიცებლად თამაშის დასრულებაც არ დაცალდა. ფინელმა იარკო ნიემინენმა მეორე სეტში თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და ფედერერიც უპრობლემოდ გავიდა ტურნირის მერვედფინალში.



დღის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მატჩი გამოუვიდათ მეოთხე ნომრად განთესილ რუს მარატ საფინსა და შეუპოვარ ხორვატ მარიო ანჩიჩს (28). საფინი შეჯიბრების წინ ამბობდა, რომ შეეცდება, მესამედ გავიდეს ფინალში, ამიტომ თამაშზე უაღრესად მობილიზებული გამოვიდა. საფინმა შარშან თითქმის სულ ხუთსეტიანი ბრძოლებით მიაღწია ფინალამდე და გზაზე შესანიშნავ ფორმაში მყოფი ამერიკელები ენდი როდიკი და ანდრე აგასი დაამარცხა, მაგრამ ფინალში როჟე ფედერერთან უკვე ძალები არ ეყო.

ამჯერად საფინი ანჩიჩზე ძლიერი აღმოჩნდა. მან გამარჯვებას 2 საათი და 45 წუთი მოანდომა. პირველი სეტი საფინმა - 6:4 მოიგო. თითქოს მატჩი ასეთივე სცენარით განვითარდებოდა, მაგრამ მეორე სეტში ხორვატმა ბრჭყალები გამოაჩინა - 6:3 ანჩიჩის სასარგებლოდ. საფინმა მესამე სეტი ანალოგიური ანგარიშით უკვე თავის სასარგებლოდ დაასრულა. თამაში თითქმის თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. გადამწყვეტ მეოთხე სეტში საფინს ფეხი გადაუბრუნდა, მაგრამ ექიმების დახმარების შემდეგ კორტზე დაბრუნდა და - 6:4 მოიგო. საერთო ჯამში მან 11 ეისი გაახერხა. მერვედფინალში კი შეხვდება ბელგიელ ოლივიე როხუსს, რომელმაც ოთხ სეტში სლოვაკი კაროლ ბეკი ჩამოიცილა გზიდან.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა კვიპროსელი მარკოს ბაგდატისისა და მე-13 ნომრად განთესილი ესპანელი ტომი რობრედოს შეხვედრაში დაფიქსირდა. კვიპროსელმა ჩოგბურთელმა ცნობილ ესპანელს შანსი არ დაუტოვა და სამ სეტში გაიმარჯვა. ბრძოლაც პრაქტიკულად პირველ სეტში გაიმართა, სადაც გამარჯვებულის გამოსავლენად ტაი-ბრეიკი გახდა საჭირო. მომდევნო ორ სეტში ბაგდატისის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა.

4 საათი და 21 წუთი გაგრძელდა სლოვაკი დომინიკ ჰრბატისა (20) და არგენტინელი გასტონ გაუდიოს შეხვედრა. სამი ტაი-ბრეიკი - ასეთი იყო ამ უაღრესად საინტერესო მატჩის შემდეგი. პირველი ტაი-ბრეიკი სლოვაკი ჩოგბურთელის იყო, მეორე და მესამე კი არგენიტნელის სასარგებლოდ დასრულდა. თითქოს ეს გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ამ მატჩში, მაგრამ პირიქით მოხდა: არგენტინელმა ამ უშეღავათო ბრძოლებს დიდი ენერგია შეალია და მომდევნო ორ სეტში პრაქტიკულად არ გაუწევია წინააღმდეგობა - 6:1, 6:3. გამარჯვება დომინიკ ჰრბატის დარჩა.

ქალთა ნაწილში მოულოდნელობა არ მომხდარა. აღსანიშნავია ის, რომ წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, კიევის "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების მცველის სერგეი ბალტაჩას ქალიშვილმა ელენა ბალტაჩამ ბრიტანეთის რეკორდი დაამყარა. ელენამ ვერ მოახერხა მერვედფინალში გასვლა. ის იტალიელ სილვია ფარინა-ელიასთან ორთაბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ გახდა პირველი ბრიტანელი ქალი, რომელმაც უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მესამე წრეს მიაღწია.

მერვედფინალში უპრობლემოდ გავიდნენ ამერიკელი სერენა უილიამსი (7) და ტურნირის მეორე ნომერი ფრანგი ამელი მორესმო. მათ, შესაბამისად, ინდოელი სანია მირზა და სერბი ანა ივანოვიჩი ორ სეტში დაამარცხეს. უიმბლდონის ახალგაზრდა ჩემპიონმა მარია შარაპოვამ კი ასევე ორ სეტში შანსი არ დაუტოვა ჩინელ ნა ლის და საერთო ჯამში მეტოქეს მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო - 6:0, 6:2.

"ჯერჯერობით თამაში ჩემთვის სასურველ რიტმში მიმდის. ძალიან მინდა, შარშან უიმბლდონის ტურნირზე მიღწეული წარმატება გავიმეორო. ამისთვის დიდი ძალისხმევა დამჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, მზად ვარ", - განაცხადა მატჩის შემდეგ შარაპოვამ.

ვაჟები:

როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - იარკო ნიემინენი (ფინეთი)	6:3, 5:2
	ნიემინენმა თამაში შეწყვიტა.
მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) - ტომი რობრედო (ესპანეთი, 13)	7:6, 6:4, 6:1
იოაკიმ იუჰანსონი (შვედეთი, 11) - ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 24)	6:3, 3:6, 5:7, 7:6, 13:11
ანდრე აგასი (აშშ, 8) - ტეილორ დენტი (აშშ, 29)	7:5, 7:6, 6:1
მარატ საფინი (რუსეთი, 4) - მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 28)	6:4, 3:6, 6:3, 6:4
ოლივიე როხუსი (ბელგია) - კაროლ ბეკი (სლოვაკეთი)	6:7, 6:1, 6:4, 6:2
დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 20) - გასტონ გაუდიო (არგენტინა, 10)	7:6, 6:7, 6:7, 6:1, 6:3
ტომას იუჰანსონი (შვედეთი, 30) - კევინ კიმი (აშშ)	3:6, 6:2, 6:7, 6:2, 6:2

ქალები:

სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 5) - მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა)	6:3, 7:6
ვერა დუშევინა (რუსეთი) - ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	7:5, 6:4
სილვია ფარინა-ელია (იტალია, 15) - ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი)	6:1, 6:0
მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - ნა ლი (ჩინეთი)	6:0, 6:2
სერენა უილიამსი (აშშ, 7) - სანია მირზა (ინდოეთი)	6:1, 6:4
ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 11) - მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 22)	6:4, 6:4
ევგენია ლინეცკაია (რუსეთი) - ემი ფრეიზერი (აშშ, 21)	6:3, 6:4
ამელი მორესმო (საფრანგეთი, 2) - ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	6:2, 7:5

ინფორმაცია

"არმინიამ "რეალის" ფეხბურთელი შეიძინა

ბილეფელდის "არმინიამ" კონტრაქტი გააფორმა "ჰერტას" მოთამაშე რობერტო პინტოსა და დიეგო ლეონთან, რომელიც ადრე მადრიდის "რეალის" საკუთრება იყო. ორივე ფეხბურთელი 2006 წლამდე დაიცავს "არმინიას" ღირსებას.

"ალ-ახლი" რეკორდების წიგნში

ეგვიპტური კლუბი "ალ-ახლი" გინესის რეკორდების წიგნში ჩაიწერება. კაიროს გუნდი პირველია მსოფლიოში, რომელმაც ზედიზედ 17 გამარჯვება მოიპოვა. უკანასკნელ შეხვედრაში გუნდმა "იტიხადი" გაანადგურა - 4:0. შეგახსენებთ, რომ 1965 წელს გლაზგოს "სელტიკმა" ზედიზედ 16 გამარჯვება მოიპოვა. ეს შედეგი 29 წლის შემდეგ იორდანიულმა "ალ ფეისალიმ" გაიმეორა.

"ალ-ახლის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა მანუელ ჟოზემ განაცხადა, რომ მისი გუნდის რეკორდი 150 წელს გაძლებს. ეგვიპტისა და რეგიონული ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი "ალ-ახლი" 2000 წელს აფრიკის კონტინენტის საუკეთესო კლუბად დაასახელეს.

TV-სპორტი

შაბათი. 22 იანვარი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "სპარტაკ-შელკოვო"
13:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ჰამბურგი"
15:00 "FUTBOL MUNDIAL"
15:25 თავისუფალი დარტყმა
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. "საუთჰემპტონი" - "ლივერპული"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "ვერდერი". პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მეცი" - "მარსელი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:00) - თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "სპარტაკ-შელკოვო"
22:25 "2:1" - ტოქშოუ
23:25 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკი" - "ოსასუნა". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა

НТВ+ПЛЮС
10:00, 13:00, 17:30, პრესცენტრი
10:20, 22:50 "ქრონიკა"
10:25 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
10:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. დუატლონი 2X7,5 კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
11:55 სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. ბიგ ეარ
13:25 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ვაჟები. დაშვება. პირდაპირი ტრანსლაცია
14:40 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
15:10 მძლეოსნობა. "რუსული ზამთარი-2005". პირდაპირი ტრანსლაცია
17:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "NEW YORK KNICKS" - "HOUSTON ROCKETS"
19:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (21:00) - პრესცენტრი
22:55 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
23:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი სლოვენიაში. ქალები. გიგანტური სლალომი
00:15 ახალი ამბები
00:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. დუატლონი 2X7,5 კმ.
02:00 02:00-დან 02:55-მდე შესვენება
02:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
07:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
11:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი იტალიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
15:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი სლოვენიაში. გიგანტური სლალომი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი იტალიაში. სპრინტი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
17:45 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ჩეხეთში
20:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
22:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალი
01:00 რალი - მონტე-კარლო
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
02:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მიმოხილვა
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

ჭადრაკი

ანანდმა პირველი გამარჯვება მოიპოვა

ვეიკ-ან-ზეეში ანანდმა სერიოზული თამაში დაიწყო.

ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე საჭადრაკო ტურნირის სასტარტო მღელვარება დაძლეულია. ყოველ შემთხვევაში, ამის საფუძველს განვლილი ხუთი ტური იძლევა. საინტერესო კი ისაა, რომ ტურნირის მეტი წილი მდიდარი გამოდგა სიურპრიზებით: მათი უმეტესობა, ვისაც აშკარა ლიდერობას უწინასწარმეტყველებდნენ, დღევანდელი სატურნირო მდგომარეობის მიხედვით ან შუაწელში არიან, ანდა სულაც ფსკერზე.

მართალია, მეხუთე ტურმა ერთგვარად შეაჯამა საწყისი ეტაპები, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეუტანია ზოგადად ჩამოყალიბებულ ვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ რიგ პარტიებში ინტრიგა იყო მოსალოდნელი. პირველ ყოვლისა, ეს ითქმის ძველ მეტოქეთა - ვლადიმირ კრამნიკისა და პეტერ ლეკოს დაპირისპირებაზე. თუმცა, მათ შორის ამ პარტიაში ინტრიგა არ განვითარდა: თეთრებით მოთამაშე ყოფილი პრეტენდენტი აკადემიურად მოქმედებდა, ხოლო ჩემპიონი ნამდვილი ორთაბრძოლისგან შორს იჭერდა თავს, უფრო სწორად, ამას არც ცდილობდა და მხოლოდ შანსების ბანალურად გათანაბრებით ტკბებოდა.

ერთი სიტყვით, ამ პარტიაში ფიგურების გაცვლა-გამოცვლის სერიათა შემდეგ, 28-ე სვლაზე, ზავი დაიდო.

ერთ-ერთი ლიდერი მაიკლ ადამსი იუდით პოლგართან არკვევდა ურთიერთობას. საგულისხმოა, რომ ინგლისელი დიდოსტატი კოლეგებმა "ჭადრაკის ობობას" სახელით მონათლეს, რადგან ტაქტიკა აქვს ასეთი: მეტოქეს საკუთარ ქსელში იტყუებს და როდესაც კონტრთამაშის საშუალებას ართმევს, შეტევაზე გადადის და ნელ-ნელა წარმატებისკენაც იკვალავს გზას. თუმცა, იუდითთან "ჭადრაკის ობობას" ფეხი დაუცდა, რადგან პოლგარი ყოველთვის გააზრებულად, მოქნილად მოქმედებს და მისთვის ინიციატივის ართმევა არცთუ იოლი ამბავია. ადამსის ყველა სატყუარა ძალების უშედეგოდ გაფლანგვა გამოდგა. ინგლისელი იძულებული გახდა, დაზავებულიყო.

ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე მიაღწიეს სამშვიდობო შეთანხმებას ბრძოლის ველის მასპინძლებმა ივან სოკოლოვმა და ლიუკ ვან ველიმ. რაც შეეხება ვესელინა ტოპალევასა და ალექსანდრ გრიშუკის დაპირისპირებას, მათი ორთაბრძოლა ღიად წარიმართა. ბულგარელი დიდოსტატი ლიდერის პოზიციის აღდგენას ცდილობდა, ხარისხიც მოიგო, მაგრამ პარტიის მოსაგებად ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. შედეგად საყაიმო მატჩთან შეგუება მოუხდა.

ასევე ყაიმით გაეყარნენ ერთმანეთს პეტრს სვიდლერი და რუსლან პონამარიოვი, თუმცა, ყოველგვარი გართულებისა და თავგადასავლების გარეშე: 23-ე სვლის შემდეგ მხარეთა შანსები გათანაბრდა.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრ მოროზევიჩისა და ვიშვანათან ანანდის დაპირისპირება. ინდოელმა დიდოსტატმა წარუმატებლად დაიწყო ტურნირი - პირველი ოთხი ტური წააგო. ქებადიდებას არც მოროზევიჩი იმსახურებს. მანაც ცუდად დაიწყო, თუმცა, ანანდისგან განსხვავებით, ერთი ყაიმი მაინც გაახერხა. რაც შეეხება თავად მატჩს, შავი ფიგურების მიუხედავად, ინდოელი დიდოსტატი თამამად და, შეიძლება ითქვას, მტკიცედ თამაშობდა, თუმცა, ვალში არც მოროზევიჩი დარჩენილა. და მაინც, ინდოელის სტრატეგია ბევრად უფრო გონივრული გამოდგა, მოროზევიჩმა კი მეხუთე მარცხი იწვნია.

რაც შეეხება დასკვნების გამოტანას. მაიკლ ადამსისა და პეტერ ლეკოს ლიდერობა მოულოდნელი, მაგრამ მაინც დამსახურებულია. უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ მათ უმართლებდათ. თამაში კი მართლაც ღირსეული გამოუვიდათ. მონინავეებისგან ნახევარი ქულით ჩამორჩენილი კვარტეტი (ვესელინა ტოპალაევა, რუსლან პონომარიოვი, ალექსანდრ გრიშუკი და ლაზარო ბრუზონი), ალბათ, უახლოეს ტურებში დაიქაქსება. კუბელი ბრუზონის თამაში კი უთუოდ აღსანიშნავია, თუმცა, სათავეში ყოფნა ალბათ უნდა გაუჭირდეს, მით უფრო, რომ ანანდი და კრამნიკი კიდევ შეეცდებიან დაწინაურებას.

ისე კი, არა გვგონია, ვეიკ-ან-ზეეში თამაშის ხარისხით კმაყოფილი იყვნენ რუსი დიდოსტატები. მათ შორის ერთადერთი, ვისაც დადებითი ბალანსი აქვს, ალექსანდრ გრიშუკია. პეტერ სვიდლერი და მოროზევიჩი მინუსებში არიან. თავდაჯერებოლად თამაშობს ვლადიმირ კრამნიკიო, არც ამის თქმა შეიძლება. ვესელინ ტოპალევის მიერ კრამნიკისთვის აყირავებული დაფის დალაგება ივან სოკოლოვთან მოგებით არ შეიძლება.

წესით და რიგით, ტურნირის შუაწელში ორთაბრძოლები უფრო უნდა გამძაფრდეს. სავსებით ლოგიკური იქნება ცვლილებებიც. ამჟამად კი იმის თქმა შსეიძლება, რომ ალექსანდრ მოროზევიჩისთვის ტურნირი დასრულებულია, რადგან მდგომარეობის გამოსწრება მას პრაქტიკულად აღარ შეუძლია.

კრივი

ბრიუსტერმა თქვა, ტომარა არა ვარო

ბრიუსტერი გოლოტასთან მატჩისთვის აიწონა.

კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) მძიმეწონოსან ჩემპიონს ლამონ ბრიუსტერს იმედი აქვს, რომ 2005 წელი მისთვის წარმატებული იქნება. მანამდე კი Boxingtalk-ისთვის მიცემულ ინტერვიუში 12 მარტს ანჟეი გოლოტასთან ჩხუბზე, ვლადიმირ კლიჩკოსთან ორთაბრძოლასა და, საერთოდ, მომავალზე საუბრობს.

- როგორც ამბობენ, მარტში გოლოტას უნდა ეჩხუბო. ორთაბრძოლაზე კონტრაქტს თუ მოაწერე ხელი და რას ფიქრობ მასზე, როგორც შესაძლო მეტოქეზე?

- კონტრაქტზე ხელი უკვე მოწერილია. გარკვეული გვაქვს თარიღი, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, დადგენილია თუ არა ჩხუბის ადგილი. ნოემბერში, ჯონ რუისთან, ურიგოდ არ გამოიყურებოდა და შეიძლებოდა მათი მატჩი სულ სხვა შედეგითაც დამთავრებულიყო. ვფიქრობ, ბოლო რაუნდებში რუისმა გაიმარჯვა, მაგრამ მთლიანობაში მათი ჩხუბი თანაბარი იყო. ერთადერთი, რისი თქმაც გოლოტაზე შემიძლია, ისაა, რომ იგი ბრწყინვალე მოკრივეა. ჩემთან ჩხუბი მისთვის კარგი შანსი იქნება, მაგრამ არც ჩემთვის იქნება ცუდი. გოლოტასთან ორთაბრძოლაში შემიძლია ვაჩვენო, თუ სინამდვილეში რისგან ვარ ჩამოსხმული, რომ არ ვარ საბაგუნო ტომარა.

- როგორ შეადარებდი გოლოტასთან შესაძლო დაპირისპირებას შენს მიერ ჩატარებულ ბოლო ორთაბრძოლებთან ვლადიმირ კლიჩკოსთან და კალი მიხანთან?

- თითოეული მოკრივე თავისებურად უნიკალურია, ამიტომ ორთაბრძოლებისთვის სხვადასხვანაირად ვემზადები. ისეთ მოკრივეესთან, როგორიც გოლოტაა, საუკეთესო ფორმაში უნდა იყო. არ ვაპირებ, მასთან საჩხუბრად გათვლილი გეგმით გავიდე. თუ ასე მოვიქცევი და არ გამიმართლებს, აუცილებლად წავაგებ. ერთადერთი, რის გაკეთებასაც ვაპირებ, რინგზე ასვლა და საკუთარი თავის წარმოჩენაა.

- რას იტყვი გავრცელებულ აზრზე, რომ გოლოტა ბინძური მოკრივეა, თუ გგონია, რომ შენს წინააღმდეგ სუფთად იჩხუბებს?

- გოლოტა ნამდვილად ბინძური მოკრივეა. მის ორთაბრძოლაში რეფერის რომ ეთქვა საკუთარი სიტყვა, შესაძლოა, მისთვის დისკვალიფიკაციაც მიესაჯათ. ჩემთან სუფთად ჩხუბი მისივე ინტერესებში უნდა იყოს. სხვაგვარად ორი ჩხუბი გვექნება: ერთი რინგზე და მეორე - რინგს მიღმა. ვინმესთვის სასულეში მირტყმას სერიოზულ დანაშაულად ვთვლი, რაზეც ჩემი ოჯახის წევრები ძალიან ნერვიულობენ.

- კრივის მოყვარულები ელოდებიან, რომ მძიმე წონაში ისევ გამოჩნდება აბსოლუტური ჩემპიონი. ეტყობა, ამ საქმეში ხელშემშლელი დონ კინგია, რომელიც, თავის მხრივ, ვიტალი კლიჩკოს საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობს. შესაძლებელია თუ არა შენი ორთაბრძოლა კლიჩკოსთან, თუ შენი პრომოუტერი დონ კინგი იქნება?

- ამ შემთხვევაში ყველაფერს ფული გადაწყვეტს. დონ კინგი აცნობიერებს, რომ თუ ანჟეი გოლოტას დავამარცხებ და სხვა ქამრებს გავაერთიანებ, მაშინ კინგის სურვილი კლიჩკოსთან დაკავშირებით უკან გადაიწევს, რის მიღწევასაც ის აუცილებლად შეეცდება.

- ვის უფრო მეტ ყურადღებას აქცევ - კრიტიკოსებს თუ თაყვანისმცემლებს?

- ისინი, ვინც ვერ მიტანენ იმის გამო, რომ მძიმეწონოსანთა მწვერვალზე ვარ, ალბათ, ამას პირში არ მეტყვიან, თუმცა, ჩემთვის მაინც სულერთია. ყველაფერში დადებით მხარეებს ვეძებ. კრიტიკას ვიღებ. თუ ჩემთვის რაიმეს თქმა უნდათ, ყოველთვის მზად ვარ მოსასმენად, რადგან სხვები ხედავენ იმას, რისი დანახვაც მე არ შემიძლია. მე არც კრის ბერდი ვარ და არც ჯონ რუისი. უბრალოდ, მოვიპოვე ჩემი ტიტული. ასე რომ, მომეცით შანსი და გაჩვენებთ იმას, რაც შემიძლია.

ვიცი, რომ ჩემი უკანასკნელი ორთაბრძოლა საუკეთესო არ იყო, მაგრამ დამისახელეთ ისეთი მოკრივე, რომელიც თითოეულ ორთაბრძოლაში დიდებული იყო. თუ დამისახელებთ ასეთს, უმალ შევეშვები კრივს.

- რატომ იყო, რომ ყოფილ მწვრთნელს ბილ სლეიტონს შენი და ვლადიმირ კლიჩკოს ჩხუბი უნდოდა?

- დიდ რინგზე გამოჩენისთანავე მან ფურორი მოახდინა მძიმე წონით კატეგორიაში. იგი ევროპელია და განსხვავებულად იგებდა. მე ერთადერთი ვიყავი, ვისაც არ ირჩევდნენ. კლიჩკოს პრომოუტერი კლაუს პეტერ-კოლი კლიჩკოსთვის ყველა მეტოქეს არჩევდა. მე კი WBO-ს პირველი ჩემპიონი ვარ, რომელიც ორგანიზაციამ სავალდებულო პრეტენდენტად დანიშნა. ყველაფერმა ამან საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება მომცა.

ყალყალი

ნინო ტიკარაძე

"სიყვარული ვერტიკალურია, თანაც, ბრუნვადი"

ჟურნალისტები რომ გადამეტებულ ინტერესს იჩენენ სპორტსმენების, განსაკუთრებით კი ფეხბურთელების პირადი ცხოვრების მიმართ, ეს ახალი ამბავი არაა. ახალი არც ის უნდა იყოს, რომ ფეხბურთელები მეგობარ გოგონებად, უმეტეს შემთხვევაში, ცნობილ სახეებს ირჩევენ. მაგალითად, იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერი ხელთათმანებივით იცვლის ფოტომოდელებს, რომლებიც, ძირითადად, მამაკაცთა ჟურნალების გარეკანებს ამშვენებენ.

ამ მხრივ, აქტიურობს ასევე "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი ალან სმიტი. ამ ცოტა ხნის წინათ მან ჯგუფის "Girls Aloud"-ის სოლისტი სარა ჰარდინგი გაიცნო. სხვათა შორის, გაცნობის "ცერემონიალს" მადრიდის "რეალის" მცველი რობერტო კარლოსიც ესწრებოდა.

მოკლე ხანში წყვილის ურთიერთობა მრავალმხრივ განვითარდა. ახლა კი უკვე განვითარებული ურთიერთობა ნელ-ნელა ფესვებსაც იდგამს. რა თქმა უნდა, ამ პროცესში, როგორც წესი, პრესა აქტიურად მონაწილეობს - დღის სინათლეზე გამოაქვს ახალგაზრდა წყვილის პირადი ცხოვრების დეტალები.

"რომეო" თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს სატრფოს საზოგადოებაში ატარებს. მან საჯაროდ აღიარა, რომ ყოველთვის პატივს სცემდა სარას ჯგუფს, ახლა კი განსაკუთრებით უყვარს.

მოკლედ, ალანი ყურებამდეა შეყვარებული, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს.

და რა ჩვენი საქმეა?!

მადლობა დოპინგს

გაგიკვირდებათ და, დოპინგის მიღების გამო რუმინელი ფორვარდის ადრიან მუტუს ირგვლივ აგორებულმა სკანდალმა ფეხბურთელს არც რეპუტაცია შეულახა და არც მის პირად ცხოვრებას დააკლო რამე. ეს თავად ვარსკვლავის დამსახურებაცაა. სასოწარკვეთასა და უმოქმედობას მან მხნეობა და მოქმედება არჩია და გადაწყვიტა, პირველ რიგში, პირად ფრონტზე მოეგვარებინა საქმეები.

მოკლედ, "ჩელსიდან" გაძევებულმა, მშობლიურ რუმინეთში დაბრუნებულმა მუტუმ, უპირველეს ყოვლისა, ყოფილი მეუღლე ალექსანდრა და ორი წლის ვაჟი მოინახულა. ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა. გრძნობამ ახალი ძალით იფეთქა. შედეგად, შობას ფორვარდმა ალექსანდრას საჩუქრად ბეჭედი მიართვა. წყვილმა ახალი წელი ერთად გაატარა.

სიყვარულში გამართლება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ არც კარიერაში წინსვლა გახლავთ ურიგო. მუტუს ამ მხრივაც გაუმართლა. მართალია, "ჩელსიმ" მას ზურგი აქცია, სამაგიეროდ, მასთან არანაკლებ ცნობილმა ტურინის "იუვენტუსმა" გააფორმა კონტრაქტი. ჰოდა, ფორვარდიც ტურინში გადაბარგდა, თან მარტო კი არა, ალექსანდრასთან ერთად, რომელიც, ალბათ, იტალიაში დიდი ხნით ვერ დარჩება, რადგან იგი ბუქარესტში ერთ-ერთი ტელეშოუს წამყვანია, ამიტომაც რუმინეთიდან ასე ადვილად წამოსვლას ვერ მოახერხებს.

ასეა თუ ისე, ზოგი ჭირი ნადვილად მარგებელი ყოფილა!

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი გერმანია

გერმანიის ფეხბურთის კავშირმა გადაწყვიტა, რომ ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ და პროფესიულ ფეხბურთში სტრესთან ბრძოლის მიზნით ფსიქოლოგი დაიქირავა.

"ბოლო დროს პროფესიულ ფეხბურთში ფსიქოლოგიური წნეხი გაიზარდა. სულიერი ბალანსის აღდგენა და შენარჩუნება კი მნიშვნელოვანი წინაპირობაა წარმატების მისაღწევად," - განაცხადა "ბაიერის" ფეხბურთელმა და გერმანიის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა კარსტენ რამელოვმა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ფეხბურთის კავშირზე ადრე იგრძნო ეროვნულ გუნდში ფსიქოლოგის საჭიროება და პირველი გამოვიდა თანამდებობის შემოღების ინიციატივით. ცნობილია, რომ კლინსმანს ყოველთვის აინტერესებს და ყურადღებით ადევნებს თვალს ფეხბურთელთა სულიერ მდგომარეობას. ამის დასტურად შემდეგი მაგალითებიც გამოდგება: მწვრთნელი ფეხბურთელების მეუღლეებს ვარჯიშზე დასწრების უფლებას აძლევს. ფიქრობს, ბიჭები უფრო მობილიზებულები არიანო (მწვრთნელს ნუ შევედავებით!). ეგ კიდევ არაფერი. ერთხელ გენიალური აზრი მოუვიდა: ბაზაზე მოაწყო საცურაო კოსტიუმების კონკურსი, რომელშიც სწორედ ზემოხსენებული ქალაბატონები იღებდნენ მონაწილეობას. ყველა კმაყოფილი დარჩა.

ვერაფერს იტყვი, მშვენივრად ერთობიან, მაგრამ წაადგებათ თუ არა ვარჯიშის ახალი, კლინსმანისეული მეთოდები გერმანელ ფეხბურთელებს, რომელთაც წინ მსოფლიო ჩემპიონატი ელოდებათ, ჯერ კიდევ საკითხავია. მით უმეტეს, რომ ფსიქოლოგსაც სერიოზული სამუშაო აქვს ჩასატარებელი.

მოკლედ, საქმე ცუდაა!

ოჯახის ბიუჯეტს გაფრთხილება უნდა

ცნობილი ფეხბურთელები უფულობას ნამდვილად არ უჩივიან. მათ პრაქტიკულად ყველაფრის ყიდვა შეუძლიათ, ყველაფრის, რაც მოესურვებათ, თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ხშირად ეკონომიას ეწევიან.

მოკლედ, ასე. ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს ახალი მანქანის, კონკრეტულად კი, "ფერარის" შეძენის სურვილი გაუჩნდა. პრინციპში, გასაკვირი არაფერია. ყველამ კარგად იცის, რომ ბექჰემი მანქანების დიდი მოყვარულია. გასაკვირი ისაა, რომ ინგლისელმა ვარსკვლავმა ფულის დაზოგვა გადაწყვიტა და შეიძინა ე.წ. second-hand "ფერარი", რომელიც მას 250 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

ცნობისთვის: ბექჰემს გარაჟში უკვე 15 მანქანა ჰყავს, მათ შორისაა "ფერარი", ორი "ბენტლი" და "ჰამერი". მანქანების უმეტესობა ფეხბურთელმა მშობლიურ ინგლისში დატოვა, ამიტომ ახალი "ფერარი" არც ესპანეთში აწყენს ინგლისელ ვარსკვლავიჭუნას.

თევზაობის სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება

ინგლისური ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა პოლ გასკოინმა სასამართლოს მიმართა ყოფილი ცოლის, შერილისთვის, ალიმენტის გადახდის შეწყვეტის მოტივით.

1999 წელს, როცა მეუღლეები გაიყარნენ, პოლმა მას მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. გარდა ამისა, მან შერილს პირობა მისცა, რომ შვილს, რიგანს, ყოველთვიურად 10 ათასს გირვანქა სტერლინგს მისცემდა. თანხა 5500-მდე შემცირდა მას შემდეგ, რაც პოლ გასკოინმა პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა დაასრულა.

ახლა კი ყოფილ ფეხბურთელს ეს ფულიც ებევრება. "მინდა, რომ პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოვაგვარო. ფული ძალიან მჭირდება. მდინარესთან ახლოს სახლი მომეწონა. გადაწყვეტილი მაქვს, აუცილებლად შევიძინო იგი. სათევზაოდ ვივლი ხოლმე," - განუცხადა გასკოინმა ჟურნალისტებს.

ოხერი რამაა ეს თევზაობა. შვილსაც კი დაგავიწყებს!

ენდე მხოლოდ საკუთარ თავს!

ინგლისელი ფეხბურთელები მეტ-ნაკლებად გაუწონასწორებლები არიან. ზოგს ნარკოტიკი იზიდავს, ზოგს კი - ალკოჰოლი. ხშირია უსიამოვნებები, სკანდალები ქალებთან დაკავშირებით.

ამ პაპარაცებსაც ხომ სხვა საქმე არაფერი აქვთ. ამოირჩევენ "მსხვერპლს" და მერე მიდიიი!.. ქალთან ვეღარ გაუვლიათ მათი კონტროლის გარეშე.

მოკლედ, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ფეხბურთელებმა ინტერნეტს მიაშურეს - ეგონათ, რომ ამას ვერავინ გაიგებდა.

შვეიცარიის ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური კლუბის "ვესტ ბრომვიჩის" მცველი ბერნტ ჰაასი ძალიან გაიტაცა, მისი აზრით, უსაფრთხო ვირტუალურმა სექსმა. ყველაფერთან ერთად ფეხბურთელი მაქსიმალურად ფრთხილობდა, მაგრამ ერთმა ვირტუალურმა პარტნიორმა აცდუნა და სახის ჩვენება სთხოვა. მცველი არც დაფიქრებულა, ისე ჩართო ვებკამერა და მის წინ სტრიპზიტის ჩატარება დაიწყო.

მეორე დღეს ინგლისურმა ბულვარულმა გაზეთმა შვეიცარიელი ფეხბურთელი განსხვავებულ ამპლუაში წარუდგინა გულშემატკივრებს.

წარმოგიდგენიათ, ალბათ, როგორი სასიამოვნო იქნებოდა ფოტოს ხილვა თავად გმირისთვის!

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

40 წლის ანგარიში

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორის გია ბუღაძის შეთავაზების საფუძველზე, აი, უკვე რამდენიმე თვეა, რაც მე, გაზეთ "24 საათში" მუშაობის პარალელურად, სამხატვრო აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წარმოვადგენ. სწორედ ამიტომ ამ კვირაში თბილისის ეროვნულ, ანუ ცისფერ გალერეაში გახსნილ სამხატვრო აკადემიის გობელენისა და მხატვრული ქსოვილის საანგარიშო გამოფენაზე ორმაგი დატვირთვით წავედი. ერთი - როგორც რიგითი დამთვალიერებელი და რუბრიკის "გულახდილად" ავტორი და მეორე - როგორც აკადემიის თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია, კარგად იცოდეს აკადემიის ყველა კათედრაზე არსებული მდგომარეობა, მისი წარმატებები თუ პრობლემები.

ცისფერი გალერეა, რომელშიც სხვადასხვა გამოფენაზე საკმაოდ ხშირად დავდივარ, ელემენტარულ ყურადღებას, თანხებს, სასწრაფო რემონტს უკვე დიდი ხანია, ითხოვს. დასველებული, დაობებული, ჩამოფხეკილ-ჩამოფლეთილი, გაყვითლებულ-დაბინძურებული კედლები, ჩალეწილი მინები, ჩამოცვენილი ორნამენტები, სიცივე, უბადრუკობა - აი, ასე გამოიყურება დღეს ეროვნული გალერეა. თუ, რა თქმა უნდა, მის კედლებს ეფექტური, ფერადოვანი, საინტერესო ნამუშევარი არ ფარავს და მნახველის ყურადღება, სრულიად ბუნებრივად, ბზარებსა და ღაქებიდან ხელოვნების ნიმუშებზე არ გადადის.

სწორედ ასე იყო ტექსტილის კათედრის 40-წლიანი მოღვაწეობის

დიდ საანგარიშო გამოფენაზეც, სადაც ამ კათედრის ფუძემდებელი, სულისჩამდგმელი შემოქმედების გივი ყანდარელისა და თენგიზ ჯაფარიძის ნამუშევრებიდან დაწყებული, კათედრის თითქმის ყველა პედაგოგისა თუ კურსდამთავრებულის ღირებული ნამუშევრით დამთავრებული, კათედრის მუშაობის სრული რეტროსპექტივა იყო გამოფენილი. ათწლეულების ტრადიცია, მდიდარი, საინტერესო სკოლა, ქართული ტექსტილის დიდი პოტენციალი, ბევრი საინტერესო, თვითმყოფადი, ყველასგან განსხვავებული, ინდივიდუალური, გემოვნებიანი, დეკორატიული გობელენი, აბრეშუმის მოხატულობა, შემოქმედებითი ძიებებით სავსე წარსული და პერსპექტივებით აღსავსე მომავალი, რომელსაც რეფორმირებისა და სიახლეების გზაზე მდგარი სამხატვრო აკადემია მის კათედრას შესთავაზებს. ამ დიდმა გამოფენამ კი ის დაგვანახა, რომ გობელენისა და მხატვრული ქსოვილის კათედრა სიახლეებისთვის მზად არის, დროის მოთხოვნებს გაუძლებს, ფეხდაფეხ აჰყვება და საკუთარ თვითმყოფადობას, პროფესიონალიზმსა და ნიჭს შეინარჩუნებს, შემდგომ თაობებს გადასცემს და მომავალშიც შეძლებს, ქართულ საზოგადოებას ანგარიში ჩააბაროს.

P.S. შეიძლება ჩემი მხრიდან ცოტა უტაქტოდ გამოჩნდეს, მაგრამ გამოფენაზე ნანახი ექსპონატებიდან ერთი, მაკა ასათიანის (არა მოდელიერი) სადიპლომო ნამუშევარი მინდა გამოვყო, რომელიც განსაკუთრებით მომეწონა და დამამახსოვრდა.

მეცნიერების ახალი შანსი

ცხოვრების განმავლობაში არაერთი ისეთი ადამიანი შემხვედრია, რომელსაც გონებრივ-ინტელექტუალური მონაცემები საკმაოდ სუსტად ჰქონდა განვითარებული. სკოლაში სწავლისას კლასში გამოუსწორებელი ოროსნებიც მყოლია, რომლებსაც უხსნიდნენ, განუმარტავდნენ, უღეჭავდნენ, მაგრამ, როგორც მასწავლებლები ამბობდნენ, "შეაყარე კედელს ცერცვი", მაგათ თავში არაფერი შედიოდა. მოგვიანებით, ზრდასრულ ასაკშიც მყოლია ერთიორი ისეთი ნაცნობი, რომელთა გამონათქვამები, უადგილოდ დასმული შეკითხვები, გაკეთებული დასკვნები მათი სისულელის გამო ანეკდოტების რანგში იყო აყვანილი. დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულ თქვენგანს ცხოვრების მანძილზე ერთ ასეთ ადამიანთან მაინც ჰქონია შეხვედრა. ზოგიერთ მათგანზე გეღიმება, ზოგიერთი გეცოდება, ზოგიერთი კი, რომელსაც პრეტენზია გააჩნია, გაღიზიანებს.

ამ კვირაში ინგა გრიგოლიას მიერ, ჩემთვის პირადად სრულიად აუხსნელად, სტუდიაში მოწვეული ქართული პოლიტიკის პამპულა, ჩვენებური ჟირინოვსკი - შალვა ნათელაშვილი სწორედ იმ მესამე კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც პრეტენზია გააჩნია და ამიტომ შენში მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით განწყობას იწვევს. ნათელაშვილის პერსონა არც პოლიტიკური ხედვით, არც რაიმე ოდნავი სიახლით, არც ინტელექტით და არც მორალით ქართული საზოგადოებისთვის, დიდი ხანია, საინტერესო აღარ არის. თუ ქართული მედია ნათელაშვილისეულ კომიკურობას ვერა და ვერ ელევა, ვაკაჭიმ მაინც მოიწვიოს და ერთად, იდენტურ დონეზე იოხუნჯონ. ვისაც ამ იუმორზე ეცინება, იმან უყუროს, მე კი სხვა არხზე გადავრთავ. ჩემი აზრით, ნათელაშვილის ერთადერთი ღირსშესანიშნაობა ის არის, რომ იგი დანარჩენი ჯანმრთელი კაცობრიობისაგან განსაკუთრებული, მხოლოდ მისეული შეუვალობით გამოირჩევა. ჩემი ოროსანი კლასელებისა არ იყოს, ნათელაშვილიც ნამდვილი ოროსანია, უხსნიან, უღეჭავენ, უმარტავენ, მაგრამ ვერაფრით გააგებინეს, რომ ინტერვიუ, ჟურნალისტთან დიალოგი ან, თუ გნებავთ, უბრალოდ საუბარი, მხოლოდ მოტორიზებულ მონოლოგს არ ნიშნავს. "შეაყარე კედელს ცერცვი!" ნებისმიერ მონოლოგსაც კი რომ ოდნავი, სულ ელემენტარული შინაარსობრივ-ლოგიკური დატვირთვა უნდა ჰქონდეს, ნათელაშვილისთვის აუღებელი ციხე-სიმაგრეა. ტვინთან, გონებასთან დაკავშირებული სიტყვების უნებლიე კასკადი კი მოლაპარაკეს მხოლოდ და მხოლოდ მედიცინურ-მეცნიერული თვალსაზრისით ხდის საინტერესოს.

მე მგონი, ნათქვამი, "გიჟმა ბოდვაში ჩაითრიაო", ყველას გაგვიგია. აი, სწორედ ასე დაემართა ნათელაშვილსაც, რომლის ბოდვაში ჩათრეულთა სია თანდათან იზრდება. ამ სიის პირველ ადგილს, რა თქმა უნდა, უცვლელად მიშა სააკაშვილი იკავებს, რომელსაც ნათელაშვილმა ჯერ საკრებულოს თავმჯდომარეობა, მერე კი საქართველოს პრეზიდენტობა ასე დიდსულოვნად დაუთმო. სააკაშვილმა კი მის იმედებს უმტყუნა და ხან სოროსს, ხან მასონებს და ხან უცხოპლანეტელებს, ახლა კი იუშენკოს შეეკრა. ამას ელოდა ნათელაშვილი მისგან?! ახლა კიდევ, დასცინის და ხან თხილამურებზე "კატაობს" და ხან უცხო "ქვეყნებში დასეირნობს". აბა, ეს არის სამართალი? ახლა ასეთ მოდურ თხილამურებზე დგომასაც ისწავლიდა და ამერიკაც ძალიან მოეწონა. და კიდევ უნდა!

ნათელაშვილის ბოდვის სიის ასევე უცვლელი პერსონაჟი თბილისის ყოფილი მერი ვანიკო ზოდელავაა. არა, არა, ძალიან ცუდია, როდესაც ადამიანი აბსოლუტურად შეუვალია! დაიჩემა საბრალო ნათელაშვილმა, რომ დათო ზოდელავას კახეთის ვენახები და Tavo Wine-ის ღვინის წარმოება, გინდა თუ არა, ვანიკოს ეკუთვნისო და მორჩა. უხსნიან, პასუხობენ, უმტკიცებენ - ვერაფრით გააგებინეს! აბა, როგორ უნდა გაიგოს, თუ ორივე ზოდელავაა. მოგვარეს არსებობა არ გაუგია. შორეული ნათესავი რას ნიშნავს, არ იცის. ამაზე ერთი ანეკდოტი მახსენდება - "გოგონა, თქვენ რა გქვიათ? მანანა. თქვენ? მეც მანანა. დები ხართ?" ასეა ნათელაშვილის საქმეც. არ ესმის და მოკალი, თუ გინდა. შეიძლება გაგება გულით უნდა და არ შეუძლია, რა ქნას, ეს მის შესაძლებლობებს აღემატება. ეტყობა, კეთილმოსურნეც, პატრონიც, მრჩეველიც არავინ ჰყავს, რომ გააკონტროლოს მაინც და რაც არ იცის და ვერ გებულობს, იმაზე არ ალაპარაკოს. ერთხელ მაინც ეთერში არ გაუშვას, ბრიფინგი არ მოაწყობინოს, დაზეპირებული ტექსტიდან ამოჩემებული სისულელეები ამოუღოს და საბრალო კაცი მთელი ქვეყნის დასაცინი არ გახადოს. თანაც ნათელაშვილის სენი ჩვენს თვალწინ ნელ-ნელა მატულობს. აგრესიაში გადადის და საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად საშიში თუ არა, შემაწუხებელი მაინც ხდება. ამდენ ავტომატურ-შექოქილ, აღგზნებულ ლაპარაკში ისიც კი დაავიწყდა, რომ ოდესღაც პოლიტიკოსობას იჩემებდა და ახლა გენპროკურორობაზე გადავიდა. დაჯერებით იმუქრება, ჯორჯ სოროსის, სააკაშვილის, უცხოპლანეტელების, შევარდნაძის "გაზრდილების" დაჭერას ითხოვს (მაგისი "ნაკოლით" დაჭერებიღა გვაკლია!).

სანამ ნათელაშვილის შველა ჯერ სულ დაგვიანებული არ არის, ეგება, ელემენტარული ჰუმანურობა გამოვიჩინოთ და ჟურნალისტების ნაცვლად მისი მდგომარეობით ვინმე ღვთისნიერი, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული მედიკოსი დაინტერესდეს. მისთვისაც უნიკალურ, ჯერ მეცნიერებაში არაღწერილ შემთხვევას შეისწავლის. ადამიანის კიდევ ერთ, სრულიად ახალი ტიპის, დღემდე აღუწერელ ტვინს დააკვირდება, აღწერს, დისერტაციას დაიცავს, ნათელაშვილს ცოტათი მაინც უშველის და ჩვენ კი ადამიანის დეგრადირების ყურებას თავიდან აგვაცილებს.

ამდენი ვწერე, ჩემი წუხილი გულახდილად გამოვთქვი და ახლა კი ერთი პატარა ეჭვი შემეპარა. ვაითუ, შალვა ნათელაშვილი, ჟირინოვსკის მსგავსად, მშვენიერ ჭკუაზეა, ზუსტად იცის, ვანიკო ზოდელავას კახეთში ვენახები რომ არ აქვს, მიშა სააკაშვილი მარსიდან რომ არ არის მოფრენილი და, უბრალოდ, გონებრივად სუსტები ჩვენ ვგონივართ? შეიძლება. მაგრამ მაშინ მეორე ვარიანტი რჩება - ნათელაშვილი ამორალურობის "უკიდურეს წერტილშია". აი, თუ რომელი ჯობია, ეს კი ნამდვილად არ ვიცი. მე მგონი - ჭკუასუსტობა. უნებლიე სენი მაინც არის.

აღმაშენებელზე ნუ ვიდარდებთ

"რუსთავი 2"-ზე ნინია კაკაბაძის სიუჟეტებს, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ, ყოველთვის ვუყურო. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ხშირად არ ვეთანხმები, მისი ზედმეტი პირდაპირობა, რადიკალიზმი, უაპელაციო ტონი მეხამუშება, მაინც ყოველთვის მაინტერესებს და ასე მგონია, რომ ვხვდები, რისი თქმა უნდოდა. დავით აღმაშენებელზე ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით ამ კვირაში გასულმა სიუჟეტმა კი, უნდა გამოგიტყდეთ, ცოტა გამაკვირვა. თითქოს ყურადღებით ვუსმინე, ვუყურე, ამბავი კი მშვენივრად გავიგე, მაგრამ აი, ავტორს რა უნდოდა, ვერ მივხვდი. გასაგებია, რომ ობიექტურობა კარგია, მაგრამ ზედმეტი, ეტყობა, არაფერი ვარგა. ამდენი ობიექტურობის მცდელობისგან, როგორც მომეჩვენა, ნინიას საყრდენი ოდნავ გამოეცალა და თავისუფალ სივრცეში ცურვა დაიწყო. საერთოდ არ მესმის, ამხელა ამბავი რაზეა ატეხილი? ან ნინია კაკაბაძე რაზე იღებს სიუჟეტს, ან რატომ ცდილობს, მისთვის ასეთი უჩვეულო ობიექტურობა შეინარჩუნოს? ან გურამ შარაძის აზრი ფილმის გადაღებაარგადაღებაზე, ან საერთოდ რამეზე ვის აინტერესებს? ან დათო ტურაშვილი რატომ ნერვიულობს, ამდენს რატომ ყვირის, იხარჯება? დაჯდეს და დაწეროს, თუ შეუძლია.

ადამიანთა სრულიად უცნობ ერთ ჯგუფს საკუთარი ან მოძიებული სახსრებით დავით აღმაშენებელზე ფილმის გადაღება უნდა. მერე რა? გადაიღონ. უცხოელი რეჟისორის მოწვევა უნდათ? მოიწვიონ. არ გამოვა კარგი ფილმი - თვითონვე დაზარალდებიან. კარგი კინო იქნება, მთლად უკეთესი - ჩვენთვისაც, ფილმის გადამღებებისთვისაც და აღმაშენებლისთვისაც კი. დამერწმუნეთ, ერთი თუნდაც ძალიან ცუდი ფილმის გადაღებით აღმაშენებელს არაფერი დააკლდება. ზუსტად ისევე, როგორც ქრისტეს ცხოვრებაზე გადაღებულმა უამრავმა ძალიან სუსტმა ფილმმა ქრისტიანულ რელიგიას ვერაფერი დააკლო. თუმცა, იცით რა მაინტერესებს, რესპუბლიკის მოედანზე წლების წინ აღმართული აღმაშენებლის ძეგლი ყველას მოგწონთ? დავით აღმაშენებლის შეურაცხყოფად ეს ქანდაკება რატომ არავინ აღიქვა? მხოლოდ მოქანდაკისა და დამკვეთის ავტორიტეტის გამო? დარწმუნებული ვარ, ქართველებს აღმაშენებლის ძეგლი რომ ნდომოდათ, როგორმე საკმარისი საუკუნეები იყო იმისთვის, რომ ერთი პატარა ქანდაკება მაინც დაედგათ. მაგრამ არა, რატომღაც მე-20 საუკუნის ბოლოს ელოდნენ. მიპასუხეთ, ამ საკამათო ძეგლმა დიდი მეფის პიროვნებას რა დააკლო?

ასე რომ, ნუ ნერვიულობთ, ნუ ყვირიხართ, საეთერო დროს უქმად ნუ ხარჯავთ და შარაძეს ნუ აწუხებთ. გააკეთეთ თქვენი საქმე და მერე ვნახოთ.

P.S. მე კი არა მგონია, მაგრამ თუ ვინიცობაა, შემთხვევით დავით აღმაშენებლის დახატვა მომინდა, ვის უნდა შევუთანხმო?

ქორწილია! ქორწილი!

თბილისში დღეს-დღეობით არსებული რესტორნების, საბანკეტო დარბაზების მრავალფეროვნებისა და სიუხვის მიუხედავად, სამწუხაროდ, ლამაზ, პომპეზურ, საზეიმო ქორწილს არც ერთი მათგანი არ შეესაბამება, რესტორან "სარაჯიშვილის", "კოლხეთის" და სანაპიროზე ან დიღმის ტრასაზე მოფენილი სხვა ამგვარი რესტორნების გამოციებული, ელემენტარულ სიმყუდროვეს და მით უმეტეს ესთეტიკას მოკლებული, მათი დირექტორებისა და მეპატრონეების გემოვნებით ნეილონის ფარდებითა და ხელოვნური ყვავილების გირლიანდებით დეკორირებული დარბაზები საქორწილო-საზეიმო განწყობას უცაბედად აქრობს და თბილისის რესტორნების უცნაურ, არასახარბიელო რეალობაში გაბრუნებს. რიყეზე წამოჭიმული რესტორანი "ნატვრის ხე" კი, მე რომ მკითხო, ინტერიერის უგემოვნობისა და მეშჩანობის გამო დასაკეტია, ექსტერიერისა და შენობის არქიტექტურის გამო კი, უბრალოდ, ბევრი ფიქრის გარეშე, სასწრაფოდ დასანგრევი. არადა, ქართველები, ისევე როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო, ვქორწინდებით, შვილებს ვათხოვებთ, ვცდილობთ, რომ ეს დღე მთელი ცხოვრება დაგვამახსოვრდეს. ყველაფერი ძალიან ლამაზად, ამაღლებულად ჩატარდეს და უალტერნატივობის გამო ისევ ისეთ რესტორანს ვირჩევთ, რომელიც სრულებითაც არ მოგვწონს. უკეთესი არ არის და რას იზამ.

სწორედ ასეთი უალტერნატივობიდან გამომდინარე, ამ კვირაში თავისთავად ასევე უნიკალური არქიტექტურისა და დიზაინის მქონე რესტორან "თეთრ სახლში" ჩემი შვილის უახლოესი ამხანაგის ქორწილში ვიყავი მიწვეული. ჩემი სამი ქალიშვილიდან გათხოვილი ჯერ არც ერთი არ არის და ამიტომ შვილის ქორწილში მშობლის ემოცია ჩემთვის ჯერ უცნობია. მაგრამ პატარძალი, ფაქტობრივად, ჩემს თვალწინ არის გაზრდილი, ამიტომ ჩემს თავს ემოციური თავისუფლება მივეცი და წავიტირე, თანაც რამდენჯერმე. როგორი მართლაც დაუვიწყარი, ამაღლებული, საზეიმო და გულისამაჩუყებელი შეიძლება იყოს ქორწილი, სადაც ნეფე-პატარძალს ძალიან უყვართ ერთმანეთი, ორივენი ახალგაზრდები, ლამაზები, ბედნიერები არიან; სამების საკათედრო ტაძარში ჯვარს იწერენ; პატარძალს გრძელი, ლამაზი, ნამდვილი საქორწილო კაბა აცვია; ორივე ახალგაზრდის მშობლები შვილების არჩევანით კმაყოფილი და ბედნიერნი არიან; დანათესავებული ოჯახები ერთმანეთში მეგობრობენ; საერთო წრე ჰყავთ და ერთ ენაზე მეტყველებენ, ერთი ღირებულებებით ცხოვრობენ; ქორწილში დაპატიჟებული ყველა ახალგაზრდა დიდი ხანია სწავლით, საქმით და არა ძველბიჭობით არის დაკავებული; მეჯვარეების უმეტესობამ სხვადასხვა ქვეყანაში სწავლა, მუშაობა შეწყვიტა და რამდენიმე დღით სპეციალურად ქორწილისთვის ჩამოვიდა; ქორწილს დათო მაღრაძე თამადობდა; არანაირი დაძაბულობა, წალაპარაკება, გაწევ-გამოწევა, გაყვანები, ჩხუბები არ ყოფილა; ნეფე-პატარძალს ლეკურის ცეკვა ეხერხება და უხდება; ახალგაზრდების უმეტესობა ქართულს უფრო ხალისითა და მონდომებით ცეკვავს, ვიდრე ეს ჩვენს თაობაში იყო; პატარძლის დედას გულით ეცეკვება; ყველა სტუმარი ერთმანეთს კარგად იცნობს, უყვარს და ეფერება; ყველა ხაზგასმულად გამოპრანჭული და ლამაზია; მთელი ქორწილი, უფროსი თუ უმცროსი, ხალისით ცეკვავს, მღერის, ზეიმობს, მთელი ქორწილი, ბებიები და ბაბუები, დედები და მამები, ამხანაგები და მათი მშობლები ახალგაზრდა წყვილის მომავალი ბედნიერებისა და სიყვარულის სადღეგრძელოს გულწრფელად სვამს.

აი, ასეთია ნამდვილი კარგი ქართული ქორწილი! ახლა მიხვდით, რატომ მეტირებოდა? თინა ბრეგვაძისა და გივი აზაურაშვილის აი, ასეთ ქორწილში ვიყავი და ჩემი ემოციისა და სიხარულის თქვენდამი გაზიარება რატომღაც ძალიან მომინდა.

სახელი _____ მისამართი

გვარი _____

ასაკი _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

სიმაღლე _____

1 ოჯახური მდგომარეობა :
- დაქორწინებული
- დაუქორწინებელი
- გაყრილი
- ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 სადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჭანსალი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით პასუხისტრეგ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს საგაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა_____ თარიღი_____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გესურვებათ კრუზეირდეგის ამოხსნა?

გიყვართ ინგელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგეხაკვეთრდით, "რუსთავი 2" ეკრანს ერეფერებულ, თამაშ, გონებაგამახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მონგების სურვილი.

მოგვიანებ მეაესოთ გარკვეთილ ბლანკი უფასო

საბოლოოდ კოდექსი "რუსთავი 2" არ არის პასუხისმგებელი, [illegible] მოწოდებული ინფორმაციის ნამდვილობაზე [illegible] "უსაფრ ანკეტ". [illegible] "უსაფრ ანკეტ" [illegible].

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

[illegible] "უსაფრ ანკეტ" / [illegible] "რუსთავი 2" / [illegible] 0177 [illegible]

თქვენი ფოტოსურათი

მოიტანეთ, დააკრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, [illegible] ადგილი. მოიტანეთ, ფოტოსურათს თან მიანერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსახულებელ უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

TV პროგრამა

22 იანვარი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ომის გზით" (გ) **15.20** მხ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი" (გ) **18.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **18.50** მხ. ფილმი "ვერცხლის დათვი" (შეინ მეიერი) **22.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ლამაზი სერი:". რეჟ. კლოდ ჰაბროლი. **01.20** მხ. ფილმი "24 საათი" (18)

პირველი არხი

08.00 "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "შუქურა სოლტი" **08.45** საბავშვო სერიალი "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **10.00** სპექტაკლი "ცოლ-ქმარი ეძებს ბინას" **11.30** "ტაქსი" **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ბეჰემოთის სანაპირო" **13.20** მხ. ფილმი "ჯადოსნური ამბავი" **15.00** მუსიკა **16.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ "მეათე სამეფო" **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - "ფადოს მისია" **18.00, 20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **18.10** "არქივი" - მღერის "ჩელა" **18.30** "მრწამსი" **19.00** დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი"-ბარბადოსი **20.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და კრიმინალი" **21.30** "რაციო" **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -რონალდ რეიგანი **23.30** "ჩვენ" **00.45** მხ. ფილმი "გაქცევა" **02.00** საინფ. გამოშვება

მზე

09.00 მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბავშო სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეეუურნალი "მოდა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** მხ. ფილმი "მილიონი წელი ჩვენ წელთაღრიცხვამდე" **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** ფარული კამერა **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** ტელეეუურნალი "სცენა" **22.00** ფეხბურთი. **00.00** მხ. ფილმი "ბადრაგი". (გ)

მეორე არხი

19.00 ანიმაცია "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **19.25** ტელეზღაპარი **20.05** დოკ. ფილმი "რეიკიავიკი" **21.00** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "ცარიელი სივრცე"

იმედი

09.00 ანიმ. ფილმი "კამელოტი" **09.55** ანიმ. მხ. ფილმი "ადამიანი-ორკესტრი" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** დილის ფოსტა **12.40, 16.15, 02.40** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.30** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "ქალიშვილების თვითმკვლელობა"(გ-ვერსია) **15.15** "უცნობი საქართველო" **15.45** "წუთისოფელში" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.00** მიუზიკლი "ფიროსმანი" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.10** იმედის მელოდიები

აჭარა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.20** სათავ. ფილმი "სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა" **10.50** მუსიკა **11.00** "მოგზაური" **11.20** კომედია "დიდი ლებოვსკი" **13.15** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.45** მხ. ფილმი "ცის კიდეში" **16.40** მულტფილმი **17.15** "ჭიტა-ჭიტა" **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.45** კომედია "კაროლინა" **21.00** "ფერისცვალება" **21.10** მხ. ფილმი "მექსიკელი" **23.15** მუსიკა **23.30** თრილერი "დაქირავებული პირადი მცველი"

ქაფანია

11.00 მხ. ფილმი "წითლებს შორის" (გ) **13.00** ტუწ-ემ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **19.40** "სანნდარი" **20.10** საბავშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" **21.00** მხ. ფილმი "ამერიკელი ვეფხვები" (გ) **22.30** გადაცემა "შავლეგო" **00.30** ტუწ-ემ

202

10.00 ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** რეტროსპექტული ჩვენება - ჩარლი ჩაპლინი **20.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** რეტროსპექტული ჩვენება - ჩარლი ჩაპლინი

OPT

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. **06.10** Мультсериал "Американский хвост". **06.30** Валентина Талызина в фильме **"ПУТЕШЕСТВИЕ МИССИС ШЕЛТОН"**. **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" с Андреем Макаревичем. **10.30** "Любовные истории". Геннадий Ветров. **11.10** Тайны века. "Джон Леннон. Пять выстрелов в кумира". **12.10** История с географией. "Пирл Харбор": что осталось за кадром". **13.00** Умницы и умники. **13.40** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **14.10** "Пестрая лента". Марина Ладынина. **15.00** "Шутка за шуткой". **15.40** Сильвестр Сталлоне в фильме **"РОККИ - 2"** **17.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Субботний "Ералаш". **18.40** "Новые песни о главном". **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** "Золотой граммофон". **23.50** Хью Грант в комедии **"РЕАЛЬНАЯ ЛЮБОВЬ"**. Десять трогательных романтических историй разворачиваются в Лондоне в канун Рождества и незаметно сплетаются воедино. Всех героев объединяет самое прекрасное чувство на свете - любовь. Ею болеют или от нее исцеляются, но она правит миром. Это осознают и молодой холостяк премьер-министр, влюбившийся в первый же день своего назначения в сотрудницу аппарата, и школьник, пытающийся завоевать расположение самой красивой девушки в классе, и писатель Джемми Беннет, сердце которого разбито, и юная американка, страдающая от безответного чувства. **02.20** Энн Хеч в триллере **"ПСИХОЗ"**. Возлюбленный секретарши Мэрион Крэйн Сэм Лумис женат, и у него масса финансовых проблем. Однажды, воспользовавшись случаем, Мэрион крадет из офиса шефа большую сумму денег, внесенную клиентом за уплату дома. Взяв на прокат машину и самое необходимое, она спешно покидает город. Девушка нервничает и очень спешит: ее ждет новая жизнь. Чтобы передохнуть, посреди ночи она останавливается в маленьком частном мотеле. Его владелец, молодой Норман Бэйтс, живет неподалеку в доме на холме с больной и ворчливой матерью. Неделю спустя, выясняется, что Мэрион бесследно исчезла. Обеспокоенные сестра Лайла, Сэм и частный детектив, нанятый, чтобы найти девушку и деньги, пытаются выйти на ее след... **04.10** Сериал **"ПОСЛЕДНЯЯ ГРАНИЦА"**. Закл. серия.

НТВ

06.05 Приключенческий боевик **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА"**. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Наш друг Пишичитай". **08.25** Комедийный сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА"**. **08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" с Тимофеем Баженовым. **10.15** Олег Анофриев в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **13.55** Магдалена Вуйчик в фильме **"ЗА ЧТО?"**. **16.20** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. Евгений Евтушенко. **16.55** Своя игра. **17.55** Премьера. "Четвертая мировая война. 11 сентября". Фильм Василия Пичула. **19.40** Профессия - репортер. "Враги народа". Фильм Вадима Такменева. **20.10** Сериал **"МАНГУСТ-2: КОНЕЦ ИГРЫ"**. **21.20** Мэл Гибсон в остросюжетном фильме **"ВЫКУП"**. **23.50** Орнелла Мути в фильме **"ЛЮБОВНАЯ СДЕЛКА"**. Русская переводчица Татьяна при деловой сделке знакомится с испанским бизнесменом Джани Диасом и между ними возникает любовная связь. Таня предлагает испанцу сделку: она будет не только его секретарем и переводчиком, но и любовницей, при условии, что он увезет ее из России. Джани соглашается, и они едут в Испанию. Поначалу, он хочет просто использовать ее в своих целях. Но, постепенно, их чувства перерастают в искреннюю привязанность. Им приходится пережить многое, прежде, чем он предложит ей руку и сердце. **01.45** "2:1". Ток-шоу Георгия Черданцева и Александра Шмурнова. **02.25** Сериал **"КЛАН СОПРАНО"**. **04.30** Клифф Робертсон в детективе **"КЛЮЧ К РЕБЕККЕ"**. **1**-я серия. Вторая мировая война, Северная Африка. Генерал Роммель отчаянно хочет разбить англичан. Для этого ему нужны разведданные из штаба британских войск в Каире. Туда засылается жестокий, но красивый и обходительный нацистский агент-сердцеед Алекс Фульф с позывным "Ребекка", о прибытии и деятельности которого узнает целеустремленный британский майор разведки Ван-Дам. Между ними ведется дуэль в кошки-мышки. Причем оба используют женщин. Вульф свою любовницу Соню- лучшую танцовщицу Каира, а майор - актрису Элению, готовую на все, ради получения паспорта на выезд...

სკანვორდი





ნინა სკანვორდის პასუხები:

რაფიუსი; ეერია; პამეკი; როსი; ბეთანია; ფაბრიკა; ტაბლიამეული; გრენობლი; ეეშაპი; ათინათი; ასანთი; კანდიდატი; კეიტანე; ადიდასი; ტაფობი; ბერი; მეფლისი; ორბი; ბაია; პროზა; შნიცელი; კომბაინი; განდიკაპი; ამონასრო; იკარუსი; ციროზი; ლესოტო; ეატიკანი; ეარიეტე; ქეირათი; ტოტო; ეზო; სემირამიდა; გალილეა; პეპი; ოტიტი.

კარდენი: მოდა მოკვდა!

"მოდა განადგურდა" - ამ სიტყვების ავტორი 82 წლის დიზაინერია, მაგრამ იმდენად ცნობილი და ავტორიტეტული, რომ ციტატა გუშინ ყველა საინფორმაციო საშუალებამ სხვადასხვა ბრუნვაში დაატრიალა. პიერ კარდენი თავის 1.32-მილიარდდოლარიან იმპერიას ჰყიდის და მოდის ინდუსტრიას, რომლის შენებაც 65 წლის წინ დაიწყო და მთელი ცხოვრება შეალია, სამუდამოდ ტოვებს.

"როიტერსთან" ინტერვიუში კარდენი აცხადებს: "აღარავინ აქცევს ყურადღებას ნამდვილ სილუეტს. სანამ იყო ბალენსიაგა, შანელი, კარდენი, მაშინ სხვა დრო იყო... რა თქმა უნდა, დღემდე მოღვაწეობს დიორი, მაგრამ დიორი წარმოდგენად იქცა. ის შესანიშნავია, მაგრამ ვინ ივლის მსგავსი ფეხსაცმლითა და ქუდით ქუჩაში? სად წავიდეთ ასე გამოწყობილნი? თუ სადილად - სამი სკამი მაინც დაგვჭირდება, მოხერხებულად რომ დავსხდეთ. დღეს სხვა რეალობაა, ჭკვიანი ქალები მსახურობენ, მანქანას მართავენ, მანქანების ზომა კი სულ უფრო და უფრო მცირდება, მაშინ როცა დიორის კაბები - იბერება და იბერება, გრძელდება და გრძელდება. ძალიან ლამაზია, არ უარვყოფ, მაგრამ ამას მოდას ვერ დავარქმევ, ის რაღაც სხვაა. ის კოსტიუმია, მორჩა და დამთავრდა".

ინტერვიუ, რომელიც გუშინ ყველას განსჯის საგნად იქცა, "როიტერსმა" კარდენის ოფისში ჩაწერა, შუაგულ პარიზში, ხედით - პრეზიდენტის სასახლის ქუჩაზე.

მოხუცი დიზაინერი თავის სამყაროში მოკალათებულიყო და აკრიტიკებდა ყველას და ყველაფერს.

თანამედროვე ტანსაცმელი არ ჩაიცმევა, მოდის ინდუსტრია დიდ ბიზნესად და სიშიშვლედ იქცა, - აცხადებდა ის მტკიცედ და თან დასძენდა, რომ ნამდვილი ფრანგული Haute Couture სადღაც გაქრა.

შეგახსენებთ, რომ თვითონ კარდენმაც დიორის ატელიეში დაიწყო მოღვაწეობა, 1946 წელს, საერთაშორისო წარმატებას კი 1954 წელს მიაღწია ერთი სახელგანთქმული კაბით.

დღეს კარდენი, რომელიც ფრანგული მოდის სიმბოლოდაც აღიქმება, გაეროს მშვიდობის ელჩიც გახლავთ. ის აცხადებს:

"ძალიან გამიმართლა. მოღვაწეობა მომიხდა ომის შემდგომ პერიოდში, როცა ყველაფერი ხელახლა, თავიდან კეთდებოდა. ქალებს კი გართობა, ცეკვა სურდათ. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, სექსუალური მხარეც ჰქონდა. მაგრამ დღევანდელ მასშტაბებთან ვერ მოვა. დღეს ყველგან სიშიშვლე, ყველგან სექსია. ჩვენ ვაშიშვლებთ ქალებსა და კაცებს და მერე ჩაცმა გვავიწყდება".

დიზაინერმა ისაუბრა მოდის სახლებზეც, იმ ტენდენციაზე, რომელიც მოდის სახლების კონგლომერატების შექმნას გულისხმობს. კარდენი მიიჩნევს, რომ ბიზნესპროცესებში შემოქმედებითობა იკარგება, რომ მოდის ნამდვილ სახლს ნამდვილი შემოქმედიც სჭირდება:

"გუჩიმ ყველაფერი დაიწყო ზოლებიანი ჩემოდნით. ერთი მათგანი ლუჩანო ვისკონტიმ მეც მისახსოვრა. გუჩის დიდ ბაბუას პირადად ვიცნობდი. ეს არ გახლავთ შემოქმედის სახელი. ეს უფრო სხვა სიტუაციაა, როცა იღებენ რომელიმე დიდი ფოტოგრაფის სახელს და მერე მას ბიზნესისთვის იყენებენ. მაგალითად, ანრი კარტიე-ბრესონი. მითხარით, ვინ იყიდის "კარტიე-ბრესონს" და ვინ გამოიყენებს მას საკუთარ სახელად? არადა, მოდაში ზუსტად ეს მოხდა. დროთა განმავლობაში ჩვენ სრულიად სხვა მნიშვნელობა და აზრი მივანიჭეთ პროფესიას, რომელიც წინათ ძალიან შემოქმედებითი იყო".

ამ ფონზე კი კარდენს თითქმის შეუძლებლად ეჩვენება, რომ ახალგაზრდა დიზაინერმა მოდის სამყაროს ღირსეულად დაატყოს თავისი კვალი:

"1945 წელს, როცა მე ვიწყებდი, მთელ მსოფლიოში ოცამდე დიზაინერი თუ იყო. დღეს მათ ყველგან ვხვდებით, ასობით არიან. არადა, როგორი პარადოქსია, რომ მოდელიერების ასეთი სიმრავლის ფონზე პრაქტიკულად მოდა აღარ გვაქვს. ოცი წლის რომ ვიყო, აზრზე არ ვარ, როგორ მოვიქცეოდი, რადგან, ჩემი აზრით, უკვე ყველაფერი გაკეთებულია".

საინტერესოა, რომ ამ სიტყვებს ამბობს დიზაინერი, რომელსაც წინათ უთქვამს:

"უპირატესობას ვანიჭებ ჩემს მიერ შექმნილ კაბებს, რომელთაც იმ ცხოვრებისთვის ვქმნი, ჯერ რომ არ დამდგარა - ხვალინდელი მსოფლიოსთვის".

და მართლაც, კარდენი ყოველთვის ნოვატორი იყო, მისი იდეები - უცხო და რევოლუციურიც კი. კარდენი იყო კაცი, რომელიც მოდის კოლექციებს მაღაზიებში აჩვენებდა (1959 წ.), რომელსაც მოდა კომუნისტურ ჩინეთში შეჰქონდა (1975 წ.)...

მოკლედ, თანამედროვე მოდას აკრიტიკებს კაცი, რომელმაც ის შექმნა. ამასობაში კი მისი იმპერიის შესასვლელში გამოკრულია ტრაფარეტი წარწერით: "იყიდება". ჯერჯერობით კარდენმა ოცამდე შეთავაზება მიიღო, მაგრამ ის აცხადებს, რომ ფაქტობრივად, მისი საქმე შეუფასებელია. "ეს ყველაფერი გაცილებით უფრო მეტი მიღირს. ეს ოცნების ფასია".

იქ, სადაც ვარსკვლავები ბინადრობენ

შინაური სამოთხე თაფლობის თვისთვის

ბრიტანელი მუსიკოსი სილი და მისი საცოლე, გერმანელი სუპერ-მოდელი ჰაიდი კლუმი თაფლობის თვეს ლოს ანჯელესის გარეუბანში ერთ არაჩვეულებრივ სახლში გაატარებენ. 4.3 მილიონ დოლარად ნაყიდი რეზიდენცია 5.200 კვ.ფუტ ფართობზეა გადაჭიმული, ერთსართულიანია, ოთხი საძინებლითა და 4 აბაზანით.

1960 წელს აგებული სახლი ახალი გარემონტებულია. თვითონ შენობა ჭიშკირიდან კარგა მოცილებით დგას და გრძელი სამანქანო ბილიკით უკავშირდება ქუჩას. წინ მშვენიერი ხედი იშლება, ქალაქისაც და ოკეანის სანაპიროსიც. იატაკზე ხის გრძელი მორები აგია, ჭერი - მაღალი და ნათელი, ეზოშია აუზიც... მოკლედ, სრული სამოთხეა ურბანისტულ-სოფლური იდილიის მოყვარულთათვის.

ლამაზმანმა კლუმმა და სილმა ერთმანეთში შარშან იპოვნეს, მას შემდეგ, რაც გერმანელი მოდელი "ფორმულა 1"-ის "რენოს" ჯგუფის ბოსს ფლავიო ბრიატორეს დაშორდა. ბრიატორესა და ჰაიდის ერთად გოგონა, ლენი ჰყავთ. ბავშვი მაისში დაიბადა. სილისთვის კლუმი პირველი ცოლი იქნება, კლუმისთვის სილი - მეორე ქმარი. ფლავიო ბრიატორესთან რომანის გაბმამდე ხომ ის ექვსი წლის განმავლობაში ცნობილ პარიკმახერთან რიკ პიპინოსთან ერთად ცხოვრობდა. წყვილი ერთმანეთს 2002 წელს დაშორდა.

ჰილტონების მორიგი შენობა

ჰოლივუდის უძრავი ქონების ბაზარზე ახალი სახე გამოჩნდა. პერიზ ჰილტონმა დამოუკიდებლად სახლი პირველად იყიდა - ჰოლივუდ ჰილზის უბანში მდებარე რეზიდენციაში მან 3 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ტოსკანური სტილის ვილა 1920-იან წლებშია აშენებული, მაგრამ არქიტექტურულად ის რამდენიმე ხნის წინ განაახლეს. სახლს სამი საძინებელი ოთახი და 3 სააბაზანო აქვს. სრულ კომფორტს კი ახალი ელექტრო-გაყვანილობა და კედელში შედგმული, თხელეკრანიანი ტელევიზორები ქმნის.

23 პერიზი სასტუმრო "ჰილტონის" დამფუძნებლის კონრად ჰილტონის შვილთაშვილია. გარდა იმისა, რომ უზარმაზარი იმპერიის მემკვიდრეა, პერიზი მსახიობობს კიდეც. ის ახლა "ფოქსის" სატელევიზიო სერიალში "უბრალო ცხოვრება-3" თამაშობს.

ირანელები ჰოლივუდში

ირანის ფაჰლავის დინასტიის წარმომადგენლის, პრინცესა შამსის შვილთაშვილი ენ ქლერი ჰოლივუდის ცხოვრებაში თავისებურად ერთვება.

ლოს ანჯელესში სანსეტ სტრიპის მიდამოებში მან თავისი სამსართულიანი სახლი ტელე-ქსელ E! network-ს მიაქირავა. იქ შოუს "სიყვარული მემკვიდრეობით" გადაღებები უნდა დაიწყოს.

სახლს 4 ათასი კვ. ფუტი უჭირავს, ოთხი საძინებელი ოთახი აქვს, აუზი და შესანიშნავი ხედი - ქალაქისაც და ოკეანისაც. შოუს, ასევე, გადაიღებენ ლონდონში, სადაც ირანის უკანასკნელი შაჰის მემკვიდრეები, ანუ ენ ქლერის ოჯახი ცხოვრობს.

30 წლის პრინცესა ლონდონურ სახლს მშობლებთან ერთად ფლობს. იქ ყველანი ერთად იცხოვრებენ მანამ, სანამ ოჯახი ენს ღირსეულ საქმროს არ მოუძებნის.

თუმცა, ენ ქლერი გათხოვებაზე დიდად არ ფიქრობს. მას ქანთრის მომღერლობა სურს. ოცნებების ახდენამდე კი, თავის კალიფორნიულ სახლში ქირის სახით ყოველთვიურად 20 ათას დოლარს მიიღებს.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

სახელმწიფო ფილარმონიის რეორგანიზაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ფილარმონიის რეორგანიზაციის პროექტი მოიწონა. სამინისტროში დადებითი დასკვნა მიიღო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადებულმა ცვლილებათა პროექტმა, რომელიც სახელმწიფო ფილარმონიის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კულტურული და სპორტული ღონისძიებების სახელმწიფო სააგენტოს ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. სააგენტო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ჩამოყალიბდება, ხოლო ამ სააგენტოს დებულება დამტკიცდება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს კულტურული და სპორტული ღონისძიებების სახელმწიფო სააგენტოს დებულების პროექტით ამ დაწესებულებას ევალება სახელმწიფოს ღონისძიებებისა და ცერემონიების ორგანიზება-გამართვა, საქართველოს რეგიონებში კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა განხორციელება, აქტიური საკონცერტო საქმიანობა, სამოყვარულო და პროფესიული ხელოვნებისა და ცალკეულ ხელოვანთა და შემოქმედებითი ჯგუფების ხელშეწყობა-წარმოჩინება.

კულტურული და სპორტული ღონისძიებების სახელმწიფო სააგენტო კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში იქნება. სააგენტოს ადმინისტრაცია თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, N 182-ში მდებარე შენობაში განთავსდება. ეს შენობა სააგენტოს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.